

ადრესტული გაზეთი

№2 (234) 1 - 14 თებერვალი 2019

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი



პოეზია
პროზა
მთარბნება
რეცენზია
ინტერვიუ

მაიმონიდი ურიახის უბანში

„კავკაზი“ მარიუს მარტინის სასტუმრო იყო და ერივანსკი პლოშადზე იდგა უკვე რა ხანია. შტაბის შენობის გაყოფაზე ადრე და სადად ზედ დაენერათ აბრა იმის საცნობად. ესე სადად მოეჭრათ, ის დრო გადავარდნილიყო, როცა კარის თავზე გველეშაპსა ჰხატავდნენ და ამგვარ რამეს.

იქით აუყვანენ მოჭრილი თავის მაძიებლები. ჯერ ორთაჭალის კუნძულთან ჩამოხდნენ ტივიდან, ეტლი დაიჭირეს და მთავარი მოედნისაკენ გასწიეს. მირზოევის ამერიკის საქსოვ ქარხანას გასცდნენ, ქარვასლებსაც და შუა ბაზრით ზევით აუყვანენ. სასტუმროს რომ მიუახლოვდნენ, ეკიპაჟი გაჩერდა მათ წინ და გადმოვიდა ვილაც ქალბატონი და უკან ბლომად ხალხი მოყვებოდა და ყველა თავიგულის გადაცემას ემუშავებოდა. ოღონდაც ის უმალ გაქრა სასტუმროს კარში ოვაციების ხმასთან ერთად.

— მადამ ლასალი, — სთქვა ვილაც გამველმა.

კარი სატრილო ჰქონდა სასტუმროს და ხრიბლი და ალბრე ასე შევიდნენ.

სასვე სჩანდა.

— სია მინდა, ვინა სდგას სასტუმროში ბოლო ერთი კვირაა, — ხრიბლის იცნობდნენ და გაოცება არ ყოფილა.

— გავსებულია, — თქვა მიმღებმა, დახლის ქვეშ ტარტალეტი რომ დაემალა და თვალის მასზე რომ არ იყო, იმას კოვზით მოთლიდა და მალულად კბილებთან მოიგდებდა; ამასთან გადაშალა წიგნი შიგ გრაფებით და ხაზებით.

სია გრძელი იყო, მოსჩანდა სახელების უკან სხვადასხვა მხრით მოარულნი და აქ გაჩერებული, სპარსეთში და აღმოსავლეთში მიმავალი ტფილისში ხშირად ჩერდებოდნენ.

ხრიბლიმ თითოთ ჩამონეროდ გვარებს დაუარა.

— რამდენი არიან, ესე ნემსის ძებნაა, — ხმაურით დაჰკეცა მოგზაურთა წიგნი და ქოთნის პალმებთან მყოფი ორი კაცი გაზომა ორი თვალთ.

— არც მარკიზ სოლსბერი დაიხვეს უკან, — საუბრის ნაგლეჯს თუ გაიგონებდი, გაზეთების ლონდონი გაეჩინათ მოსაუბრეთ.

— თან იქნება არც ცხოვრობს აქ, ისე დაიბარა, მოსაჭიდა აქარაფერია. წავედით, — მოსჭრა უცებ ხრიბლიმ.

ქუჩაზე გამველნი არ დაშლილიყვნენ და ახლა ლასალი, ვინაც თეატრში კარმენს სთამამობდა და სევილიის ცეკვავედა, აივანზე გამოსული ჰაერის კოცნას სრუქნიდა თავიანთსცემულთ.

ხრიბლი და ალბრე კი ისევ ქვემო ქალაქისაკენ დაემხენ. იმის მიხვეულებში იარეს. განა შორს იყო? განა დროჟკა დასჭირდათ?

ტფილისი გზაში იცვლებოდა. ეს ფეხი თუ ევროპაში ედგათ, ახლა აზიაში გადმოედგათ. გასცდნენ სარდარაბადის მეიდანს, იქვე ჯიგრაშენის სომხურ ეკლესიასა და კათოლიკურსაც გვერდი აუარეს. ყოლორთაღს რომ მიუახლოვდნენ, ხრიბლი სადაც ვინრო შესახვევში შეეკვება და შუა ურიების უბანში ერთი კარი ამოარჩია, ფეხი დაკრა. მერე კიდევ დაკრა.

კარი იმისთვისაა, რომ გაიღოს. თუ არა, უნდა შეიღუნოს. ხრიბლის წარმოდგენა კარზე ასეთი იყო.

კარი შეიღო და იქიდან წითურმა ებრაელმა გამოიციქრა.

გამხდარი იყო, მხრებში მოხრილი.

— რომ შემოგხედავს კაცი, ელია მოვიდაო, ჰა, საცა ცაში ახვალ, — თქვა ხრიბლიმ გრძელწვერიანი ებრაელის დანახვისას და ფეხი ოთახში შედგა.

იქ ნივთი ელაგა უამრავი. გალიები, სურათები, შლაპის ყუთები, სამოვრები — საწყობი გეგონებოდა. ეს არ ყოფილა საუნჯე დალაგებული თვალის საამებლად და არ ყოფილა გამოტანილი მაიზელსონის თუ კაიზერის მალაზიიდან ნოქრის გამოცილებული.

ეს იყო ალაფი აქ მოტანილი იმ ღამის მორაულები, ქუჩებსა და მოედნებზე რომ დაეხეტებინან, ბაზრებსა და ქარვასლებში დაძინებინან და ხელს სტაცებენ რასაც ყურადღება აკლია, თითებს ჩაჰყოფენ ბუზების მთვლელის შალვარში, სარდაფის ჭერსა და სხვის იატაკს ამოჭრიან და შიგ ჩამალულ ნივთიულს მაგაროვებენ დაუთვლელად

აბო იაშალაშვილი



ბანჯის კარი

ფრაგმენტები მომავალი რომანიდან

და აჩენდნენ პირველი გილდიის ვაჭრის ქოშებიდან დაწყებული, კაპელმეისტერი გიჯინის ლორნეტი და მთავრებული, თითქოს და სასახლის ქუჩის ნოქრები. ნივთები იყო ნაპარი. ისააკ იაკობაშვილი ხელის დამცველი და მასთან ტფილისში მოპარული სხვადასხვა რამ ხვდებოდა და სხვა გუბერნიებიდან აქეთ გამოგზავნილი ნაპარიც იღებოდა მის უჯრებსა და იატაკის სამალავებში.

— ტალმუდს ვსწავლობდი, მაიმონიდის ნიგნებს, — თქვა მოულოდნელად ებრაელმა და ხრიბლის თანამგზავრი აათვალისა.

— ეხა იმას ნუ მოგვიყვები, ღმერთის მწამსო — გასწია ხრიბლიმ მაგიდისაკენ. — ღმერთის იმას წამდეს, ვინაც ასი ათასი მოიგო ლატარიაში, — თქვა ებრაელმა დაყოვნებით და ჭორფლით სახეზე.

ხრიბლიმ კი მაგიდიდან ვაშლი აიღო და ჩაკბინა. ჩანს, არ მოეწონა, ჩახედა, ჭიანი იყო, გადმოაფურთხა და ვაშლიც ძირს დააგდო.

— მოჭრილ თავს ვეძებ, — თქვა უცებ, — რა პატარაღლივით მიყურებ? იანქოშვილის თავი სასაფლაოდან მოუპარავთ და შენ არ იცი?

ებრაელმა ჩაახველა.

— მაგას თვალის ჩინი რომ დაკლებოდა, ეზობეში უნდა ეარა და ემღერა. შენ დაგენაცვლე, მე მკვდრები არ მეყოფა? იმის ძმა-ბიჭებმა იკითხონ, კულა გლდანელმა იკითხონ, მე რა ვიცი, იმის თავი სადაა. იმის თოხლო სული ახლა სადაფრინავს, ვინ გაგვებს.

ხრიბლი ამის გაგონებისას წამოიწია, ფეხი გადმოდგა და უეცრად წვერით ითრია ებრაელი.

— მეტეხის ციხეში მაქ შენთვის ოთახი და იქ ანთე შაბათის სანთელი. ვინ მიყვარსო, მაიმონიდი? ჰა, შე ლორის მჭამელი, — ბრაზი გამოვარდა პოლიციის პირიდან.

— ჩემი მამა შოილა არ მიცხონდეს, თუ ვიცოდე, — აპლადა და ლევის მუხლის არც თუ საუკეთესო შვილი გიორგის მოედნის ერთ ბნელ შესახვევში.

— აბესლომივით თმით დაკვიდებ, — აბა, საიდან დახსომებოდა ხრიბლის დიდი მეფის ურჩი შვილის ბედის ანაბარა.

— განა პირი ავუკარი, ჩემი მკვდრები მიცხონდეს. ჰა, მეტკინა. ერთი ის ვიცი, ამბობენ, იანქოშვილს კაცი ყავდა მოკლული, — აყვირდა ისევ ებრაელი.

— ვინ კაცი? — გახსნა მუშტი ხრიბლიმ.

— იმისი ძმა აქა ვერცხლისმჭედლებში.

— ვინაა?

ებრაელმა ტუჩებიც მოინმინდა.

— ალი ქვიო, იქ უნახიათ.

ხრიბლიმ ერთი აათვალისა ებრაელი, შეეშვა, ალბრესთან ერთად გარეთ გამოვიდა და პატარა სირაჯხანისაკენ დაეშვა.

ამ დროს იმავ კარში ქუჩიდან სულ სხვა კაცი შევიდა, თვალზე მონოკლით.

მეკენებოქის ხალი

ვერცხლის რიგს იგივე ოქრომჭედელთა ქუჩის ორ ბაზარს შუა მოსძებნიდი. აქეთ შუა ბაზარი იყო, იქით სალდათის, იგივე იარმუკა. ზედ დღის ფურგონი და ეტლი არაერთი გადი-გამოდოდა, სხვადასხვა რამის მზიდველი. ამის გამო ქვაფენილი სულ აყრილი იყო და უყურადღებო კაცი ზედ ფეხსა და ცხვირს მოიტეხდა.

ამ ქუჩას, თითქოსდა ხელოსნის ქამარი ყოფილიყო, ვერცხლის გობაკებივით გამოშობდა ღია სახელოსნოები და ზედ გამოეკიდათ საპირისნამლე თუ ხანჯალი. იყო სამკაული სხვადასხვა, იმის შესანახი ზარდახშები, ჩოხის ქილები, ქამრები სხვადასხვა ზომისა და ფასის, რის საყიდლაც ქარგლები ყულაბას დგამენ და დღენიდაც ფულით ავსებენ, რათა ერთ-დღესაც ეს ქამარი შემოირტყან და სიკვდილის მერე იმის ფასად დაიმარხონ.

ამ სახელოსნოებში ნაირგვარი უსტა იჯდა, შეგირდები, ქარგლები. აბა, ამათ ჯერ კიდევ რამდენი უნდა ეშრომათ, ვიდრე დასტურაჰყავს და პატივს გაიღებდნენ, რომ ბალებში ამქრისათვის სუფრა გაეშალათ, უსტაბაშსა კი მათთვის სილა გაენა და ოსტატად ექცია. მერე ესენი მას ბალებში გამოკრულ სამ მუშკის კაკალს მისცემდნენ, გამზრდელ ოსტატს კი ხალათის ფულს, ის კი ხელსაწყობით დააფეშქაშებდა და რაც უფრო კაი ხალათს გაიმეტებდნენ, მით უკეთესი იარაღი შეხვდებოდათ. ახლა კი რაც მასხალი და მათხაფი ემარჯვებოდა, სულ ოსტატისა იყო. კიდევაც შანერ-ფარენსა მისწვდებოდნენ, რათა უკეთ გაექლიბათ და სიმქაშასა და ჰადიდასაც მოიხმარდნენ, რათა შაქრის ნატეხის ასაღები კოხტა გამოუსულიყო.

ხრიბლი ერთ ასეთ სახელოსნოსთან გაჩერდა.

— ეს რა ჯანდაბაა, — გასწმინდა ფეხი იქავე ქვაზე, რაკი გასვროდა იქვე მოსაქმებულში და გადააფურთხა კიდეც.

აქ მყოფთა ოდენობა მატულობდა და ზოგს პირდაპირ შესახვევში ეძინა და სხვასაც აქვე მოითავებდა.

— ხო, ეს ავგიას თავლაა, — თქვა ალბრემ.

— საღორე, — ხრიბლიმ არაფერი იცოდა ავგიასი. ტროტუარის კიდეებს უსვამდა ჩექმას გამალებით, — ალის

ფაფახზე უნდა გავინმინდო, ამბობდა თავისთვის და სახელოსნოს გახედა.

- აქაა ალი?
— არა, — გამოიხედა იქიდან ვილაცამ.
— სადაა?
— დღეს არ მოსულა.
— რატო რა, ანგელოზის დღე აქვს?
— ციებცხელება.
— სად დგას?
— ფეთხანის კიბის თავზე.

უნდოდა კი ალბრეს გაყოლა? განა ცოტაა ასე მოკლული და დაგდებული ტფილისში. ცოტა არაა. თუმცა რალაც ბნკენდა ალბრეს, რომ საფიქრალი იყო ახლა ამის გარშემო. ამის გამო იყო, ჩვეულ ცხელ შოკოლადსა და დილის კრუასანზე უარი თქვა და ახლა ახალ მტვერს ამატებდა თავის ბაშმაკებს.

მან ერთ მოსაქმებულზეც გადააბიჯა და ჯერ ვერცხლის რიგიდან გააღწიეს, შუა ბაზარი გადაკვეთეს და ლაბირინთებით იარეს.

— ესე ლობით გავძვრეთ, მოკლეა, — დაიკუზა ხრიბლი და ორ განუულ ფიცარს შუა შექვრა.

იმის იქით კი ინდაურებით ვაჭრობდნენ და იდგა ხმაური კაცისა, თითების თვლისა, ჩიტებისა.

— ჯანდაბა! — ლურსმანს მუნდირი გამოდებოდა.

ხრიბლი გასაკერ ადგილს თითით სინჯავდა და თან ასე აბას აბადის მეიდანის გავლით ფეთხანის კიბეს მიაღწენდა. აქ მათ დანახვისას კედელზე აბაზის მირტყმის მოთამაშენი გამოეცალნენ.

— „აბიზიანა“, — ამ დაძახებით დაიშალა ყომარბაზების ბობი კამანდა. „აბიზიანა“ ხრიბლი იყო. ასე მოენათლათ ის ჯიბგირებს.

ხრიბლი და ალბრე კი კიბეს აუყვანენ. გაიარეს რაც ადრე ათეშგა იყო, ძველი სპარსელების სამლოცველო, ცეცხლის ღმერთად დამნახავების, რომ კედლებიდან, სანამ ჩიტები ყველა იმათ ძვალს არ ამონისკარტავდნენ, მინას არ აბარებდნენ. და მერე კიდევ უფრო ზევით აუყვანენ.

— ალი სად დგას, ვერცხლის მჭედელი, — შეყარა ხრიბლიმ ერთს ღრიჭოში, როცა ზევით ააღწიეს.

— შინ არაა, — გამოყარა იქიდან ვილაცამ, თან ისმოდა წყლის ჭურჭლის დადგმა, ალება — ეხა წავიდა. მეთქი, ალი ჯან, მანონს აიღებ? არც გამამხედა, წავიდა.

— რომელი კარია?

— აი, ისა, — ღრიჭოდანვე დაანახა.

ერთ დაბრეცილ კარზე აჩვენებდა. დაკეტილი იყო, ზედ ურდულიც ჰქონდა.

ხრიბლის ბევრი არ უფიქრია და შელენა კარი იმის ბოქლომიანად და ფეხი შედგა ოთახში, რომელიც ცარიელი იყო.

— იქნებ ავცდით და ამქარში წავიდა? — სიმშვიდე სცადა ალბრემ.

ხრიბლის ყნოსვა სხვაგან იყო. მან თვალი მოატარა ოთახს და გარეთ გამოვიდა.

— თქვენის ნებართვით, — ისარგებლა ფრანგმა და შიგ შეაბიჯა.

აქ იყო ბლომად წყლის სურა, ოღონდ არა ჯინებით და ზედ სოლომონის ბეჭდით, ძალა რომ გამოაცალონ და სადაფით სასვე ზღვაში მოისროლონ, შემდეგ ზღვათმორაულმა რომ ამოიღოს და სასახლეები აშენოს. ალბრემ ხელჯოხიც შეახო ამ რამდენიმე სხვადასხვა ზომის ჭურჭელს და მელოდია დააკაკუნა, მასწეს კლავისინში დამალული. სილიენის სურებიდან არაფერი ამოფრენილა, არც ხელეზი დაულაგებია ჯინს მკერდზე და სანუკვარ ფიქრთა აღსრულება აღუთქვამს. არც ამ ოთახის სიღარიბე გადაქცეულა ბალებად, არც სინი გაჩენილა ზედ დარიჩინით და ბროწეულით. ასეთ ფიქრებში მყოფმა მან ასტრახანის ზანდუკი შენიშნა კუთხეში. ალბრემ ახლაც დაჰკრა ხელის ჯოხი, თითქოს შიგ ჩამალული ხმის გაგონება უნდოდა. მერე ჯიბეები მოიქექა და გასაღები ამოიღო, მაგრამ ვერ მოარგო.

— ის ყვებოდა გლდანელიო, არა? — შემოიხედა ამ დროს ხრიბლიმ, — იმის ნახვა არ იქნებოდა ურიგო, იანქოშვილის ძმაბიჭი ეგ გამოდის.

— ამ ალის კვალს არ დავადგეთ? — იკითხა ალბრემ.

— ჯერ გლდანელი, — მოიქექა ძველ მოდაზე დატოვებული ბაკენბარდები ხრიბლიმ.

ისინი ქვევით გამობრუნდნენ და დროუ-

კითხვარს სასახლის ქუჩისკენ და ზედ ძმე-ბი გოდფრუას ცირკთან ჩამოხდნენ.

შესასვლელთან აფიშა იყო დიდი და ზედ უძღვევლი ფალავანი და ტფილისის საუბართა გმირი უნერა დიდი ასოებით. კულა გლდანელი. ძმები გოდფრუას აღმორჩენილი, საჭიდაოდ გამოყვანილი და სულ უფრო მეტი სახელისა და ღონის მომხვეჭი. ყირმიზაშვილი — ასე იყო იმის გვარი. თუმცა ასე არავინ იტყოდა, გლდანელად მონათლავთ ქალაქში და ასე დასახლებდნენ. წარმოდგენა დაწყებული იყო, როცა ხრიპლი და ალბრე შიგ შევიდნენ. რაც გლდანელმა იქ ბული დააყენა, ბევრ სხვა ჭიდაობასაც ეყოფოდა. ანარცხა და აყირავა ნახერხით მობნეულ არენაზე ნაირგვარი გოლიათები და სახელიც ამაღ გავარდნოდა აქეთ-იქით.

იმის ცქერაში იყვნენ ორთავე, როცა ხრიპლიმ უეცრად ჯიბეზე იკრა და იქ ბანჯგვლიანი თითები დაუხვდა, მის საფულეს რომ ჩასობოდა, ამოეცალა და გასხლტომაც კი მოესწრო. ხრიპლის ოდენ ჭუჭყიანი მანუჭები შერჩა, ადრე მოპარული და ახლა ხრიპლისთან შეტოვებული. ჯიბეგირი გარბოდა რიგებს შუა და ხრიპლიც გაეკრდა და ცირკის უკანა სათავსოებში შევიდა. ხრიპლი თვალთმევას ცდილობდა, თუმცა ის მოხელთებას არ ანებებდა. დიდი საპრეჯისტიტატორო ყუთები რომ იდგა, იქაც სცადა მიმალვა და იმის გამოღებული კარი უეცრად ხრიპლის ზედ ცხვირ-პირზე აარტყა თელი ღონით და ისიც, გონებადბნელებული, სადღაც ყუთებს შუა დაეცა.

— შაჰის კარის ცირკაჩი, გერმანიის ფიზიკური კაბინეტის წევრი, გამოაცხადებული ვენისა, ბერლინისა, ოსმალეთისა, ეგვიპტისა და პორტ-სანდისა, ჩვენი დროის პირველი თვალთმაქცი და პრესტიჯიტატორი ჰანს მეკენშტოკ! — გაიძახოდა კონფერანსიე არენაზე და ნომერს წარადგინდა, რასაც ალბრე საათის ცქერით თვალს ავლებდა და მარტო დარჩენილი ამ იაფ სანახაობაზე ბოლოთა სცემდა.

არენაზე კი მაღალი, გამხდარი კაცი გამოვიდა, გრძელი უღვაშითა და დიდი მანუჭებით. ანუელი ხელით ჩამოიარა წრეზე და იქ მყოფთ მიესალმა.

ორკესტრმა ისევ იგრიალა, კონფერანსიემ ბახით დასძახა,

— ბატონი მეკენშტოკი თავის მოკვეთის სცენას დაგანახებთ, თავს სინზე დადებს და ყველას იმის ხელში ალებს შექმლვას!

ალბრე გულგრილად უცქერდა იმას, რასაც თითქოს შაჰი და ემირი, თელი სამყაროს ჩინოსანნი უყურებდნენ ალტაცებით და სიგელ გუჯრებით აჯილდოვებდნენ.

ასისტენტმა ოდნავ მოღუნული ხმალი გამოიტანა და მეკენშტოკსაც გადასცა, ვინაც ის აღმართა და აქეთ იქით მოატარა იმის სიბრიალის გამოსაჩენად და ეკსკალიბურობის დასტურად. მე ვარ ავი მუსაფირი, თუმცა წარწერა და სხვა რამ გარდასულ დღეთა ნიშანი ზედ არა ჰქონდა; ორკესტრმა კი ისევ იგრიალა, მეკენშტოკმა ხმალი მოიქნია, ასისტენტს თავი წააცალა და გააგორა თითქოსდა კველის დასაშლელი ბურთი სადმე ბალის მოსასვენებლებში. მეკენშტოკმა თავს არენაზე დიდ ხანს გორაობა არ აცალა, ხელში აიტაცა და მაგიდაზე დადო, ნაჭერი გადააფარა, რაღაც ჯადოქრობა დასძახა, ნაჭერი მოარიდა და, ჰოი, საოცრებავ, თავმა თვალ გააღო და ენა ამოიდგა. ოღონდაც თავს ახლა ბაკენბარდები ამოზრდოდა და მეტად ბრაზიანად ყვიროდა.

გუსტავ რადე

— ეხა მოვარადე და მოგვიყვები აქაურ „ათას ერთ ლამეს“, — გამოუშვა სიგარის ბოლი ბილიარდის მაგიდას მიყუდებულმა მსუქანმა კაცმა.

- რატომ ასე გაბრაზებით?
— მაშ რა გინდათ, რომ გითხრათ?
— მას ბრიტანეთის დეოფლის მედალი გადასცეს, — თქვა მისმა მოსაუბრემ, წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი რომ დაეკრა თავად მეკრდზე.
— გამოაცხეთ, — რგოლებად ამოჰყარა კვამლი მოსაუბრემ.
— არა, რაც არ უნდა ილაპარაკოთ, ის...
— იცი, ის ვის გავს? — შეანყვეტინა

მსუქანმა, თან ფერფლი დაიფერთხა სახელიდან.

მუხრან-ბატონის სახლში, რომელიც კლუბადაც ჩაითვლებოდა, ნელ-ნელა ოდნობა იქ მყოფთა მატულობდა. ზოგი ქალადის სათამაშო მაგიდას ეჯდა, ზოგი ბილიარდს დაჰყურებდა.

სიგარის კვამლი სტრიალებდა მოსაუბრეთა შუა.

— ვალტერ სკოტს ჰყავს ერთი კაპელანი, — აგრძელებდა მთხრობელი, — ერთი ჩვეულებრივი ვინ რომელიღაც ლორდის სასახლეში. არაფრით გამორჩეული. იმ სასახლეში კი მუხი დაეცემა და ლორდს და იმის პატრონს ზედ სადილის დროს მოჰკლავს, შემდეგ წყალი მოვარდება, კიდევ სხვა რამ უბედურება და აქაურობა წამხდარ ალაგად ჩაითვლება. ყველა გაეცლება, მხოლოდ ის კაპელანი ფეხს არ იცვლის. ასე აგრძელებს ცხოვრებას და ნელ-ნელა მას სახელი გაუფარდება როგორაც რომ წმინდანსა და ყოვლის შემძღეს, ღმერთისაგან გამორჩეულს და ხალხი მას წმინდანად ჩათვლის. კაპელანი თავიდან უარობს და ბრაზდება, შემდეგ კი თავადაც დაიჯერებს, სოფლებში დადის, ლოცავს იქ მყოფთ, ხელებს ადებს კურნების მაძიებლებს, ის მეტად აიტაცებს ამ ახალ სამყაროს. ხოლო როცა ვინმე სკეპტიკურად იცქირება, ახლა უკვე იმაზე ბრაზდება და თვალში აღარ მოუდის.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ რადე ასეთია? — ფეხი ფეხზე გადაიდო ამის მკითხავმა.

— დიახ, ასეთია. მან ჩათვალა, რომ ის მეცნიერია, რომ ის დიდია. როცა გერმანიაში იყო და ლექციებს კითხულობდა, უფრო კი ზღაპრებს კავკასიაზე, ის კარგად მიიღეს. იქ იმით იმდენივე იცოდნენ კავკასიაზე, რამდენიც ბორნეოს კუნძულზე და მას ყოველივეს მოთხრობდა შექმლო. ხოლო ამ ლექციების წინ იქაურთ ეგზავნებოდათ მოწვევა, საცა რადე იყო ნახსენები ვითარცა ჰუმბოლდტისა და მურჩისონის ლირსული მემკვიდრე, ხოლო რას ყვებოდა? — ჩაანო ზედილიცმა სიგარა კონიაკში, — რას? — გადახვდა მან იქ მყოფთ, — იმას, რომ დაღესტნელები არიან შიიტები. კი, იმის ნაწერებში სწორედაც ასეა.

— ეს მხოლოდ ასოთამკრეფის შეცდომაა.

— როგორ არა, მას პეტერმანთანაც ასე უწერია. ეს იგივეა, რომ დასწერო, ეს-პანელები პროტესტანტები არიანო. საერთოდ, რაზეა საუბარი და ყაზბეგი რომ დიხტაუსა და კომპანტაუსე მაღალი დასწერა, ესაც ასოთამკრეფია? ის რომ მთავარ ქედზე მოათავსა, ესაც კალმის უხეში გაკვრაა? ღმერთო ჩემო, როცა მან წიგნი უძღვნა ავსტრიის მემკვიდრე პრინცს და მიანერა, რომ ვითხოვ ნებართვას, ბულბულთან ერთად ვიმღეროო, ეს რა არის? ღმერთო ჩემო, ლექები რომ შიიტები ყოფილიყვნენ, კავკასიის ისტორია ხომ სრულებით სხვარაღე დასტრიალდებოდა.

— ამას დუელის სუნი ასდის, — თქვა მაღალმა.

— ჩემი დამბაჩა კალამია, მე მას გაზეთიდან გავეუსწორებდი. გამოვამკარავებ ამ თვითმარქვიას, დიახ, ამ თვითმარქვიას. ახლა კი კარგად მეყოლეო, — სთქვა ამეების მთხრობელმა.

— მოიცადეთ, სად მიდიხართ?
— გინდათ აქ შუა კლუბში სეირის ცქერა? — ზედილიცი კარისაკენ გაემართა, გზად ერთი ფუფერი გამოცალა და იქაურობას გაეცალა.

— ვაგრძელებთ თამაშს?
— თქვენ არიგებთ.
— ისე პასტორ ჰოფენაკერის ღვანლის დავინყებაც არაა სწორი, ჰერბარიუმი მარტო რადეს არ მოუკრებია, — თქვა მოხუცმა მოთამაშემ, აქამდე საუბარში რომ არ გარეულა.

— ალბათ მას ჰერბი უნდა საგვარეულო, — ჩაიხიხითა კიდევ ერთმა.

— ჰერბი? — აგურის მაგიერ გული გადმოაგლო ამის მთქმელმა.

— როგორაც კარლ ფონ ლინეიმ იარა ლაპლანდიამდე და ყუთებში გამხმარ მცენარეთა და თივთი გამოტენილ იაგუართა მოკრება აქცია მეცნიერთა საქმიანობად, ასევეა რადეც და მის კვალს გაჰყოლია, — მოღვარძლა ამ საუბრის ნამომწყებმა.

— თქვენი სვლა არ არის.
— გვარის წინ მასაც სურს „ფონ“ მიინ-

ეროს და ჰერბზე ის ალბათ ვეფხვს დაიხატავს, — ისევ გაიცინა კულიანივით.

— რატომ ვეფხვს?
— რეიტერი ამბობდა, რომ ის ახალ ცხოველებს მოელის, გარეულ ძალდ დინგოს, მაგადასკარის ლემურს, აფრიკულ სირაქლემასა და ბენგალიის ვეფხვს, სწორედაც ვეფხვის ჩამოყვანა სურს. საინტერესოა, როგორ მოერგება ის აქაურობას. მას ჯერ ვოლიერში დაამწყვდევინ და მერე მისი ტყეში გაშვება უნდა.

— ესლა გვაკლია, სოლანულში თავს ვეფხვი დაგვესხას, — ჩასწერა დამრიგებელმა თაბახზე მოგებულის ვაში.

— იმის ტროფეად ქვეყნის მკვირველიც არაერთი გამოჩნდება, პოლკოვნიკ ორბელიანი თუნდაც.

— ალბათ რადეს სურს იმის ფიტულით შეავსოს მუზუმი, — უაზროდ ჩაიცინა ყვავის ტუზის გადმომგდებმა.

მუზუმი კი გოლოვინსკზე იდგა და, აბა, ჯერ სად არსებობდა გერმანიის იმპერია, როცა გუსტავ რადე მის კარის გასაღებს ჟილეტის ჯიბით ატარებდა. მუზუმი მას 1867 წელს გაეხსნა და სათავედ ეგვიპტური მუმი და ბაიერნის გოლოვინური კოლექცია დაედო, შემდეგ რომ გაამდიდრა და ახალი არაერთი რამ შემატა. მარტო ვესპასიანეს თლილი ქვა რად ღირდა. ამას გარდა კავკასიის მცენარეთა ჰერბარიუმი, რომელსაც მალი მალ ახალს ამატებდა და ამაში პეტერბურგში მცხოვრებ საიდუმლო მრჩეველ ფონ ტრაფეტერსა და საიმპერატორო ბაღის დირექტორ დოქტორ რეგელს იხმარდა. საერთოდაც მიმონერა ხშირი და ფართო გაემართა და სამუშაო მაგიდა სავსე ჰქონდა ნაირგვარი გახსნილი კონვერტითა და ზედ დაწეპილი უცხო საფოსტო მარკით.

ის ახლა სახლს უახლოვდებოდა და რვის თერთმეტი ნუთი იყო, როცა შინ მივიდა და პირველ რიგში ახალი ფოსტა მოიკითხა.

— არა, საიდან ამდენი მტრობა, შური, ჩასაფრება, — თან სერთუკს იხდიდა და ხელს ფართე სახლიდან ხალათში აცვამდა, — აი, ფლინდერს პიტრიმ ეგვიპტის აკლდამაში ორლულიანი ხის სალამური რომ იპოვა, უთუოდ იმით არის დასამღერი და მთელი ეს ამაღა ასაცეკვებელი, გასაყვანი, სადმე გემზე შესატყუებელი, რომ მერე გააქრო, — მოყვა მან გზადგაზა, თან გრძელადლიან ყალიონს ტენიდა თამბაქოთი და ვეფხვში ატა ებლანდებოდა.

— სამი წერილია, — მოახსენა მსახურმა, თუმცა ეს არ უთქვამს ყრუმუნჯს, სამი თითი ასწია და იმ დღის კორესპონდენცია გაუნოდა. რადემ კაბინეტისაკენ გასწია და გზად ამ კონვერტებს ხელში ატრიალებდა.

ერთი კალკუტიდან იყო, იქაურ მუზეუმის დირექტორ პროფესორ კინგისაგან, ვისთანაც ჩიტებისა და ცხოველების გაცვლა გაემართა, მეორე ბონიდან, პროფესორ შაუფჰაუზენისაგან და ერთიც ბერლინიდან რუდოლფ ვიროხისაგან. სწორედ იმ ვიროხისაგან, სპორტიან კოლბებში ფილტვები და ხინჯიანი გულები რომ ჩაეწყო.

პირველი ეს წერილი გახსნა, სავარძელში მოთავსდა და ყურადღებით წაიკითხა. ეს იყო პასუხი მის მიერ გაგზავნილ ბარათზე.

აჰმედ იბნ ჯაფარის ღუქანი

აჰმედ იბნ ჯაფარი — ენერა გარკვევით და ფართედ აბრას და გამოეკრათ შუა ბაზარში. ერთის მხრიდან ამოსდგომოდა არარატოვის მაღაზია და მეორეს მხრიდან სპარსელი ნეგოციანტი ტაგი უსულ ოდლის ღუქანი. აჰმედი დილიდანვე გამოალაგებდა, რაც მაღაზიაში ვერ ეტეოდა, და გაავსებდა ტროტუარის გასასვლელებს, რომ მაგანს ფეხი წამოეკრა და ვერ გაეარა ამ ავსებულობაში. ნივთებისა არ იყოს, ხმაურიც მატულობდა დილიდანვე. კართან უთოკოდ მიბმული ყვირლის ბიჭები გამველეთ სერთუკზე არ ეკიდებოდნენ, მაგრამ ძახილით იმით შემორთვეს ეშურებოდნენ, ამაში იღებდნენ დღეში აბაზს, ხაშში ჩაფშვნილ პურსა და ზედაც ერთ ჩლიქს, თუ მარხვა არ იყო.

აჰმედს ხელის ბიჭი არ ჰყავდა, არც ხელის ჯოხი ჰქონდა, განსხვავებით იმავე არარატოვისაგან, ვინაც დილით იმ თავისი ჯოხით ითვილიდა დალაგებულ ხალი-

ჩებს და ესე სულ იმით მიუთითებდა, სად რა მოელაგებიათ. ესე ჯოხით ანგარნიობდა, განა ზედ ნიშანს დაადებდა როგორცა რომ თულუხნი, მარა ამით ალაგებდა თავის საქმეებს. იქით კიდევ სპარსულ ტაგი უსულ ოდლის ქარვის კრიალოსანი ჰქონდა და იმით იჭერდა ანგარიშს.

აჰმედის ღუქანი იყო სავსე სხვადასხვა განძით, ძველი და აზიაში ნაკეთობი — ნივთეული — ასე ერქვა საზოგადოდ, და შიგ არაერთი რამ მოელაგებიათ. სურა, იფრიბი, ზედ მურდახილით თვალს რომ მოგწყვეტდა, გულქანდა, ფარლული, შიბი, ამბარჩა სხვადასხვა, დერვიშის დუდუკი, დიარა, დასაუ, დომბრა, დამბრა, ქსოვილიც ბლომად და ფერადი, დარაია, ჩესურჩა, ვალიზი და სკივირიც არაერთი და ხალიჩები სხვადასხვა და ამოსარჩევად ძნელად საცნობი.

ესე დილიდანვე იჯდა აჰმედი სკამზე და არა ბალიშზე და პირში ყალიონი ჰქონდა, მილით წყლიან ბოთლში რომ იდო და იმის გაგრილებულ კვამლს ყლაპავდა მალი-მალ.

შემოსულ მუშტარსაც თვალს აყოლებდა, ლაპარაკით არ ღლიდა, გინდა იყიდე, გინდა გაიარე, ხალიჩის მომხილველის დაჭერისა თითქოს არაფერი სცოდნოდა.

ხალიჩები კი გასაჯიბრებოდნენ ერთი მეორეს. იმათი ქსოვის ადგილი სხვადასხვა იყო, კუბა, ყარაბახი და დაღესტანი და მათ გვერდით მოსძებნიდი უფრო შორიდან ნახიდსაც, ხორასანიდან, კურანსტანსა და ჰერატადი.

ბევრიც სხვა იყო, ჩამალული და ერთი მეორეზე დალაგებული და კაი ხნის გადმოულაგებელი და იქნება არც გაშლილა არაოდეს და იმის მტვერი კაი ხნის დაგროვებული არც გამოეპერტყათ. ვინ იცის, იმის სიღრმეებში რას გამოსძებნიდა მომხილავი და შიგ ჩამხედავი, იქნება იყო შიგ ნუხის ხანის სასახლიდან გამოტანილი ხავერდი, შაჰ აბასის დროინდელი ხალიჩა ისფაჰანიდან, ხალიჩა მოქსოვილი თურქმენი მომთაბარის კარავში, ზედ ჩუქურთმით თემურ ლენგის დროიდან რომ შეუნახათ, ანაც და ფარდავი მოქსოვილი ერევანში ქურთის მიერ. ოღონდაც ეს მეტად მიყრილი იყო და მეტად არეული დახვეული და დაყრილი და გაჭირდება ამის მტკიცება და თქმა.

— ეს ყველაფერი კაია, მაგრამ ამას ნებისმიერ ღუქანში იყიდი, თან არაბარტო ტფილისში და აქაც განა ცოტაა ასეთი ქარვასლა? — თქვა უეცრად ევროპულად მოსილმა მამაკაცმა, ცალ თვალში გაკეთებული მონოკლით.

მასში იტალიელს ამოიცნობდი. ეს ის-მოდა იმის ნათქვამის გატყვილ სიტყვებში და იმის უკანაც რაღაც სხვა იმალეობდა.

აჰმედმა ცოტა ხანს დაახანა — არ ეგების აჩქარება, როცა ყალიონს სწევ. იმან თვალთ გასინჯა მოსული და ასე თამამად მთქმელი სიტყვებისა და იმის გირვანქა და მისხალი ანონა.

— განა არ არის ასე? — დაასო მან ისევ თავის თვალის შუშა აჰმედს.

— და თქვენ რა გნებავთ, აბისინის მეფის კვერთხი? სომხის ბაზარში იმას ვერ ნახავთ, — კვამლთან ერთად ამოუშვა აჰმედმა.

— ხო, ვერც აბისინის მეფის კვერთხს და ვერც რომის პაპის ტიარას, ავინიონის მისადგომებთან რომ დაჰკარგა სადღაც.

აჰმედმა გაოცება არ იცოდა, ხმის არ ამოლება კი — ყალიონს დასწვდა ისევ და მოჰქაჩა.

— ტკბილად საუბრობთ, ყალიონის სიტყვებია ისმის თქვენს სიტყვებში, — თქვა შემდეგ აჰმედმა და ისევ აკვირდებოდა, რა იცი, საით წავა საუბარი.

— მე მსმენია თქვენს შესახებ, — მოსჭრა უეცრად იტალიელმა, — ისიც ვიცი, ამ ღუქანმდე სულ სხვა საქმეებს რომ მისდევდით, — თან ხელს ერთმანეთზე დალაგებულ ხალიჩებს უსვამდა.

— აბა, რა საქმეებს? — გამობერტყა სატურის ნამწვი აჰმედმა.

— მაგალითად, აღმოსავლეთის ეკსპრესით მგზავრობა გიყვარდათ.

აჰმედმა ერთხელაც გასინჯა თვალთ ამ უეცარი სიტყვების მთქმელი. ეს არ იყო გახსენება კონკაში ერთად ჯდომისა.

— ერთად ვიმგზავრეთ? — იკითხა დინჯად და თვალებით სადღაც აღმოსავლეთისაკენ იხედებოდა, თითქოს მექას ექებო.



დათო მალრაძე

ბუღააკუშის საავადმყოფო

სულ ახლოს იყვნენ უდაბნოს სვავნი და უცბად ზღვა და მხურვალე ქვიშა... და ხის შეზღონგზე აქაურ გზავნილს შეგხედე, როგორც იქაურ ნიშანს.

ცხელი შუბლი და ლანდების ზონა... ნაპირი... ქოლგა... შეზღონგის განძი... და თერმომეტრი გრადუსით ზომავს ჩემგან შენამდე დარჩენილ მანძილს.

40-ზე ქოლგის მეცემა ჩრდილი შოტლანდიურის გარეშე ვლოთობ და ემსგავსება სინითლე დილის ოქტომბრის თვეში ვენახის ფოთოლს.

42-ზე გეხები ბაგით, როგორც ტკბილ ბადაგს, ახალ მოსავლის და შორეული ნაცნობი ჰანგი მიახლოვდება სამშობლოსავით.

შვიდსიმინის მომწვდა აკორდი, დიდხანს მესმინა მსურდა დებისთვის... ლანზე ცრემლივით ჩამომავორდი ამ მკლავის რელსზე თავდადებისთვის.

და მისუსტებულ ხმაში გავხიზნე უკანასკნელი ძალ-ლონის ფეთქება და მოულოდნელ ჩემს შეძახილზე გაუფართოვდა თვალები ექთანს:

შემოაბრუნეთ ხომალდი თეთრი! რომელიც ფრონტის ჰორიზონტს გასცდა... და თავზე პაპის ცილინდრი ფეტრის მოიტანს მეფის გვირგვინის განცდას.

საახალწლო

ქრისტეშობიდან ეს ორი ათას ცხრამეტი როცა დადგება ბის!-ზე, თუ ვერ შევხვდებით ესკორიალთან, ბატონის წყალთან დაგიცდი ისევ.

მამლის ყვილმა, ნაგაზის ყეფამ მომცა სიფხიზლე საზღვარის მცველის და წყაროს ღარზე მიშვერილ კეფას ქრისტემ შეახო გამხდარი ხელი.

მკითხავმა როცა გროშის სანაცვლოდ მომცა ჯვრის დამის სამოთხის საშვი, მაშინ განათდა ლექსის Palaco, — ბოშის ჩანთიდან ღიმილი ბავშვის.

განათდა ლექსის სახლი და ახლა ვბრუნდები შენთან, როგორც ულისე, ცინცხალი ჭორის ინტრიგა ახლავს თეატრის სცენის მტვრიან კულისებს.

და განშორებას რადგან არ ვენდე, შენი სურნელი მომყვება გზაში, ფარდის „ ბრაუო!“-თი დაშვების შემდეგ ასე განაგრძობს სიცოცხლეს ტაში...

— მოვდივარ შენკენ და ვარ ამაყი. რომ კვლავ მფარველად მირჩევს ჰეტერა და მელოდება შენი ჰამაკი, როგორც ორდენი ომის ვეტერანს.

დამემონება ციდან ზენა, ან ვნების ღვთაება იტყვის ეროსი,

რომ ლექსი ჩემთვის გადარჩენაა... ...ვისთვის share-ი მძიმე ნევროზის.

— მოვდივარ და თვალს ძველი უბანი ისე მაყოლებს, როგორც სამიზნეს, ჩემი ლექსები, მწყალობს უფალი, უცხო ქვეყნებში უკვე გავხიზნე.

მინდა, უკეთეს მომავალს მივცე და როგორც ქერივი ვმფარველობ ალბა, მერე, კი როცა გავუცვლი სივრცეს, დაბრუნდებიან უჩემოდ ალბათ.

ჯერ კი მოვდივარ, ძველი კედელი მომდევს წარწერით: „დათოს + ლალი...“ შეუძლებელი თუ ვერ შევძელი, ჩემი კისერი და შენი ხმალი.

— მოვდივარ, მაგრამ მინდა მანამდე, რადგან ბილიკმა დამქანცა შორმა, გაგანდო, ერთხელ რაც ვერ გაგანდე და საიდუმლო გავიყოთ ორმა:

...პოეტის სახლში სრულდება მესა, გათამაშდება ძველი პიესა, გადაიქცევა სიტყვები ლექსად, როგორც პური და ღვინო იესოდ.

ოთახს ჰყოფს შირმა, მსგავსად კანკელის... კალმის წკრიალის ისმის — ოსანა! და სამელნიდან ამოკენკილით აიკინძება კრიალოსანი.

პოეტის სახლში სრულდება მესა, ევქარისტიას მოწმობს ფურცელი, სადაც პოეტი იცვლება ლექსად და საიდუმლო რჩება უცვლელი.

და ყოველივეს სიმძაფრეს მატებს მჭვირვალე ზღვა და მხურვალე ქვიშა, და შენს, ზღვის, ქვიშის და ქოლგის კვარტეტს აღვიქვამ, როგორც ღვთაებრივ ნიშანს.

და მარად უფლის ნიშანს რო ველი, ვიცი, ამიტომ მანვეს რა ვალი, როგორც ბოლერო მორის რაველის, უსასრულობით მოურეველი.

შეძახილივით მოჩანს რაველო, ვით სერენადა ძველი აივნის, არ მოერიოს რომ სარეველა, მე ამ ალუას ლოცვით ავივლი.

ავივლი ისე, როგორც გოლგოთას... ჩვენს ჯვრისწერაზე მოვიწვევ ქრისტეს... — როგორც მიყვარხარ, ისე მომწონხარ, როგორც მომწონხარ, მიყვარხარ ისე.

კალიგრაფია

გუძღვნი ბების, ელენე ზანდუკელის ნათელ ხსოვნას

კალიგრაფია ნავიდა, გაქრა... ჩვენი ყოფიდან ნავიდა, გაქრა, გაჩნდა mail-ი, წერილი გაქრა და სინატიფეც ცხოვრების გაქრა. წერილზე სატრფოს ცრემლები გაქრა, პომადის კვალაც უკვალოდ გაქრა. თონიდან პურის სურნელი გაქრა, ეკლესიაში სანთელი ჩაქრა.

კალიგრაფია ნავიდა, გაქრა, ამ ფიქრმა უცბად ამ დილით გამკრა, ვფიქრობ, ეს ფიქრი რომ არის საკრა-ლური და ვკიდებ ხელს მტვრიან საკრავს, ველი მინაზე ზეციურ ანკლავს და ცალი თვალის ღრუბლიდან ჩაკვრას.

თუმცა ინტერნეტ-ქსელის მაფია სიტუაციას ვერ ქმნის საგოლეს, ისე დაკრძალეს კალიგრაფია, რომ ერთი ცრემლიც არ გააყოლეს.

— რა უსულგულო ეპოქა მერგო, როდესაც ასლი დედნობას ლამობს და ვუსამძიმრებ ჩემს გამზრდელ ბებოს, კალიგრაფიის გაქრობის გამო.

ვერ დაინახავს ზეციდან ბებო, თუ ფეისბუქზე დავდე ეს პოსტი, ამიტომ კონვერტს ვანვეთებ ნებოს, და ჩემს ხელნაწერს ვაგზავნი ფოსტით.

„ლალატი“

მე ლექსის თარგმანს ვადარებ ლალატს, გაფაქიზებულ სმენით და ყნოსვით... როცა გაბზარულ ხერხემლის მალას უჭირს გაძლება გამართულ ტოროსი.



თარგმანი მაინც რაღაცას მალავს, ან დამალულის დანახვა უჭირს, როგორც გაბზარულ ხერხემლის მალას აქვს პოდიუმზე მცდელობა ფუჭი.

ხან ნიუ-იორკის ცაა ნათელი, ხან ბოსფორს გავცქერ და ხან ბალატონს, მელიან, სადაც ჩემი მთარგმნელი გამოვა ხოლმე ჩემს სალალატოდ.

— და რადგან უცხო მინდვრებზე მენდეთ, გავიტან ლელოს ძველი რეგბისტი, ღმერთი გწყალობდეთ, მადლობა თქვენდა, ჩემი ღალატის ერთგულებისთვის.

LACRIMOSA

— სა-ლი-ე-რი!
— სა-ლი-ე-რი!
— სა-ლი-ე-რი!
— სა-ლი-ე-რი!

აი, ამ ქვეყნის დასალიერი... სკანდირებს მასა, ვაღებ დარაბას, ისევ მოცარტი და სალიერი... — სიტყვა ეძლევა ბატონ ბარაბას! შორს ინვესტორი მოჩანს არაბი, აუჩქარეო, ეტყვის ბარაბანს, უნდა აღმოფხვრას მან სიღარიბე და დაასრულოს დავიდარაბა.

მამა ვაცხონე იმდენი მათი, დარდი არ ჰქონდეს ჩვენი ამ ქოსას, მოხელე, როგორც გაჭრილი კარტი, ელის კრუპიეს მეორედ მოსვლას.

პოლიტიკოსი უფრო მარტივად საბანკო ქვითრებს ფრთებივით იბამს და გასაჭრელი ისიც კარტივით მწვანე მაუღზე დაეძებს იღბალს.

ო, ART-ის ხალხი... ლექსით, ნახაბით... განსაცდელში რომ ვერ ნახავ ვერსად, სანყალი ხალხის გადასახადით მოინახულებს ლუერსა და ვერსალს.

მომარჯვებული შავი პიარით ხმის დაკარგვამდე სკანდირებს მასა, შემფოთებული ჩანს პომპიერო, რადგანაც ბავშვებს ანდობენ ასანთს.

...ზეობს პოპ. ART-ი, მახსოვს სოც. ART-ი, — ჰოპლა, მეც ART-ი! ქრება ნაც. ART-ი, გვრემა მუც. ART-ის... მაგრამ მოცარტი... ჩამოვიფერფლე... ჩამოვწაცარტი...

— აი, ამ ქვეყნის დასალიერი, ფეხს აუწყობენ რიტმში ბარაბანს, ისევ მოცარტი და სალიერი... — სიტყვა ეძლევა ბატონ ბარაბას!

ისევ ზღვაში ვართ, არ ჩანს ნაპირი, ჩანს შავი კაცი, ბასრი რაპირით, თუ უკვდავება არ დავაპირე, ან ამ რაპირას დავხვდე რა პირით...

...მართლა ცა არის, თუ ცის მირაჟი?... სულის ხეტიალს რომ ნაძქრით მოსავს, და აჩქარებულ სუნთქვის ფინალში: ორკესტრი, ქორო და Lacrimosa...

— ამოდი, მზეო! ამოდი ასი ათასი სხივი ესროლე სარკმელს, სადაც წევს მკრთალი ამადეუსი და რეკვიემის საკმეველს აკმევს.

ფრინველი ცაზე

გასამარჯვებლად ვიბრძოდი მუდამ, მარცხთან კი მეტი საერთო ვნახე. ერთხელ სარკეში გავხვდე ცუდად გამარჯვებულის კმაყოფილ სახეს.

მარცხს მოაქვს მეტი ფიქრი და განცდა, სუნთქვას განაგრძობს საბრძოლო დვრიტაც... ცხოვრების გზაზე თუ მარცხი ავცდა, გაქრება შენი ფრინველი ციდან.



მაია ნიქარიშვილი

ომს იწყებენ ჩემნაირები, და ჩემნაირად თავგამოდებით, ომის დანყების თარიღს საგულდაგულოდ შედგენილ თეთრ კალენდარზე ნითლად ნიშნავენ...

ომს იწყებენ ჩემნაირები, და ბოლომდე მამაცური თავგამოდებით, პირველები მიხტუნავენ წინა ხაზზე... იქნებ ომის დამწყებთა შიში მაინც ვერავინ იგრძნოს...

იდექი აქ — წინა ხაზზე, ჩემთან დგომა გარანტიაა, ომის მოგების თუ არა, წაგების შემდეგ ცოცხლად დარჩენის...

ჩემთან დგომა გარანტიაა ცოცხლად დარჩენის... ჩემთან დგომა შენთვის უფრო ბენვის ხიდია...

გა-ი-ქე-ცი — გაქცეულებს აღარაფრის აღარ აქვთ შიში, გაქცეულები — უშიშრებად გადაქცეულნი გაიქცევიან...

ომიდანაც გაიქცევიან, გაექცევიან ჩემნაირებს, გაექცევიან თავისნაირებს, ომიდანაც გაიქცევიან...

ომს იწყებენ ჩემნაირი გიჟები, და ჩემნაირად თავგამოდებით ომის გაგრძელების თარიღს საგულდაგულოდ შედგენილ თეთრ კალენდარზე ნითლად ნიშნავენ...

სანამ კერპს აღვმართავდი, მოვიმარაგე აგური, რომ კვარცხლბეკი ამეგო... მოვიმარაგე შანდლები, რომ კერპისთვის ცეცხლი დამენთო. კერპისთვის ვისწავლე ცეცხლზე სიარული, კერპისთვის ვისწავლე — ლოცვა ჰაერისთვის, ვისწავლე ყველაფერი — არავისთვის, და ეს არავინ ვაქციე ყველაფრად... სანამ კერპს აღვმართავდი, სანამ აგურს მოვიმარაგებდი, სანამ შანდლებს მოვიმარაგებდი, რომ კერპისთვის ცეცხლი დამენთო... არც კი გამხსენებია, რომ მე მყავს ღმერთი, რომ ღმერთი ერთია და ის კერპი არაა, არც კი გამხსენებია ღმერთი, რომელიც მე მყავს და არაა კერპი.

ხეზეა გალია, გალია ხეზეა, შიგ არის ჩიტი... შენი ყური ჭიკჭიკის მოსასმენად მზადაა?

თუ ჭიკჭიკის გაგონებისას მოულოდნელად გულზე ხელს დაიდებ, შეიძლება იგრძნო... არა, რას გრძნობს ჩიტი, იმას ვერ იგრძნობ, უბრალოდ იგრძნობ შენი გულის ცემას, რომელიც ჩიტის ჭიკჭიკმა უფრო მეტად ააჩქარა... ხეზეა გალია, გალიაში ჩიტი, ჩიტს აქვს გული, ის ჭიკჭიკებს... გესმის ჭიკჭიკი? ხედავ ჩიტს? დიახ, გალიაშია... მაგრამ გალობს, რასაც უნდა, როგორც უნდა, გაიგონოს, ვისაც უნდა...

ვაჭრები — ვაჭრობენ, ყიდიან ყველაფერს, გარდა სულისა... ვაჭრები — ვაჭრობენ და ხანდახან სულსაც ყიდიან...

არ ვარ ვაჭარი და ამიტომაც ვერაფერს ვყიდი... ვყიდი ვერაფერს — გასაყიდიც არაფერია... ჩემი გული გავსებული ქისებია, პირთამდე სავსე მოლოდინებია... ჩემი გული გავსებული ქისებია, პირთამდე სავსე მოლოდინებია... გამოიარე, ცარიელი ხარ? აივსე მოლოდინებით, შეგიძლია მოაკლო ქისასაც, ყველაფერი უსასყიდლოა... ვაჭრები — ვაჭრობენ, ყიდიან ყველაფერს. არ ვარ ვაჭარი! გასაყიდიც არაფერია...

შეხვედრის ადგილი

ჩვენი შეხვედრის ადგილი ერთმანეთთან შეხვედრილ ორ ხესთან დავთქვათ... მათი ტოტები: ადამიანთა მკლავებზე უფრო, ადამიანთა სუნთქვაზე უფრო, ადამიანთა გულზე უფრო, მჩქეფარეა... არ შეგემინდეს, არ ავიხსნი, არაფერსაც არ ავიხსნი... თურმე ვერაფერსაც ვერ ახსნი, როცა ყველაფერი დაბმულია... როცა ყველაფერი დაბმულია და მეც დავები, შენ როგორ ავიხსნი... აუხსნელი აუხსნელად რჩება, ასახსნელი შეიძლება აიხსნას კიდეც, მაგრამ ამ ორ ხეშიც, რომლებიც ერთმანეთში აიბნენ, რომელთაც ერთმანეთი აღარ აბნევთ, და არც დახსნა არ უნდათ, მათშიც, არის რაღაც აუხსნელი... რაღაც აუხსნელი... მათშიც... არის აუხსნ... მოდი, ჩვენი შეხვედრის ადგილი ერთმანეთთან შეხვედრილ ორ ხესთან დავთქვათ...



რეზო თაბუკაშვილი



გაცურვა

— ისევე დაკეტეს ხიდი. კომენდანტი გამოვიდა და სამ საათში გავხსნით ალბათ... მინა დავაყარე მაგათ, — თქვა ლოდინისგან დაღლილმა და სიცხისგან გათანგულმა ქალმა.

— წამო, წავიხემსოთ სადმე. დროსაც მოვკლავთ, — თავის შვილს, თოთხმეტი წლის წინას მიმართა ლიზამ.

„კაფე-რესტორანი“ — ამაყად ეწერა მონგრეულ-მოუვლელ დაწესებულებას, რომელსაც „სასადილო“ ბევრად უფრო მოუხდებოდა დასახელებად. შევიდნენ ღია კარიდან. მოზრდილ დარბაზში არავეინ იყო. დახლზე მოწყენილად ჩამოყრდნობილი მზარეული თავის დასკვრით, უხალისოდ მიესალმა. სანამ ლიზა მენიუს ეცნობოდა, წინამ ცარიელი სივრცით ისარგებლა, მოკლე გამორბენით შეხტა, დატრიალდა ჰაერში რამდენჯერმე. საბალეტო სკოლაში დადიოდა და ყოველ მოხელთებულ წამს რაიმე ილეთს წაიციკვებდა მონდომებით, ყელის მოღერებით, ხერხემალში ლარივით გასწორებული.

— მოდი, დაჯექი, — გაეცინა მაგიდისკენ დაძრულ ლიზას.

— კარგი. დე, მაგრა გიხდება მოკლე თმა, კარგად შეგჭრა, პატარას გეყვარ, — სკამზე ჩამოსკუპდა წინა.

— ძალიან დიდიც არ ვარ, — ჩაეღიმა ლიზას.

— კარგი... ეხლა მომიყვი, — ანთებულ მზერით მიაჩერდა წინა ლიზას.

— ომის დედაც... როგორი მაგარი ამბებიც არ უნდა ხდებოდა იქ, — ბრაზიანად გამოუვიდა თქმე ლიზას. არ იყო ხასიათზე.

— დე, შეიგინე, — გაოცებული ჩანდა წინა.

— ჰო, ვიცი, ბოდიში, — იდაყვებით მაგიდას ჩამოეყრდნო ლიზა. აღარ უნდოდა აფხაზეთში გადასვლისას რიტუალად ქცეული ძველი, ოცდახუთი წლის წინანდელი, ამბის მოყოლა.

წინაზე ორი წლით უმცროსი იყო მაშინ. სოხუმი ეცემოდა. ბებიასთან და ბაბუასთან ცხოვრობდა ობლად დარჩენილი. დედა მის მშობიარობას გადაჰყვავ, მამა ომში მოკლეს.

ქალაქი რომ დაეცემოდა, რამდენიმე დღით ადრე უკვე ნათელი იყო. ხელშეკრულების თანახმად, ჩვენებს ტექნიკა გაყვანილი ჰყავდათ. მხოლოდ ერთი გაუბიჯა მუშაობდა დაულოლადად, მამაცად. სამჯერ „დაწვეს“ და სამჯერვე აღდგა გასაკვირად ფენიქსივით და უშვებდა გრძელი წუთით ნასროლ ჭურვებს გუმისთის იქით, მიღმა, მაგრამ მარტო მაგით რას გახდებოდი... მტრის არტილერია კი ურტყამდა და ურტყამდა ქალაქს შეუსწებლად ყველა სახის მსხვილკალიბრიანი ლულებიდან. რუსების ტექნიკა იყო, შემსრულებლებიც მათი. ამოსუნთქვის საშუალებას არ იძლეოდნენ. ვერც ერთ უბანში, ქუჩაზე, და სხვა ვერ წამოსწევდი, ფეთქებოდა და სკდებოდა გარშემო მინა, ასფალტი ღრმა ორმოებად ინგრეოდა, ინვოდა სახლები ზუსტი „ნავოდით“ ნასროლი ნაღმებისგან, ჭურვებისგან. ორჯერ აღებული ანძა დაკვარგეთ, ვაგზლის დაცვა ვეღარ მოხერხდა, „მაიაკი“ დაეცა და შემოვიდა გამარჯვებული მტერი ქალაქში უცხო ყიფინით. შემოგლიჯინდა ველური როკით და დააყენა სისხლის გუბები.

ომის განახლებისთანავე, ორჯერ გააყოლეს ლიზა ნაცნობ-ნათესავებს სამშვიდობოს გასაღწევად, მაგრამ ორივეჯერ გამოეპარათ და უკან მობრუნდა. არ აჰყვავა გლეხთაში ბიძაშვილებს უკრაინულ გემზე, უკრაინულ შავ გემზე, რომელმაც მიძიდე გადმოაგდო ტრაპი ზღვის სანაპიროზე, მუცელი გადაუხსნა თავშესაფრად სიკვდილს გამოქცეულ, ხელში ბავშვებატატებულ მშვიდობიან მოსახლეობას. მაშინაც მოხია ბოლო წამს. ყურადღება არ მიაქცია ნათესავების განწირულ დაძახებას, მოხმობას და ტალღად დაძრულ ხალხში გაათლვას სასწაულით გადარჩენილი სახლში მიბრუნდა, გაბრაზებულ და დადარდიანებულ ბებია-ბაბუასთან.

მეორედ ჭუბერის გადასახვევიდან გამოექცა გზად გამოჩენილ ნაცნობებს, რომლებსაც დიდი თხოვნით და მუდარით ჩააბარეს მისი თავი დაუძღურებულმა გამზრდელმა. თავად აღარც ჯანი ეყოფოდათ გასაქცევად და აღარც სურვილი შეარჩენოდათ სიკვდილთან დაჭერობანას თამაშისა — „ჰა, მოდი, აქა ვართო“ —

ორივენი ბედს უბოლმოდ (შეიძლება, კარგა ბრაზიანადაც, მაგრამ ლიზას მაშინ ასე მოეჩვენა) შერიგებულები იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, მოხუცები დასახვრეტად რომ დააყენეს ეზოში, მზერა მშვიდი ჰქონდათ. ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთს ფრთხილი შეხებით და, თითქოს, კეთილად ჩაეღიმათ გასროლამდე. ასე დაინახა და დაამახსოვრდა თორმეტი წლის ლიზას სამალავიდან ჭვრეტისას, საითკენაც ხელის კვრით გადევნეს ბებია-ბაბუა ქუჩაზე მტრის ჯარისკაცების გამოჩენისას. სახლის უკან, მალალ ფეხებზე შემდგარი ხის სათავსის გვერდით, პატარა ყანაში დაიმალა. არც თვალეტი დაუხუჭავს, არც თავი მიუბრუნებია სამინელი სანახაობის ასაც-ილებლად. ბოლომდე უყურა დახვრეტას. მერე ადგა და გაიქცა. შეიძლება, ტიროდა და ცრემლებიც მოსდიოდა ღვარად. არ ახსოვს. სიმწრისგან გული ჰქონდა გახეთქვამდე და დადევნებული მტრის შეძახილისგან ათრთოლებული.

— **Стой, сука!** — მოესმა. ის სამნი იყვნენ, მათ ეზოში რომ შემოვიდნენ დაუძახავად, სიფრთხილის გარეშე. ერთმანეთში რუსულად ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ჯურისა და სისხლისანი.

„**Стой, сука!**“ — დაამახსოვრდა შემონაცემი და ახლოს ჩანულიებული, სიმინდის ტაროების ჩამოვლებით თავის ზევით გაფრენილი ტყვიის ხმა. ეგონა, გამაზეს, ვერ მოარტყეს. სირბილს განაგრძობდა შეუნელებლად. გახურებულმა სხეულმა ვერ იგრძნო თქმის ზევით, ზურგში მოხვედრილი და მუცლიდან გამოსული ტყვიანი. „ტრაბ-ტრაბ“, მიაყოლეს ბრმად, რადგან უკვე მეზობლის ჯაგანრები გადარბენილი ჰქონდა და მათი ხედვიდან დაფარული იყო. რალაცას წამოედო, წაიბორძიკა და გვერდულად დაეცა. ხელი მიიღო მუცელზე. სისხლით მოეზუნა თითები. სწრაფად წამოხტა. გაიქცა. პატარა გოგოს მცირე წონით და შიშის ძალით მოლონიერებულმა, ბეჭით გადაზნიქა ფარღალა ღობე და მასთან ერთად დაეარდა მიწაზე. სამეული წელი ნაბიჯით მოუყვებოდა ქუჩას. კვალში ჩამდგრებით აუჩქარებლად აგრძელებდნენ დევნას. ქალაქი უკვე მათი იყო.

კიდევ ერთი ეზო გადაიბრინა. ბევრჯერ დაეარდა. ქოშინით გადააბობდა ბეტონის დაბალ ღობეს და ძუნძულით გააგრძელა გზა. სწრაფად სუნთქავდა, გულის ხმამალად ფეთქვას მთელ სხეულში გრძნობდა. ძალა ეცლებოდა. ისევ დაეცა, გაუჭირდა ადგომა. მაისური სისხლით შეეღება. ჯანი აღარ ჰქონდა. ნვალებით მიფოფხდა პატარა აგურის სახლთან და ქანცგაცილილი ჩანვა დაბალი ფანჯრის წინ ბალახებში. სისხლით დათხვრილი ხელი ჭრილობაზე ედო. თვალბინა დაეხუჭა და უცბად ჩამონოლილ სიჩუმეს უსმენდა. ბალახის წვეროები საფეთქელთან უღიტიტებდნენ. მძაფრად გრძნობდა ბალახისა და სისხლის ერთმანეთში არეულ სუნს.

ნაბიჯების ხმა გაიგონა. ვილაც მოძრაობდა სახლში. ოდნავ წამოინია და მალულად შეიხედა გაღებულ ფანჯარაში.

თორნიკე დაინახა, მეზობელი კაცი. ორლულიანი თოფით ხელში ფრთხილად, დაძაბულად მოძრაობდა ოთახში. ერთი ფანჯრიდან მეორისკენ გადაბოროდა, გარეთ იყურებოდა, ქუჩისკენ, საიდანაც უცხო სიტყვები, ლაპარაკი მოისმოდა ნაბიჯ-ნაბიჯ მოახლოებით. ლიზას ფანჯარასთან შედგა თორნიკე. ის ისევ ბალახებში ჩანდა.

— კარგია, რომ კარტენია, — გაიგონა კაცის ნათქვამი და თოფის ლულების გადახსნის ხმა.

ლიზა იცნობდა მას, მის ცოლსაც, ლალის და ორი წლის შვილს, ნატუკას. ქართველები იყვნენ. თორნიკე ომში მონაწილეობას არ იღებდა, არ იბრძოდა. არაფერი დაუშვებიათ ჩემთვის აფხაზეთს, მათი სისხლი რომ დაეღვარო. მორწმუნე ოჯახი იყო. ხატები ჰქონდათ სახლში, რომლებსაც სანთლებს უნთებდნენ და ლოცულობდნენ. ხანდახან ლამლამობითაც, დაბობებებისას, რის გამოც, რამდენჯერმე ქართველი სამხედროები მიუვარდნენ: „ეგ შუქი, განათება ჩააქრე, აგენტი ხომ არ ხარ, „ნავოდკას“ ხომ არ აძლევ მტრის არტილერიასო“. შტაბშიც წააბრინეს, რომელიც ჯერ კიდევ სოხუმის ცენტრში, კინო-თეატრის შენობაში იყო განლაგებული, მერე და მერე დაიხია შტაბმაც სინოპამდე...

უვლიდნენ საკუთარ კარ-მიდამოს თორნიკე და ლალი მთელი ომის განმავლობაში. ბარვდნენ, თხნიდნენ. ულამაზესი ბალი და პატარა ვენახი ჰქონდათ გამიხებული. „ესა მაქვს, რაც მომიცა ამ მიწაზე მამა-პაპის დანატოვარი და მოვეუფელი, სანამ ვარო“, — ეუბნებოდა თორნიკე ლიზას ბაბუას, რომელიც გახიზვნას ურჩევდა. არ წასულან არც ერთხელ. არ ტოვებდა სახლს თორნიკე. ცოლ-შვილი რატომ არ გაუშვა, არ იცოდა ლიზამ. სახიფათო იყო სოხუმში ყოფნა თავიდანვე... თუმცა, ბოლოს, თბილისიდანაც დააბრუნეს გაქცეულები: საპირველესე-ქტემბრად სკოლებს ვხსნით და ჩამოვით, ბავშვები ჩამოიყვანეთო, იყო ნათქვამი და ბევრმაც დაიჯერა, მობრუნდა ოჯახებიანად...

— კარგია, რომ კარტენია, — გაიმეორა თორნიკემ. ლიზამ მის ზურგს უკან გაიხედა და ღვთისმშობლის ხატის ქვეშ, ხის სკამზე ჩამომჯდარი, თითქოს ძველებური ფოტოს გადასაღებად გამზადებული, ლალი და ნატუკა დაინახა. ლალი, გაქცევებული სახით, თვალმოუშორებლად აკვირდებოდა ქმარს, თან მკლავებში ძლიერად მოქცეულ, ახვანცალეულ ნატუკას აკავებდა. ბავშვი ჩუმად ზოოდა, დედას ეპოტივებოდა სახეზე. გარედან უცხო ლაპარაკი ახლოვდებოდა.

— **Проверим эту хату!** — სამეული ეზოში იყო შემოსული, კართან შემდგარი. თორნიკემ კიდევ უფრო უკან დაიხია, კედელს მიეყრდნო ზურგით.

— აქედან გაიშლება, — თქვა, ცოტა ხანი უყურა მას მიჩერებულ ლალის, დედის სახის თვალთვლით უცბად ჩაჩუმებულ შვილს, მერე პირჯვარი გადაწერა

შორიდან ორივეს, სწრაფად მიიღო ბეჭე თოფი და სახსლესტ გამოჰკრა, „ბაბუ, ერთი ტყვია ჰქონდა თორნიკეს...“

„...რატომ მახსენებ, წინა! მაშინაც არ დავხუჭე თვალეები, დავინახე სკამიდან ძირს დავარდნილი ლალი, და... ნატუკა აღარ დამინახავს. ხატი ეგდო იქვე. თორნიკე ჩემს ფანჯარასთან ჩამოჯდა დიდი ბეჭითი ხელში, თავი ჩაქინდრა წამით... ისევ ბალახებში ჩავიმაღე. „**По моему — лимонка!**“ — გავიგონე იმათი დაყვირება, მერე თორნიკეს ღრიალიც და ორი ავტომატის გრძელი ჯერიც... მაგრამ ამას ხომ არ მოგიყვები, პატარა ხარ. რომ გაიზრდები, არც მერე გეტყვი, არ არის საჭირო, იცოდე... კარგი, მაცალე ცოტა. მოვწვევ ერთ ღერს და მივალ შენს სანდრომდე და მის კატერინამდე...“

გონწასული ლიზა აფხაზმა მეზობლებმა იპოვეს. აზრზე რომ მოვიდა, ნესტიან სარდაფში იწვა. ძიაბორია და მისი ცოლი, ლიდა დასტრიალებდნენ თავს. ლიდა ჭრილობას უმუშავებდა, სპირტით უსუფთავებდა ნატყვიარს. ძიაბორია ქვაბიდან აწვდიდა სტერილურ, ადუღებულ წყალში ნადებ საფენებს.

ლიდა ექიმი იყო, სოხუმში ცნობილი ქირურგი. ორ დღეში ერთხელ დიდი შპრიცით შეჰყავდა ჭრილობაში სადენიფექციო მოვარდისფრო სითხე, გულის ნასვლამდე მწველი, მაგრამ ლიზა ხმას არ იღებდა, ჩუმად უძლებდა ტკივილს. ეშინოდა დაყვირების, ქართულად დაყვირების.

შვილივით მოუწარეს. ახლობელი ოჯახები იყვნენ. მათ თვალწინ გაიზარდა ლიზა. ბებია-ბაბუამაც გადაარჩინეს ერთხელ ძიაბორია და ლიდა ქართველი მეომრებისგან. მათი ორივე ბიჭი ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდა. ეგ ამბავი არ იცოდნენ ქართველმა ჯარისკაცებმა. როგორც აფხაზებს დააცხრნენ თავს დასანიოკებლად, მტრები გვყავხართ ზურგშიო. ბაბუამ ივაჟყავა მაშინ, ბებიამაც, დაუდგნენ გვერდში და თმის ღერიც არ ჩამოაგდებინეს აფხაზი მეზობლების...

სოხუმი როცა დაეცა, ბერი იყო ეგეთი ფაქტი, რომ შეიფარეს და გადაარჩინეს აფხაზებმა წლობით ერთი ცის ქვეშ, ერთ ზღვასთან ნაცხოვრები ქართველი მეზობლები, და არა მარტო მეზობლები...

რუსი, ვაზაკი, სომეხი, ყაბარდო, ჩეჩენი და ათასი სხვა ახვარი ერთად შემოვირდა ქალაქში. თვინათი წარმართული ადათებით, დამარცხებული მტრის გავმეზეც იცეკვეს და მოჭრილი თავებიც გააგორეს ზურთად. აფხაზები იშვითად კადრულობდნენ ამას. მიუხედავად დიდი მტრობისა და დაღვრილი სისხლისგან გამოწვეული სიძულვილისა, ზოგი მათგანი, შეძლებისდაგვარად, ცდილობდა ქალაქში ჩარჩენილი ქართველების დაცვას... იყო, ეგეთიც იყო... არადა, ბრძოლისას ტყვედ ჩავარდნილი აფხაზი დაჭრილი ბიჭები ქართულ სისხლს არ ისხამდნენ, ექიმებს არ ასხმევინებდნენ კათეტერიდან გადასარჩენად. სიკვდილი ეწირებოდა...

...და შენ წარმოიდგინე, წინა, მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, ძიაბორიამ და ლიდამ ქუჩაში დაგდებული თავში დაჭრილი მომაკვდავი ქართველი ჯარისკაცი... ჰო, შენ მისი ამბავი ასე რომ გხატავს და მოგონს, სანდრო, სახლში მომართიეს, სარდაფში დამალეს, გადაარჩინეს და თავგადაბნეული გვერდით მომიწვინეს.

პირველი თვე მეც სარდაფში ვავატარე. ჯერ არ იყო ომი განელებული, ჩამცხრა-ლი. „ჩისტკებზე“ დადიოდნენ, სახლს არ ტოვებდნენ გაუჩხრეკავს იქაურები. ნადავლს ექებდნენ, ჩარჩენილ მტრის მეომრებს და, საერთოდ, ყველა ქართველს... აფხაზების გარდა, ხომ გითხარი, ვინც იყვნენ „იქაურები“. სხვადასხვა სისხლისა და მხარის მყრალი ხალხი ერთად შეკრებილიყო და დაძრწოდნენ ქალაქში, დანთხლულ სოხუმში.

ბევრმა ვერ დაიცვა თავისი შეფარებული მიძვალი და... მოკლედ, დახვრეტები და ტყვეებზე ძალადობა გრძელდებოდა.

ძიაბორიას ბიჭებმა ორჯერ შემოირბინეს თავიდან სახლში. დახვდნენ მშობლებს და გავარდნენ პოზიციებზე. გასამაგრებელი ჰქონდათ სამეგრელოსთან მომიჯნავე ტერიტორია. კონტრშეტევისაც ეშინოდათ.

ჩემზეც არაფერი უთხრეს მაშინ ძიაბორიამ და ლიდამ, სანდროზე რომ არაფერი ვთქვათ. ეშინოდათ მათი რეაქციის, და სწორედაც ეშინოდათ... ჩემზე ნაკლებად ვამბობ. მე პირიქით, დამიცივეს, მომეხალერ-



სენე და, დასამალიც არ არისო, ზევით ამიყვანეს, სახლში. შემოხეტებული „ბაგრაშიანის ბატალიონის“ წევრები გინებთ გააგდეს ეზოდან: „Есть вашу, в ребенка стреляли, а сейчас подранка хотите взять на растерзание!“ — აგინეს ჩემი დანახვით ახურუშებულ სომხებს. ბენჯე მოგვისწრეს, წაყვანას მიპირებდნენ, ვითომ შტაბში, დაკითხვაზე. ქართველია, ვიცითო. ზაურამ, უმცროსმა ბიჭმა, კონდახიც ატაკა სიფათში ერთ-ერთს...

ერთი თვის თავზე მოხდა ეს. მე უკვე ზევით, ოთახში ვიყავი აყვანილი. სანდროს ამბავი ცოტა მოგვიანებით გაიგეს ზაურამ და ალკიმა. უმბლავდნენ მშობლები... სანდროს „მინამოტიის ასკოლკა“ ჰქონდა თავში მოხვედრილი. „ძალიან რთული ოპერაცია გავაკეთე, ტრეპანაციის დონის, ამ პირობებში“, — დაიტრატა ლიდა მისი გადარჩენით.

ორი დღე ვუყურებდი, გათიშული იყო. შეშინებული ვიყავი, ბოდა არ დაეწყო ქართულად. არ ბოდავდა. ოხრავდა თავისთვის. მარცხენა ბეჭთან ძველი ნატყვიარი ემჩნეოდა.

როგორც იქნა, გონს მოვიდა. იქაურობა მოათვლიერა, მეც გამომხედა.

— ზა, ვინ ხარ? — მკითხა.
— ჩუ! ჩუ! — პანიკას აყოლილმა ხელი დავაფარე სახეზე და ლოყითაც დავანექი პირზე.

— კარგი, დანყნარდი, — ჩაეცინა სუსტად და უკან გადმომანწვინა.

— აბა, ვინ ხარ და სად ვართ? მომიყევი, — ჩურჩულით გამიღიმა.

მოვუყევი. ჩემი ამბავიც ვუთხარი და ისიც, ძიებრიამ და ლიდა როგორ იპოვეს, მოუარეს და გადარჩინეს.

— თითქმის ტრეპანაციასავით ოპერაცია გავიკეთა ლიდაც, ძიებრიამ ეხმარებოდა, ვხედავდი, — შევუქე მასპინძლები. არ ვიცოდი, როგორ მოიქცეოდა და რას იზამდა და მისი გულის მოგებას ვცდილობდი; აქოდა, ნახე, რა კარგი ხალხია, სიცოცხლე გაჩუქეს და ომი და რამე ხათაბალა არ დაინყო თავიდან-მეთქი.

რისი დამწყები იყო. ჯანგამოცლილი ინვა. ჩაფიქრდა მწარედ.

— ჯობდა, დავეტოვებინეთ იქ, — ჩაილაპარაკა. სისხლის დაცლისგან გამხდარს, შავი თვალები დიდად უჩანდა. ოდნავ კეხიანი ცხვირი და წამოზრდილი წვერი ჰქონდა. ოცდასამი წლისა იყო სანდრო.

აზრზე მოსულს ძიებრიამ არ მიესალმა, უხმოდ ეხმარებოდა ლიდას საფენების გამოცვლაში.

— Ну, здравствуй, — ლიდა მიესალმა. სანდრო კარგა ხანს დუმდა.

— გამადლობო, — უთხრა ბოლოს ქართულად, რის გამოც ძიებრიამ გაბრაზდა, საფენები ადულელებულ წყალში ჩაახეთქა და მწარე შეგინებით ავიდა მონჯლრეულ კიბეზე. ლიდა თავი მოთოკა, ბინტები ამოიღო ჯამიდან და გადახვევა გააგრძელა. მარტონი რომ დავრჩით, სანდროს ბეჭზე მივკარი ხელი:

— ნუ აკეთებ მასე... ჩვენი მეზობლები არიან, კარგი ხალხი... იცი, როგორი... — ტყუილს არ ვამბობდი, მაგრამ ალბათ უფრო საკუთარ თავს ვუფრთხილდებოდი, — მაგათი შვილები იბრძვიან. არ იციან, ცოცხლები არიან თუ არა... მოგვკლავენ ორივეს, — ჩავილაპარაკე ბოლო სიტყვებით.

— კაი, შენ მაპატიე... შენ არ შეგეშინდეს!.. ვერავინ მოგვკლავს... თითსაც ვერ დაგაკარებენ, მე გეუბნები... — აღელდა, წამოწინა ლიბინიდან ტკივილის დავინწყებით, — მე დაგიცავ... მაგათი მოუფუტყნავ... მართალი ხარ, კარგი ხალხია... არაფრის შეგეშინდეს... — ძალიან შეწუხდა ჩემ გამო.

ჩუმად ვინეჭით დიდხანს.

— შენ რომ არა, იცი, რას გაფრინდებოდი აქედან, — ჭერში იყურებოდა და მშვიდად სუნთქავდა.

— როგორ?

— ცურვით, — ისევ ჭერში იყურებოდა.

— შენ ფრენა იცი თუ ცურვა?

— ორივე, — გაეცინა.

— და მე რა... არა... ვიცი, რასაც ამბობ... არ დამტოვო მარტონი... არც გაფრინდე, არც გაცურო, — ვუთხარი.

ლამე კომპარები მალვობდა. სულ ომზე და უბედურებაზე ვინყებდი ლაპარაკს. სანდრო მარუმებდა. მშვიდი ძილისთვის ზღაპრით მიყვებოდა, იხსენებდა თუ ბლანდავდა თავისი ბავშვობის მხიარულ ამბებს... ლიდავის ისტორიები დამამხსოვრდა,

სადაც პატარაობიდან ყოველ წელს ჩადიოდა ბიძამისთან დასასვენებლად.

— ...პიცუნდიდან სახელმწიფო ტრასით რომ წამოხვიდოდი, ლიდავის შემოსახვევში ყვითლად განათებული მილიციის ბოძი იდგა, — ჩამეხსოვდა სანდროს ხმა, — თავზე ჩინური ქუდივით რაღაც ედო. მსგავსი სხვაგან არ შემხვედრია... შემოუხვევდი და... ეგ მეგონა „ევას პავაროტი“. ჩემს ბავშვობაში იყო ასეთი თქმა კითხვაზე: — „სად?“ — „ევას პავაროტი“. კაცმა არ იცოდა, სად იყო. მე ვიცოდი. ლიდავის სააგარაკო, აგრებას ქუჩის შესახვევში. ჯადოსნური მოსახვევი იყო. მანდებდა იწყებოდა ჩემი ლიდავა, აფხაზეთი... არა, აფხაზეთი „თბილისი-გაგრის“ მატარებლიდან იწყებოდა. ოჩამჩირემდე არმისული (რიჭრაჟისას ხდებოდა ხოლმე, თუ მატარებელი არ დაიგვიანებდა მაგრად), სურნელი შემოვარდებოდა ვაგონის ჩამონეულ ფანჯარაში განსხვავებული. „აფხაზეთო ჩემო...“ — გეტყობდა... მატარებელი ჩერდებოდა ხოლმე მანდ სვეტაფორზე ცოტა ხნით. სოფელი იყო პატარა, უსახელო და ორი უზარმაზარი კიპარისის ხე იდგა ლიანდაგების გადაღმა, ზღვის ფონზე. ოთხი-ხუთი წლისა ვიყავი, ფანჯარაში გადაყუდებული ვუყურებდი კიპარისებს და ორი ბიჭი დავინახე, მათ ძირში თხრიდნენ მინას, თამაშობდნენ თავისთვის. მათაც გამომხედეს და დამამახსოვრდნენ. ჩემი ტოლები იქნებოდნენ. ქართველებს არ გავდნენ... მორუსო ბავშვები. ძმები იყვნენ ამკარად, შეიძლება ტყუპებიც. მათაც გამომხედეს ფანჯარაზე წელამდე აბობლებულს. მატარებლის დგაფანით დაძვრამდე ვათვლიერეთ ერთმანეთი. დამამახსოვრდნენ. მერე და მერე, მაგ სოფელთან ყოველი ჩავლისას, იმ ბიჭების ამბავს და ბედს ვეკითხებოდი ორ კიპარისს, რომელია დანახვაც აფხაზეთის პირველი სალაში იყო ჩემთვის.

სანდრო ჩემთვის იხსენებდა ტკბილად მოსაგონარ ამბებს. სარდაფში გამჯდარი დაბუდებული შიშის გაქრობას თუ არა, შორს მოტყორცნას ცდილობდა, ვხვდებოდა, — ლიზამ მოტყორცილი ყავა მოსვა და შვილს გახედა, — თავისთვისაც ირჯებოდა, ჰო, აბა რა, მაგრამ მარტო რომ ყოფილიყო, სხვანაირად დაელაპარაკებოდა ამ ახვარ, ზღვის სურნელით და სარდაფის მინით დანესტიანებულ, თითქმის გამარჯვებულ შიშს... ჩვენმა ბიჭებმა მაგრამ იომეს, იცოდნენ... ისევ ბრაზიანად გამოიყვინდა თქმა ლიზას, — ...ლიდავაში ორსართულიანი სახლი ჰქონიათ, — გააგრძელა მშვიდად, — ვაზით დაჩრდილული ფართო აივნებით, წითლად გაღებილი რკინის რიკულებიანი ხვეული კიბით, ძველისძველი შავი პიანინოთი და ბამბუკის დანწული სავარძლებით, კანაპეთი განწყობილი. შუა ეზოში უგემრიელესი ლეღვის ხე იდგა. ლობესთან ცამდე აჭიმული ხუთი ნაძვის ხე იყო დარგული და ჭა, მათ ძირში გათხრილი, რომელშიც შინდისფერი რეზინის ბურთი ეგდო („ეხლაღც გდიაო“ — ასე მითხრა). პლაჟიდან ახლოს ცხოვრობდნენ. ას მეტრში იწყებოდა ზღვასთან მისასვლელი „რომჩის“ ხეივანი. ლიდავის სანაპიროზე მეც მსმენოდა. ეხლაც ბევრი იხსენებს და აღნიშნავს, რომ მსგავსი არსად არის. მჯერა, სანდროსგან ვიცოდი და უკვე ვიცნობდი კიდევაც იქაურ ზღვას, მის არაბუნებრივად გამჭვივრულ წყალს. „ქალივით მენატრება, დიდი ხნის უნახავი, ყველაზე საყვარელი ქალივით... ერთს მაინც გავცურავ მანდ... ვცდიო“, — მითხრა.

ლიდაველ ბავშვებთან მეგობრობდა: აფხაზეთთან, რაჭვალთან, რუსეთთან. დიდ ბანდად მოძრაობდნენ ველიკებზე ამხედრებულები. უზარმაზარი ველოსიპედი, „უკრაინა“, იყო იქ მოდამი, სამი და მეტი ბავშვის დამტევი. მოახტებოდნენ ველიკებს და დაქროდნენ პიცუნდის „რობზავოდის“ ტანც-პლაშატკებზე ტურისტის რუსი გოგონის დასაბმელად, გასაცნობად. ბაზინებზე ჩართულ ალლა პუგაჩოვას და იტალიურ სიმღერებზე ინვევდნენ საცეკვაოდ (ერთხელ ხომ აგისხენი ბაზინები რა ხილიც იყო)... ასაკს იმატებდნენ, უფროსებად მოჰქონდათ თავი, პლაჟზე უნდობლად სასეირნოდ გაეტყუებინათ გოგობი...

და აი, სადღაც თორმეტი-ცამეტი წლისა იყო, როდესაც გამოჩნდა ისიც... ჰო, შენი მოწონებული კატერინა, — ნინას გაუღიმა ლიზამ, — ბაბა! პირველსავე დანახვაზე ბედნიერ მესხად რომ დაეჯახა სანდროს. „ევას პავაროტი“, გადახსნილ

ფარდულში ყიდულობდა Pepsi-ს და „სტაკანჩიკის“ ნაყინს, ჯოხით საჭმელს.

— დე, Pepsi იყო მაშინ? — სკამზე მოუსვენრად ცქმუტავდა ნინა და დედის ლაპარაკს უსმენდა.

— Pepsi სწორედ რომ იშოვებოდა, მაღაზიებში იყიდებოდა...

ლურჯი სარაფანი ეცვა კატერინას და უკვე კარგად გარუჯულიყო. მისი დანახვით დაელმებული სანდრო კინალამ შეასკდა თავისი „უკრაინათი“. „ტარება ისწავლეო“, — გაეცინა კატერინას, მშვენივრად მიხვდა აცაბაცად წასული საჭის ვერდამორჩილების მიზეზს. თავიდან კი აიჭრა და დაიბნა ჩვენი სანდრო, მაგრამ მალევე მოყოჩაღდა, გვერდში ამოუდგა კატერინას ნელი სვლით და: „წამო, მომიჯექი, მიგაქროლებ, სადაც გინდაო“ — უთხრა. „ჯერ ტარება ისწავლეო“ — ისევ დასცინა მან და ნაყინი მოჩიქნა ჯოხის ნატყვით, Pepsi-ც მიაყოლა ბოთლიდან. მოკლედ, არ მოეშვა სანდრო, წრეებს ურტყამდა ველიკით მის გარშემო და ნაქირავებ სახლამდე მიაცილა. არ შემოუჯდა კატერინა, ნება-ნება მისეირნობდა და მწარე-მწარე სიტყვებით დასცინოდა სანდროს გაპარაჩვის მცდელობებს. „სალამოთი შევხვდეთ, პიცუნდაში ნავიდეთ, ბარ „ხალადელნიკში“ გეპატიჟები ან „დომიტორჩესტოში“ — უთხრა სანდრომ ჭიშკართან. „ შეიძლება სადმე, როდესმე კიდევ შევხვდეთ, პაკაო“ — თქვა კატერინამ ჩაცინებით და ხეხილით დაბურულ ეზოში გაუჩინარდა... გაგვიწვალა ბიჭი. პატარა იყო ისიც, სანდროს ხნის.

დაერხა სანდროს... ეგ კარგი დარხევაა, — გაეცინა ლიზას, ინტერესით მომტერებულ შვილზეც გაეცინა, — მთელი დამე კატერინაზე ფიქრში ვატარა, არ დაუძინია და ხან ქვენთან დორვარდის ეპოქაში აღმოჩნდნენ ერთად, ხან უნკასად კვდებოდა კატერინას თვალწინ...

მეორე დილას, უთენია, გავარდა ზღვაზე. სანაპიროს თავში დადიოდა და ელოდა, როდის გამოჩნდებოდა, რომელი შემოსასვლელიდან შემოვიდოდა... ვაცნობისას ისე ინერვიულა, რომ სახელი ვერ დამამახსოვრა კატერინასი. ამის გამო ცალკე ლელავდა; „როგორ გამოვძერგე, გეთ იალ-ლიშს არ მაპატიებს ჩემი (ჰო, უკვე თავისად ჰყავდა) გოგო“.

— ალბათ, კატერინამაც თეთრად გაათენა ლამე, — ჩაიხიხინა ნინამ და წვენი მოსვა.

— ჰო... ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მათ შემდგომ ამბებს, ალბათ კატერინამაც თავის მოწონებულ სამყაროებში აბოლიდა სანდრო და მომავალ შეხვედრას ელოდა მოუთმენლად...

სანდროსავით მზის ამოსვლისთანავე პლაჟზე არ დარჩობილა კატერინა. პატარაზე გატანჯდა აცდეენა. ნაპირ-ნაპირ, რომჩა-რომჩა არბენინა ენაგადმოვარდნილი...

— ...ცხრა წრე დავარტყი ზასტავიდან გოსდაჩების შემოსასვლელამდე, — იხსენებდა სანდრო, — ბოლი გამდიოდა, ნაპირზე წამოგორებულ ხალხს ვაბიჯებდი, ზიგზაგად ვძვრებოდი მათ შორის და კატერინას ძებნაში ვაცეცებდი თვალებს... ზღვაში მუხლბეამდე შესული დავლანდე. წყალს ეჩრვებოდა, მხედავდა ისხამდა მხრებზე, მკერდზე. „მეთქი, ეი!“ — დაუყვირე შორიდან ხელის ქნევით. გამომხედა და ისევ წყალი შეიპურა სახეზე.

— სად ხარ? დილიდან გეტძე, — აღარ მოვერიდე და ნერვიულობისგან ლამე ნაფიქრი, მომზადებული ტექსტიც ვერ ამოვთქვი.

— რატომ მეთძე? — მეჩათლახებოდა ლანირაკი.

— რა რატომ?... — დამაბნია, — იცი ცურვა? — სხვა ვერაფერი მოვიფიქრე.

— წამოდე განახებ, — მითხრა, — თუმცა, მეშინია, არ დამეჩრხო გზაში, უფროსების მეორე თანრიგოსანი ვარ, — თქვა და შეხტა.

თანრიგები არ მქონდა, მაგრამ მართლა კარგად ვცურავდი. ლიდავის ზღვაში შემადგეს ერთი წლის ასაკში და „კროლიც“ იქ ვისწავლე და „ბატერფლაი“.

კატერინამ „კროლიც“ გაცურა, სწორი, დაყენებული ტექნიკით. მე „ბატერფლაის“ სტილით გავყევი და გადავასწარი კიდევ. ყოველ მოსმანზე ამაყად გავყურებდი გვერდულად, რის გამოც ბლომად წყალი ველაპე. შორს გავედი. შეჯიბრით გამოგვივიდა. კატერინა არ ჩერდებოდა, მეც

„კროლზე“ გადავედი და დიდხანს ვიცურებ ვაუჩერებლად. ბოლოს, უკან გამოსასვლელ ორიენტირად შერჩეული, ყველაზე მაღალი ფიჭვის კენეროც რომ აღარ მოჩანდა, მაშინ ამოვისუნთქეთ.

— მაგრად ცურავ, — შევაქე.

— შენც ცვოდნია.

— იცი... მე შენი სახელი დამაყინებდა... ვერ გავიგონე, ვაცნობისას რომ მითხარი... — თავის დაძვრენას ვცდილობდი.

— და შენ საკუთარი არც გითქვამს. კორიდის ხარით კინალამ შემასკდი ველიკით, — თავს წყალში ჰყოფდა, თმას ისველებდა და იცინოდა კატერინა.

— ველიკის მხეცია ვარ... განახებ კიდევ... — წყალზე ვტივტივებდით. ვუყურებდი სველთმაგადანეულს, ჭროლა თვალევი უბრწყინავდა და გულს მიხეთქავდა მათი ელვარება, მისი ოდნავ თავხედური გამოხედვა...

გავიქანე საოცნელად, სველი ტურების დაკოცნა მიწოდდა. სახე გასწია.

— ძალიან შუსტრი ხარ, — იცინოდა ჩემს მკლავებში მოქცეული, — კარგი, ნუ დამახრჩობ, — გამისხლტა დელფინით. სლიკინა კანს ვავაყოლე ხელი სადამდეც მივწვდი, წვივამდე. მეტრუნდა და უკან გაცურა. მივყევი. ვცადე გზად შეჩერება, ვჩალიჩობდი საოცნელად, მაგრამ ვერ ვიხელთებდი, სწრაფი დაყვინთვით მეთესებოდა და აგრძელებდა ცურვას ნაპირისკენ...

ბევრი არ გავაგრძელებ. მარბენინა კუდში მთელი დღე. მის აგარაკთან ვიყავი დარჭობილი და ლობის გარედან ველაპარაკებოდი ჰამაკში წამოგორებულს. ალუბალს მიირთმევდა და ძუნხად მცემდა პასუხებს. ბოლო-ბოლო მაინც დავითანხმე ღამით ზღვაზე გასაპარად, დანთებულ კონკრეტულ ვარსკვლავების საყურებლად.

მშობლებმა რომ მიიძინეს, გამოვიდა, დათქმულ ადგილას დავხვდი, ლობეზე გადმოდრომაში დავხვდარი... ლიდავაში, ლამამობით, უზარმაზარ „პროექტორს“ რთავდნენ ხოლმე ზასტავიდან. ჩაბნელებულ ზღვაზე ატარებდნენ მსხვილ სხივად; ემანდ, შპიონი არ გადამოგვეპაროს თურქეთიდანო. ჩემ მიერ დანთებულ ცეცხლთან ვიყავით წამოგორებულები, გავყურებდით „პროექტორის“ ტალღებზე თარეშს და მოწყვეტილი ვარსკვლავების „დაჭერას“ ვცდილობდით სურვილების ჩასაფიქრებლად.

პოეზია მიყვარდა მაშინ, ბევრი ლექსი ვიცოდი. ვუკითხავდი კატერინას, მასაც ბევრი ახსოვდა ზეპირად. აღმოჩნდა, რომ ახმატოვა გვიყვარდა ორივეს გამოჩენულად. ...და ამ პოეტურ ნოტაზე მიხედა ჩვენი პირველი კოცნა. კატერინას ინციატივა იყო: „Цыганский поцелуй“-ს გასწავლიო — მითხრა. სიგარეტს ნაფაზი დაარტყა და ჩემს ტურებში შემოუბერა თამბაქოს ბოლი, დამათრობელი, დაუფიქნარი გემოს ბოლი...

მეორე დღეს „პესოჩნი პლაჟზე“ ნავედით, „რობზავოდის“ იქით. მოვახტით ჩემს ველიკას. კატერინა ნიშ მოვიგონე, მწვანე ლერძზე. ლურჯი სარაფანი ეცვა თეთრად დანინკლული. ძალიან ამაყად ვესალმებოდი შემხვედრ ნაცნობებს, მაგარ გოგოს მივასეირნებდი პედლების ლალი ტრიალით...

„პესოჩნიზე“ ზღვაში ასი, ასორმოცდაათი მეტრის სიღრმეში, წყალქვეშა მთა არის ამოჭიმული, მიდებით დაფარული. მათ დასაკრეფად დავცურავდით ხოლმე რეზინის ნავებით. უგემრიელეს წვნიანს ან „ჟემის“ მოზრდილ ნაჭერზე დაყრილად შემწვარ, ნივრით და მწვანელებით შეკმაზულ კერძებს ამზადებდა ბიძაჩემი.

მე და კატერინას მიდების კრეფა არ დავგვიწყია. ხელთათმანებია საჭირო, ხელე-ბი რომ არ დაგვესროს, და ბლომად ჩალიჩი კიდევ. ჩვენ უზარალოდ მივცურეთ მთამდე, რომელსაც გამჭოლი სივრცით ჰქონდა შუაში, რომ დაყვინთავდი, ორი-სამი მეტრის სიღრმეში. მოკლე გვირაბი არ იყო. კარგი ფილტვები, „დიხანია“ გჭირდებოდა მის გასაცურად. ჯერ კატერინა გავუშვი, მე უკან მივყევი. შუამდე ვიყავი გასულე-ბი, როცა აპანიკა კატერინა, ჰაერს დაუნყო ძებნა. ვკარი ტაკოში ხელი, მერე კიდევ უფრო ძლიერად და გამოვავყინთვინე წყლის ქვეშა გამოქვაბულიდან. შეშინდა. ჩამეხუტა აკანკალებული. ღრმად სუნთქავდა, ბეჭებზე დამეკიდა დაჭიმული მკლავებით.



ილო მაჭავარიანის საჭაშნიკა

თამადა ჯიქურ ფეხზე წამოდგა, ჩემგან მოითხოვს „გორის“ წარმოთქმას.

ეს მოითხოვა დღესასწაულმაც, ამ გამონვევას ვერსად წავეუვალ.

ვკითხულობ ლექსს და რაღაც ღვთაებრივ ექსტაზს ვამთავრებ ბოლო ტაეპით.

მრეველი კი ილოს საჭაშნიკოსი კალამს მიქებს და მაჯას მიკოცნის.

ეს გული, საქმე, თმა და უღვაში, სული, უღრუბლო ცის ამსახველი, შენ გაიძულე, ჩემი სახელი რომ ატრიალო ყველა ბრუნვაში.

იმედად ესლა მრჩება მე ტიალს — ემაგ თითებმა შესცხონ ემბაზი სახელს, რომელიც შენს ცხოვრებაში სახელზე ბევრად უფრო მეტია.

რუსი აქედან გაეთრია და ჩემი ქვეყანა გაერთიანდა.

სევდიანი კარნავალი

გახსოვს, მე გაჩუქე დანა ძველებური, რითაც გაიჭერი ჰუნთა მეფემ თითი. მერე შევიქმენით დანაძლევებულნი — რომელს აგვირჩევდა საქმროდ ნეფერტიტი.

მაგრამ მასკარადზე ორ ლოთ ფარაონთან თავის გატოლება იმ ქალს გაუჭირდა. ჩვენი სიყვარული ცაში ქანაობდა და ის ჩამოვხსენით კიდევ კაუჭიდან.

მერე შენ წახვედი... მანდ სძლებ უარყოფით, მე აქ ნამდვილ ფარსთა გავხდი მონანილე. შენკენ მოვდივარ და ჩვენი უარყოფლის სევდით გაჟღერებული ცრემლი მომაცილებს.

პულკანები

ისე უნდა იბოხოქროს პოეტმა, რომ ზღვასავით გადავიდეს ნაპირზე. გაღვიძებულს ჰგავდა ედგარ პო ეტნას, ვეზუეს ჰგავდა გალაკტიონ ტაბიძე.

მეც ვსულდგმულობ. მძულს ზნეობით ვულგარი, სულს ვუბერავ შაირსაც და მოდერნსაც. მე ვარ ერთი უსახელო ვულკანი, გავიღვიძებ, დავიძინებ როდესაც.

ორთავე პეშვით დაგლიე, თერგო, მაგრამ ვერ გავხდი თერგდალეული. სხვა ეპოქაში ცხოვრება მერგო, ორთავე პეშვით დაგლიე, თერგო. კვებით შევძრავდი ქვეყანას, მთელ გორს, მე რომ მეპოვნა ტატოს რვეული. ორთავე პეშვით დაგლიე, თერგო, მაგრამ ვერ გავხდი თერგდალეული.

როგორც ვრცელდება ჭორი დაბაში, მე იმ სისწრაფით მოვექროდი შენკენ და ვლოკავ შენი მკერდის თაბაშირს, როგორც ვრცელდება ჭორი დაბაში. ლექსის ჯამბაზი და უსტაბაში — რა ძალა გედა — ამისთვის შემქმენ? როგორც ვრცელდება ჭორი დაბაში, მე იმ სისწრაფით მოვექროდი შენკენ.

ომი ქალისთვის

მატრიარქატი დრომ შეცვალა პატრიარქატი. დროს ვერ დასძალავ, მასთან თხოვნა, ხათრი არ გადის.

ხეტილობენ ანალებში ხეთი, ელინი, კოლხი მედეა და სპარტელი ტურფა ელენე.

(კალამს წამოსცდი, მშვენიერი მდედრის სახელო) ქალო, ტუნიკი გხატავდა თუ თეთრი საყელო,

ბუღუარიდან მოგიტაცა როცა პარისმა, ნამდვილი ფასი ვინც იცოდა მოსაპარისა?!

ჯემალ ინჯია



და ატყდა ომი, დაემტერა ქალაქი ქალაქს, ამას მოგვითხრობს ბრმა მგოსანიც, ნამარხი ქალაც...

რად არ ინვევენ ალტაცებას კვალად დედანი, კაცობრიობა ნეტავ ხომ არ გახდა ცვედანი?!

იარებიან ცისქვეშეთში დღესაც, ელენე, შენებრ ლამაზნი, თანაც შენი მოსახელენი.

არ უფრიალებს მათ მშვენებას დროშას არავინ, პატრიარქატო, დაგდგომია დრო შემზარავი.

მომაპყარ ყურნი, მზად ხარ ჩემი საყვედურისთვის?! ქართულ სიტურფეს მეტოქეობს სახე ტურისტის,

მაგრამ მათ გამო არ იჩხუბებს არცერთი მამრი, თავს რომ იწონებს ბლანჟეთი თუ შაჰიდის ქამრით.

აფსუს! არა ვარ თუმცა კაცთა სისხლისღვრის მდომი, ღმერთო, ქალისთვის როდის უნდა დაიწყოს ომი?!

სულ გემლერებათ, გეცეკვებათ, გეტრაპეზებათ, დედის მუცლიდან შობილებო მატრებაზებად. ნუთუ არ გტკივთ არაფერი და არ განუხებთ, საჭირობოროტო კითხვებს რატომ არ სცემთ პასუხებს? ჭკუა სად დაგრჩათ? არ იფიქროთ — აქვე იდება, მესხიერების დაგწყებათ დაქვეითება. თიმსალ მაკოებს დაემგვანეთ, ქალბატონებო, თქვე ფუფალებო, ხანუმებო, ქაბატოებო.

ვერ შეგაშინებთ აქ არხილული ზამთარი, რადგან შაქარყინული დაბადებიდან ბრძანდებით თავად და არ დამიწყით ამაზე დავა. არ გაგიტაცოთ, გთხოვთ, ხეტიალმა, თორემ თუ შეგხვდით თოთხმეტ იანვარს — ქუჩაში, ბალთან, სკოლასთან, სახლთან გაკოცებთ და ხალხს დაგვოცებთ სახტად.

სუხიშვილის და სასწავლო უნივერსიტეტის ეზოებში ცაცხვი და მუხა დავრგე.

კაცს, ვისაც სიცოცხლე უყვარდა, თქვენ ულამაზებდით ანწყოს, პოეტის დარგულო მუხავ და პოეტის დარგულო ცაცხვო.

ის ლექსებს და შვილებს აობლებს, მის ბოლო ლოგინსაც შლიან. მიდის და უტოვებს თაობებს ერთ წიგნს და ორი ხის შრიალს.

ჩამს შვილს არ უნდოდა სიკვდილი

შემოიარა ცისქვეშეთში ზაზამ დროებით, გასინჯა ბლები, ვაშლები და საზამთროები.

იგემა ქალის სიყვარული უმხურვალესი, ნიჭის თანამდეგ შურთან ერთად ხალხის აღერსი.

ჭაბუკმა კაცმა ტვინის მარკა ისე ასწია, გააოცებდა გონი მისი ბრძენკაცს ასწლიანს.

შექმნა შვილები — ჯიშისა და ჯილაგის განხრით. ქვებს აგროვებდა, ველარ გახდა შემძლები განყრის.

ვერ იფიქრებდა, ასე ადრე თუ მოკვდებოდა, ყოფნა შაგრენის ტყავივით რომ უმოკლდებოდა.

სხვის სიხარბეს რომ ენაცვალა, ეჭვი არ არის, ის იყო ჩემი სისხლ-ხორცი და არსი ალალი.

ის უჯერებდა პუშკინს — ბრიყვთან ნუ პაექრობო. მან ფეხათრევით მიაშურა თავის ნეკროპოლს.

მე და შენ დიდი მოთმინებით ვიტანდით მის ხმას. ვკვებეთ, ვეფერეთ, ჩვენ გავზარდეთ — ნამდვილმა ფერმა. მაგრამ მის თვალთა ბრიალისგან ვერარამ გვიხსნა — ჩვენ შორის მარდად გაირბინა ნახშირის ფერმა.

ხმა მესმის, მაგრამ არა საყვირის, არც ტალღის ხმაა, არც ქარაშოტის, არც სტვენა და არც მამლის ნაყივილი, არც ხმაა ცემის ანდა გამოლტვის.

მსგავსი ხმა არ აქვს ჩხუბსა და დებატს, არც წიოკს ქალის მოტაცებისას. ხმა მიჰქრა... ზედ ჩემს კარებთან წყდება ტყაპტყუპი შენი ბოტასებისა.

ბოზოლას ეპიტაფია

ბედნიერების ბინადარს ყინვა არასდროს ჰყინავდა, სიცხეში არა სცხველოდა და არც იმისი რცხვენოდა, რომ ეძლეოდა ხელფასი არაფრის გაკეთებაში.

პაჟა-ფშაველას პატარა ქუჩა

უტრიალებდი ჩენეთ-დალესტანს, არ გაიხადე მუზად ვეროპა. ებრძოდი ენის სილატაკეს და ქართული ჩოხის უსატევრობას.

იყავ პოეტი თვითნაბადი შენ — ცეცხლი და ოქროს წვიმა ბაჯალლო. შენ — წინაპარმა დიდმა — ბადიშებს ნება არ მისცე იმამაძალლონ.

ერთი სურვილის ვარ დამსახველი მე ამ პატარა ქუჩაზე დგომით, ალბათ როდისმე შენი სახელის უგამზირობას დაირცხვენს გორი.

დინჯად დაუნყებს შემდეგ არჩევანს ქვებს — მარმარილოს, გრანიტს თუ ეკლარს, რომ გაიღვიძოს ერთხელ ამ ჩვენმა გორმა დაჭრილი არნივის ძეგლად.

მივატანე რა სულეთის პარმალს ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე მდგარმა, სხეულს გავაძრე კეთილი კარმა.

შემოვიძარცვე სახელი, გვარი, ჩავინვი ნაძვის გიზგიზა კვარი და ხელი ჩემს წილ სამყაროს ვკარი.

უღაბნოს ქარში

ჩემო ცოცხალი მუზა, მარტო ვარ, ჯერჯერობით ცელს გადარჩენილი. მაღალ წნევას და უსამართლობას ვებრძვი დონ-კიხოტ ლამანჩელივით.

ჩემი სახელი, „ლამაზთან“ ერთად, არაბულად ხომ „აქლემსაც“ ნიშნავს. არ გაიკვირო: ამ ბარათს გნერ და გავაშრობინებ უდაბნოს ქვიშარას.

უნდა დავტოვო სრა და კარავანი, მიმაქვს წიგნები, აქ მე თარგმანიც მიმაქვს და მივალ ქარში ქარავნის ერთი მაშვრალი აქლემთაგანი.

სეპაი

ბევრი ვიარე მე დუნიაზე, ცნობისწადილის ვიყავი გიჟი. გულში სულ ერთი მედო ნიაზი — შევერთებოდი კოსმიურ კიჟინს.

მინახავს დღენი უამინდონი, სწორთან იქნებ მრუდ ნაბიჯსაც ვდგამდი. ყრუა მდინარე, ყრუა მინდორი, მინაზე ყოფნის დროც უკვე გამდის.

ხმა ჩასწყვეტია ნაპირ-ჯებირსაც, არ მესმის გმინვაც, კუჭის ძახილიც, ექო კი ჩემი ნაბიჯებისა მომდევნო ერთგული ქუჩის ძალივით.

თავისა და ფეხისა

ჟრჟოლა! სხვაგვარად მას ვერ მოვნათლავ, თავით ფეხამდე რაც მე მაგემა შენი სხეულის ზინათ-დოვლათმა, ცოტა — ბახუსის სივერაგემაც.

თუ ვერც მომწამლონ, თუ ვერც თოფი მკრან და ფეხიც თუ ვერ გამაჭიმინეს, კაცობრიობის ბედზე მოფიქრალ თავს განაცვალებ, შენი ჭირიმე.

მითაბი

რა დაგარიგოთ, ჩემო კარგებო, გიყვარდეთ თქვენი ნაშეიერები. მათი ასაკით არ ისარგებლოთ, ძილს ნუ გაუკრთობთ საშინელებით. ზოგჯერ მითები უამბებთ ხოლმე. ვთქვათ: არ ყოფილა სატახტო მცხეთა. ვთქვათ: ხმა წაართვა ბუამ ბეთჰოვენს. ვთქვათ: არ უცოდავს ცარიცას ცხენთან. ვთქვათ: ესაუბრა ჰიტლერი სტალინს. ვთქვათ: სძულვებია ქართველს ქართველი. ვთქვათ: გენიოსი არ იყო ტალი. ვთქვათ: მუდამ გიჟი გვყავდა მმართველი. ვთქვათ: ცხრა ძმის დედა ტირის — რატომ არ გაგიჩინეთო, შვილო, ერთი და. ვთქვათ: დაგვაჩოქა უზურპატორმა. ვთქვათ: მზე ამოდის ჩრდილოეთიდან.

აბაღლეა

მომდევნ მყეფარები? ლომ-დევებს ვეფარები, დიდ ხეებს. მნატრობენ მეძავეები? მათობელს ვეძალები სითხეებს. მისევენ კიბორჩხალებს? ისევე ვიბორჯვალეებ ერთისთვის,

ვინც მაჩვევს ტკივილს უბრად, ვისაც ჩემს ჭირისუფლად ღმერთი თვლის.

ურმის ლექსი

ვითარცა ურმებს მოჩარდახულებს, ყავლი გაუდის ყოველგვარ საგანს. ბოლო რვეულიც მორჩა, დავხურე, მთავრდება ჩემი ცხოვრების საგა.

ღმერთმა ასეთი საყურებელი არ ქნას: ურემი — წეროშებმული, ვაჟკაცი — ქალის საყურებით, მანდილოსანი — წვერმოშვებული.

სიმართლე არის ურმით მავალი, ოღონდ თუ კარგი მეურმე მართავს. ჩემი ქვეყნის მწამს ის მომავალი, რაც აბოღდება ილია მართალს.

სანძარი ტყეში

ბუნების ძალავ, ღმერთად ხმობილო, მხეცებს შეხედე, როგორ წვალობენ. ნადირთა მოდგმა უკმაყოფილოდ თვლის არსებობას, შენს ნაწყალობევს.

ბრდღვინავს სტიქია! შობილთ ცხოვლებად ფეხქვეშ საყრდენი მიწა ეცლებათ. ტყეს მათ საკვებად და საცხოვრებლად აღარ ექნება, ვაგლახ, შეძლება.

ინვის ტყე, ტირის ლეკვების დედა. არა გაქვს ჯავრი სანყალი ძუ მგლის?! ეს ტყე ხომ მგელს შენ უბოძე ბედად, როგორც თევზს — წყალი, მაიმუნს — ჯუნგლი?!

სად დაიძინებს ამალამ მგელი, სად გაიღვიძებს, ფიქრობ ამაზე?! განრისხებული ბუნების გერი სად გაექცევა შიმშილს ამაზრზენს?!

მიეცი ბინა შორს და ახლოში, მინის პირისგან მგელს ხომ არ წაშლი და გააღვიძე თუნდაც ახლოში, წარაფში, ცეცხლით ჯერ არ დამწვარში.

ციურო ძალავ, ხალხს შიშის მგვრელი რომ ეგონე და ღმერთად მიაჩნდი, დააძინე და მშვიერი მგელი არ გააღვიძო ადამიანში.

ბაყინულ გვამებს

ამერიკაში გაყინვის მსურველთა რიცხვი მატულობს. გაზეთებიდან

თქვენ არ ბრძანდებით მასა მყვირალო, ჩუმად მდიდრდებით (თავიდან — გროშით), მილიონს იხდით გასაყინავად, რომ გაიღვიძოთ მომავლის დროში.

რა მოგიტანათ ნაგასაკურმა დარტყმამ, მითხარით სულთმოზრდავებმა, რომ ხელმეორედ ამ განსაკურნავ დედამიწაზე გსურთ მობრძანება?!

საგაჯიშო ჯიხურთა

„ჩაიარა ჩემი ბავშვობის მატარებელმა“. ვასილ ბესელია

ლექის მკითხველები ჯიხურს შესევინ, გაზეთს დაუბეჭდავს კარგი შემოქმედი. შენ კი გაიხარე, ვასილ ბესელიავ, ქართულ მწერლობაში რაკი შემოხვედი.

ისე ჩამიქოლეს გვერდზე ვერბლანებმა, მერე — ვერლიბრებმა, რომ კვალს არ ტოვებენ. რალა დაგიმალო, ხშირად მებრალება წყალში გადაყრილი წლების ავტორები.

შენ კი „უტუია“ როგორ წამაკითხე! ეს ის სიმალეა, კაცს რომ ენატრება: ირმის მყვირალობა, მოლი, ჰამაკი, ტყე, ტაბლის განწყობისას სტუმრის შემატება.

შენ გაქვს ოდაბადე ალბათ ფაიზალი — ფოთი ან სენაკი, ჩხარი, ნატანები, არც-რას ჩაუვლია, დაგ-დუგს რა იძახის? — ეს შენ მოზრძანდები ჩქარი მატარებლით.

აბო იაშალაშვილი ბანჯის კარი

დასასრული

— არა, თქვენ დამემგზავრეთ. — აკი გკითხეთ, ერთად ვიმგზავრეთ-მეთქი? — წარბი არც აუნეგია, არც დაუნეგია, სატურესაც ჩვეულად ჰბერტყავდა.

— მგზავრობისა რა მოგახსენოთ და ისე კი შემოიხედეთ ჩვენთან. თან მახლდა კუპეში მაღამ დე ფონტენბლო, ინგლისელი მაიორი ბასრადან მომავალი და შვედი ინჟინერი გუსტაფსონი. კაკუნის გარეშე შემოხვედით და მახსოვს, ჩემი მანუეტების სამაგრეები თან გაიყოლეთ, კი კოხტა, სპილოს ძვლისა, აი, ნახეთ, ახლაც მათ გარეშე დავდივარ, — ასწია ამ შემოსულმა თავისი ხელები და სერთუკიდან გამოცქერილი პერანგის ბოლოები მოფრიალებდა.

„ეს დიდი ძალიშვილი სჩანს“, გაიქოლა აჰმედის თავში. ყველაფერი მეტად საინტერესო ხდებოდა. წვერზეც ჩამოისვა ხელი.

— მერე აქ მათ მოსაძებნად მოხვედით? — ფართე ღიმილი გამოაჩინა მან, — მაშ მოსძებნეთ, — აჰმედის დუქნის უკანა ოთახები არაერთ საიდუმლოს ინახავდა და შიგ კიდევ ერთის დამალვა რთული არ იქნებოდა.

— ოღონდ ძალიან გთხოვთ, კისერზე აბრეშუმის თოკს ნუ ნამიჭერთ, ისედაც სულ აბრეშუმში ვარ, — გაიცინა იტალიელმა, — თანაც საქმიანი ხალხი ვართ, განა სამაგრები დაილია ქვეყანაზე.

— არხეინი ბატონი ხართ, დილიდანვე ხალისი გყვარებიათ. აბა, რამ მოგიყვანათ, თუ ხალიჩები არ მოგწონთ, იქნებ ფარდაგები ნახოთ?

— აქ, აი, ამ ადგილიდან ათას ნაბიჯში დგას ერთი სახლი, — იტალიელმა ხელის ჯოხი უეცრად სადღაც ზევით-კენ, ერივანსკის მოედნისაკენ გაიშვირა, — იქ კავკასიის მუზეუმი, გასმენიათ ალბათ?

— მე ბევრი რამ მსმენია. — იქ ინახება ნივთი, უფრო კი იმალება. რაკი საქვეყნოდ არ გამოიფინება.

— იმის ჩემთვის მოყიდვა გინდათ? — იკითხა აჰმედმა.

— არა, მე იმის ყიდვა მინდა, თქვენგან, — ცხვირსახოცი ამოეღო იტალიელს და იმით ტუჩის კუთხეებს იმშრალედა.


— მერე მე რომელი მუზეუმის პატრონი მნახეთ, განა ჰგავს ეს მუზეუმს? დუქანია, სხვა არაფერი, — არც აღუვებოდა.

— ის კუპეს კარი ისე იოლად გააღეთ და სამაგრებიც კოხტად მოსძებნეთ, რომ არც იმ განძის იქიდან გამოტანა გაგიჭირდებოთ, თანაც ადგილიც ზუსტად ვიცი.

— თუ ამდენი იცით, მოჰკიდეთ და აიღეთ. — მაგდენი სისხარტე და გამბედაობა არ მაქვს, მაგიერად კი თანხა შემიძლია გადაგიხადოთ. თქვენ იფიქრეთ, სხვა რისთვის არის ცხოვრება, აი, ეს ჩემი სადარბაზო ბარათია, „კავკაზში“ ვდგავარ, მანდვე, მოედანზე.

ამ სიტყვებით ის გავიდა. აჰმედს არ დაუშლია, თვალის კი გააყოლა. ბარათსაც დაჰხედა, ზედ გამოეყვანათ მსხვილი ასოებით — არქანჯელო ლამბერტი.

აჰმედს ბევრი რამ ენახა, ამ ტფილისურ დუქანში მყოფი კაცი ერთ დროს მაროკოს პორტში ბნელ საქმეებს ატრიალებდა. უნახავს მემონის კოლოსი და სფინქსი, ბედუნებთან ერთად ძარცვავდა ქარავნებს, იემენში ნიჟარებზე მყვინთავეებს, ქურთებთან ერთად აღმოსავლეთის ექსპრესს, მოხვედრილა ქაიროს საფიქსი და ოსმალეთის იმპერიის მთელ გაყოლებაზე ეარა და ენახა სხვადასხვა. სახელიც არ ჰქონდა აჰმედი.





დასასრული

რეზო თაბუკაშვილი

გაცურვა

ნაპირზე რომ გამოვედით, წყალთან დარჩა სანახევროდ ტალღებში ჩამჯდარი.

— ე, გამომხედე, — დაუძახე უკნიდან და ზენიტის ფოტოპარატი მივუშვირე. მეორე დაძახებაზე გამოიხედა ნარბშეკვით, ოდნავ ბრაზიანად. ჩავაჩხაკუნე ფოკუსში მოხვედრილი. «ვენერას დაბადება» დავარქვით ამ ფოტოს. პიცუნდაში გავამჟღავნებინეთ. კარგი გამოვიდა. ნაბლისფერი სველი თმა მხრებზე ეყარა ხვეულად, ჭროლა თვალები ზღვისფრად უელავდა, ნამიანი ტურები ჰქონდა და შევლივით კოხტა, ოდნავ აბრეხილი ცხვირი, თეთრად აქაფებული ტალღები მოჩანდა ფონად...

მაგის მერე «დომტვორჩესტოს» აივანზეც მყავდა კატერინა, ბარ „ხალდელინიკი“, კორპუსების „პარუსიცი“, კეგლიც გავაგორეთ პიცუნდაში (ლენინგრადის გარდა, მხოლოდ მანდ იყო ეს უცხო თამაში) და გაგრა-ბიჭვინთას დაბურულ ხეივანშიც ვისეირნეთ ჩემი ველიკით...

ორი კვირა გაგრძელდა ჩვენი ლავსტორი. ნავიდა კატერინა თავის ლენინგრადში და მას შემდეგ აღარც მინახავს...

...მე აქედან უკან ველარ გავაღწეე, თბილისამდე ჩასვლის შანსი არ მაქვს, — მითხრა, სანამ ზევით ამიყვანდნენ, — ისევე ლიდავისკენ ჯობია, დავიძრა. ქალაქიდან თუ გავძვრები, სოხუმის უღელტეხილს თუ გადავივლი, ალბათ იქით, გაგრა-პიცუნდისკენ, ნაკლებად ექნებათ დაცვის ხაზი გაძლიერებული. ლიდავამდე მინდა, ჩავალნიო და ერთიც გავცურო... გავცურო და გავცურო, უკან მოუხედავად, — ბოლო სიტყვები ღიმილით თქვა, ოცნება გამანდო თავისი, დიდი ხნის ოცნება...

ამ გეზს გეგმავდა. ლიდას და „შემორიგებულ“ ძიებორიასაც გაანდო საკუთარი ჩანაფიქრი. უფრო სწორად: „სოჩისკენ ჯობია, ნავიდე, შედარებით უსაფრთხოდ შევძლებ იქიდან რუსეთში გადასვლას და მერე თბილისში მოხვედრასო“ — მოატყუა. ლიდას არ უხსენებია. დაეთანხმნენ. სამეგრელოსკენ ყველა გზა, ბილიკი, მდინარის გადასაკვეთი მეჩხერი ადგილები მკაცრად კონტროლდებოდა. მართლა შანსი არ ჰქონდა გადასვლის. ლიდა დახმარებას დაჰპირდა. „ინვალიდის, კანტუზიანის საბუთს გაგიკეთებო“ — უთხრა...

ზაურა გადააწყდა პირველი. დაეჭვებული ჩუმად ჩაჰყვა დედამისს სარდაფში. ლიდას წვნიანი ჩაჰქონდა სანდროსთვის...

ხმაური, გინება გავიგონე. მეც ჩავექროლდი დაბლა. უკვე მოლონიერებული ვიყავი და არ მიჭირდა სიარული.

ფეხზენამომდგარ სანდროს და ავტომატგადატენილ ზაურას შორის ლიდა იდგა.

— ჰა, მიდი!.. — ქართულად პასუხობდა სანდრო ზაურას ყვირილზე, მუქარებზე. მეც მათ შუაში აღმოვჩნდი.

— ერთი დღე მაცადე, — ლიდა ეხვეწებოდა, აკავებდა შვილს.

ძიებორიამ ჩამოგვისწრო. სილა გავრტყა გადელეზულ ზაურას. მან სიმწრით შეიგინა და სახლიდან გავარდა. არც მობრუნებულა უკან.

მეორე დღეს ლიდამ დანაპირები საბუთი მოუტანა სანდროს.

— „კანტუჟენი“ ხარ, ლაპარაკი გიჭირს. ვინიცობა აფხაზურად დაგელაპარაკენ ბლოკ-პოსტზე შემომმებისას, ყრუ ბგერები ამოთქვი, ღმუილივით ხმები ამოუშვი. საბუთი ნაღია, ვერ შეგედავებიან, — დაარიგა სანდრო წასვლისას. ძიებორიამ სამხედრო, „კამუფლიაჟნი“ ზედა უნიფორმა გადააცვა, საგზალი, ჩანთა და ხის ჯოხი გადასცა: „С БОГОМ“, — უთხრა და უკანა ეზოში გავიდა. კიბეზე ასვლამდე სანდრომ მაგიდაზე დარჩენილ დასაკეც დანაზე ანიშნა თვალთ. „არაო“, — უარის ნიშნად თავი გააქნია ძიებორიამ და დანა ჯიბეში შეინახა.

— ლიდავისკენ მიდიხარ? — ვკითხე, მარტოები რომ დავრჩით.

— ჰო... — მიპასუხა. ბარგს აფასობდა, მწვანე მომცრო ზურგჩანთას თავს უნასკვავდა.

— შენი სახლი გინდა, ნახო? — არა, ლიზა. ჩემს სახლს ვინმე იქნება დაპატრონებული... მაგის დანახვა ნაღდად არ მინდა...

— მეც მაგრა ვცურავ, — ვუთხარი რატომღაც.

— შტერუკი, — გაეცინა, — ბევრს გაცურავ კიდეც შენ... მაგარ ბიჭს შეხვდები და უამრავ შორ გაცურებებს გააკეთებთ აფხაზეთის ზღვაში, ჩვენს ზღვაში... გჯეროდეს... — დამაჯერებლად მითხრა, — ჩემს ჯვარს ვერ გაჩუქებ, — ყელზე დაკიდებულ რკინის ჯვარს შეეხო თითებით, — ყველას თავისი უნდა ჰქონდეს... აჰა, ამას გაუფრთხილდი, კარგმა ქალმა გამომატანა ნამოსვლის ნინ... დაგიფარავს, — წმინდა გიორგის პატარა მედალიონი იყო, გულზე დასაბნევი.

— და შენც სოჩიდან სცადე გასვლა, გამოგივა... — ვეუბნებოდი, — რა, აღარ გინდა იმ ქალის ნახვა? — ცნობისმოყვარეობამ მძლია.

— მინდა აღარ კვია... — მწარედ ჩაეცინა სანდროს, — მაგრამ მორჩა. გაცურვის დროა... კაი, გემრიელი გაცურვის...

გადანწყვეტილება მიღებული ჰქონდა. შუბლზე მაკოცა და ნავიდა.

ავეყვი ეზომდე. მზემ თვალი მოსჭრა. იდაყვი აიფარა სახეზე ინსტინქტურად. ოდნავ შეყოვნდა აკაციის ხის ჩრდილქვეშ. იქვე მდგარ ლიდას ხელზე აკოცა და ჭიპრის კარი შეაღო. ძიებორია უკანა ეზოში ენეოდა სიგარეტს ღეროღერზე...

ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია, ნაფიქრი მქონდა მეც თავიდანვე — მარტოს არ გავუშვებდი. გავუპარე ლიდას და ძიებორიას, ათი წუთის ინტერვალით გავყვიე და ავეტორლიაღ შორიდან. ასიოდე მეტრის დაშორებით მივდევდი, შპიონივით ხეებს ამოფარებული, ქუჩის კუთხებიდან „დესანტურად“ ვუთვალთვალედი.

დღის შუქს მიჩვეული ვიყავი, მაგრამ ეზოს კიდე პირველად გადავლახე და შიშმა შემიპყრო. სანდროსაც ვატყობდი დაძაბულობას. მთელი ზურგი სველი ჰქონდა ნერვიულობისგან. მზეც თითქოს მტერივით გვანათებდა, რენტგენივით გვიფრავდა და ჩვენს ქართულ ძვალ-სისხლს და სულს გამვლელებისთვის ნათელს ხდიდა... გამყიდველი მზე, — ჩაეცინა ლიზას და აღელვებულ ნინას თავზე ხელი გადაუსვა.

— პირველი პოსტი ადვილად გაიარა. შეუმომწეს საბუთი, რაღაც უთხრეს და

გაუშვეს. ისევე ავედევნე. არავის ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია.

მძიმედ ეყრდნობოდა სანდრო ჯოხს. ვერ იყო მოლონიერებული, მაგრამ მაინც მყარად ადგამდა ნაბიჯებს.

მეორე პოსტზე პრობლემა გაიჩითა. შორიდან ვხედავდი, რომ ვერ იყო კარგად საქმე. შარს დებდნენ რაღაცაში სანდროს. საბუთს ატრიალებდნენ უნდობლად ხელში და აგრესიულად მიმართავდნენ. მოვწყდი ამოფარებულ ხეს. სწრაფად მივირბინე მათთან: Он мой дядя! Контуженный! Не может говорить-მეთქი, მივყარე.

სანდრო სიმწრისგან გაშრა ჩემ დანახვაზე.

— Не знаю эту деву, в первый раз вижу, — უთხრა მათ უფროსს, რომელიც საბუთს ათვალთვლებდა, — давай, везите в штаб... или куда хотите... а ребенка... правда не знаю ее, — ჩემკენ არ უნდოდა გამოხედვა სანდროს. განწირული მზერა ჰქონდა.

— Девку тоже забрать, — გასცა ბრძანება უფროსმა და ხელი ნამავლო ახლოს მდგარმა ჯარისკაცმა.

მისთვის ჯოხის სახეში ჩარტყმა მოასწრო სანდრომ. დაესიგნენ. ძირს დააგდეს და ხუთი-ექვსი ურტყამდა ერთდროულად. ვიდექი აკანკალებული, ხმას ვერ ვიღებდი.

— Отставить! — გაისმა ბრძანება.

ქალი იყო. საყვლოანკეპილი თეთრი პერანგი ეცვა, სამხედრო კიტელი მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული, თუძოსთან „სტეჩკინი“ ეკიდა მძიმედ ხის კაბურაში. ათამდე ორმეტრიანი, მოკლე ავტომატებით, კბილებამდე შეიარაღებული სამხედრო მოწყვებოდა დაცვა.

— Российский генштаб! — ქვის და „ბრონეფელეტების“ გამხეთქავი ნითელი ნიგნაკი აჩვენა ბლოკ-პოსტის ჯღანებში ჩაცმულ ჯარისკაცებს, რომლებიც წამში „სმირნაზე“ შედგნენ ქალის და მისი ამაღლის გამოჩენისას, — Он мой. Офицер Козлов, взять пленного, и девушку тоже!

— უბრძანა თანმხლებ რუს სამხედროს. თავლისფერი თმა კოხტად, მრგვლად ჰქონდა კეფასთან შეკრული. შავი სათვალე

მოიხსნა და ნაცემ სანდროს დახედა ჭროლა თვალებით...

კაი, მოინმინდე ცრემლები, ჩემო სიცოცხლე, — შვილს მოეფერა ლიზა. ოდნავ ამოისუნთქა, სიგარეტს მოუკიდა და გააგრძელა მოყოლა, — ...ჰო, ის იყო, კატერინა...

ამასობაში ჩემი გაქრობა შეამჩნიეს ლიდამ და ძიებორიამ და გულამოვარდნილები მოვარდნენ ბლოკ-პოსტზე. კატერინამ ჩემი თავი მათ ჩააბარა. სანდროს თან ნაიყვანა. HUMMER-ის ჯაბში ჩასვა, დაცვა ცსკორტით მოსწყდა ადგილს შავი სამხედრო მანქანებით.

მე ჩემებთან დავტრუნდი სახლში, ლიდასთან და ძიებორიასთან.

მთელი დღეები სანდროს ამბავს ვკითხულობდი. ტვინი შევუჭამე მათაც და ზაურასაც და ალიკსაც: გამიგეთ, რა ბედი ენია-მეთქი.

ალიკმა გამირკვია.

— ადვილი არ იყო შენ კატერინამდე მიღწევა. მოსკოვის სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი აღმოჩნდა, — მითხრა ალიკმა, — ყველაფერი რიგზეა, სადაც საჭიროა, იქ მივიყვანო, ნუ ინერვიულებს ის პატარა გოგო. საიდანღაც იცოდა შენი ამბავი.

მაინც ვერ დავწყნარდი. აღარ ვჭამდი. ხმასაც არ ვიღებდი.

ბოლო-ბოლო ლიდამ სასწაული მოახერხა, ექთნის ფორმა გადაამაცვა და მოსკოვში გასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავთან, ტრაპთან შემხვედრა კატერინას.

ლიდამ ახსნა დაუნყო აბლაუბდად, მაგრამ კატერინამ თქვა: „ვიცი, ვინც არისო“. თვითმფრინავის პროპელერების ხმაურიდან მოშორებით გამიყვანა. Tet-a-tet დავტრუნდი.

— ლიზა, ხომ? — მკითხა. თავი დავეუქნე, — მომიყვა სანდრო შენზე... მოკლედ, არ გამომყვა სამშვიდობოს. თავისუფლად ჩავაყვანინებდი თბილისამდე სოჩიდან... არაო, მასე მირჩვენია, მენდო... შევეუსრულე ბოლო სურვილი. ლიდავის პლაჟამდე მივაცილე... მზის ჩასვლამდე ვუყურებდი, როგორ მიცურავდა...

— აბა, ჰე, გოგოებო-ქალებო, გეიხსნა ხიდი. დროზე-დროზე, სანამ გადაუფიქრიათ, — არ აცადეს ამბის დამთავრება ლიზას. მარშრუტის მძლოლი შემოვარდა „კაფე-რესტორანში“ და მომრავლებულ ხალხს მიმართა ენერგიული ჟესტიკულაციით.

— ნამო, ნინა, — ნამოდგა ლიზა და თვალბედასებული შვილი ფერებით ააყენა მაგიდიდან.

მოასწრო. სწორედ აქ მთავრდებოდა აფხაზეთში გადასვლისას რიტუალად ქცეული ამბის მოყოლა...

აბა, ნაღდს, ნამდვილს ხომ არ ეტყოდა პატარა ნინას, მართლა რომ მიუსწრო მეორე ბლოკ-პოსტზე შეჩერებულ სანდროს, რომელიც დაეჭვებულ პოსტის უფროსს ამოღმუფებით, ლიდას რჩევით, ზმუილით პასუხობდა ჩამჭრელ კითხვებზე. „ბიძა, ბიძა ჩემი! კონტუზია აქვს, ვერ ლაპარაკობს!“ მართლა რომ ყვიროდა რუსულად განწირული ხმით თორმეტი წლის ლიზა... და საიდანღაც რომ გაისმა ქირქილა: „че мычишь, слово не можешь сказать свободное!“ — ზაურა ჩაცუცქულიყო შორიხლოს, მზესუმზირას ჭამდა და იპურჭყებოდა დაცინვით.

სანდრო წამით შეყოვნდა და იქვე მდგომ მეთაურს კბილებით ეცა სახეში, ბარე რომ ყელში, არტერიამში უნდოდა სწედომოდა, მაგრამ ვერ გაარტყა, ააცილა და ყვრიმალში ჩააფრინდა. ვერ ააგლიჯეს, სანამ ავტომატის ტარი არ ჩასცხეს კეფაში. ლიდამ და ძიებორიამ მიიბრინეს ამ დროს. ხელი დაავლეს ლიზას და გააქციეს. ავტომატის გაუთავებელი ჯერი გაიგონა ლიზამ. უკან გაიხედა. დასისხლიანებული, სახე მოჭმული მეთაური ახალ მჭიდს ტენიდა...

„ნინა, აბა, საიდან მაღალჩინიანი ოფიცერი კატერინა თავისი ჭროლა თვალებით... საიდან, როგორ?... ჩემო პატარა, შტერუკა შვილო“.

— იქქარე, ნინა, არ ჩავრჩეთ ისევე, — შვილს მხარზე მოხვია ხელი ლიზამ. მეორე ხელით კაბის ღილი შეიხსნა და წმინდა გიორგის მედალიონს აკოცა.

ლიდასთან და ძიებორიასთან გადადიოდნენ აფხაზეთში. ზაურა ქართველმა პარტიზნებმა მოკლეს სოხუმის დაცემიდან ცოტა ხანში.





მწერლის უკვდავება

ლელია ნანიტაშვილი

„წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ ნავალი და სხვა დარჩება“... ვის არ მოუსმენია ეს სუფრული სიმღერა. წუთისოფელი კი ზოგისათვის ხანგრძლივია, ზოგისათვის — ხანმოკლე. ამბობენ, ყველას თავისი დრო აქვსო. ახალი წლის დამდეგს, ქართველებს ასეთი დალოცვაც კი გვჩვენია — ღმერთმა ტკბილად დაგაბეროთო, მაგრამ არა მგონია, სიბერე ტკბილი იყოს, მით უფრო, ხელჯობის მოშველიება თუ დაგჭირდა. ვინ იცის, ტერენტი გრანელმა რამდენი ადამიანის ხვაშიადი გამოხატა, ღმერთს მოკრძალებით რომ შეჰპყდა: „წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია.“

საანდერძო განწყობილება ხანდაზმულობის თანამდევია. პირად არქივს ვანესრიგებ და დროთა განმავლობაში დაგროვილ ახლობელთა ნეკროლოგებს ვათვალისწინებ. მეგობართა წასვლით თითქოს სიკვდილი გვიადვილდება, მაგრამ უკანასკნელ გზაზე მიმავალსაც ხომ გვჭირდება ჭირისუფალი და თანგაყოლილი ცრემლი.

ვაგლახ, რომ მათი რიცხვი თანდათან მცირდება.

მახსოვს, მარჯანიშვილის თეატრში, ვასო გომიაშვილის ცხედარს მეგობარი და კოლეგა ვერიკო ანჯაფარიძე როგორი გულისტიკივლით გამოეთხოვა — ყველა მე როგორ უნდა გაგაცილოთო.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში შესულს ყვავილები არ მყოფვის ძვირფასი საფლავების შესამკობად.

იმ სიდუხჭირის ფონზე, რომელიც საქართველოში, სამწუხაროდ, დღითიდღე მატულობს, ყვავილების კონებს კი არა, თითო-ორი ღერს თუ გაფენთ ხსოვნის ნიშნად. ტაძარში შესულს, თქვენი სულელების საოხად მოსახსენებელი ფურცლების შევსებისას, ვშიშობ, არავინ გამომჩნევს. მაინც რამდენი წასულხართ...

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოდან“ 2000 წლის სექტემბრის თვის ამოჭრილი გვერდი — „გამოსათხოვარი“ ოთარ მამფორიას ხსოვნას ეძღვნება. კარგია, რომ ახალგაზრდობისდროინდელი ფოტოსურათი დაუბეჭდავთ, რომლიდანაც ზღაპრული მზეჭაბუკისდარი სილამაზე გიმზერს. თვალებიდან უსაზღვრო სითბო ეღვრება. აკი ამბობენ, თვალები ადამიანის სულის სარკეაო.

არ მაგონდება მსგავსი პიროვნება, ყველა რომ უყვარდა და ყველას უყვარდა. ეს მისი გარდაცვალების შემდეგაც გაცხადდა, ქუთაისი და თბილისი ერთმანეთს რომ ეცილებოდა — იქ მწვანეყვავილა ელოდა, აქ დიდუბის პანთეონი.

ნიჭიერი პოეტი და დრამატურგი, ხასიათით — გულმართალი და უღალატო, მეგობრების სული და გული, ხალასი იუმორით დაჯილდოებული, ქართული სუფრის ლაზათი და სწორუპოვარი თამადა.

რამდენი ხოტბაც უნდა შევასხა მის თამადაობას, როგორც ხელოვნებას, ტარიელ ჭანტურიასებრ მაინც ვერ აღვწერ:

„ფრანგი“

„შე ფრანგო!“ (ოთარ მამფორიას საყვარელი მიმართვა)

ისევ დაჯდა სუფრის თავში, ძველებურად ისევ ჭეჭა! ძმობაც თქვა და სიყვარულიც — მიუჩოჩა ჭიქას ჭიქა! იხითხითა, გვახითხითა, იჭიჭიკა, გვაჭიჭიკა! გადახვია ხელი ბახუსს, ჩაუსახლდა სულში ჭინკა! მზემ კარგახანს თვალი ჭუტა! დაიძახა მერე — „ჭიქა!“ დააცხუნა ცას და მიწას, მოეფერა ვარდს და ტიტას! ბოლოს, როგორც მაგალითზე, სიცოცხლეზე მიგვივითთა! იმ დილით და იმ კაშკაშით კმაყოფილი დავრჩი დიდად! გამოვედით, მოკლედ, ერთად! — მე — ნეველი, ის — თამადა! ჩახლეჩილი გვეკონდა ყელი, დაშოშინებული — მადა! გვიხაროდა, რომ სიკვდილი სიცოცხლესთან იყო ფათა!

ამის განცდამ მთელი დილა გულში სიმღერები ზადა! გვიხაროდა: ხე-ხე-ხე-ხე! ვხარხარებდით: ხა-ხა-ხა-ხა! გაიხსენა ბროლის ვაზა — როგორ შესვა, როგორ ხუხა! იდგა ასე შუაგზაში, ირწეოდა მთვრალი მუხა! გაიხსენა ძმაკაცები თავის ბაშმაკა და ხუხა... აი, სწორედ მაშინ იყო, აი, სწორედ მაშინ ითქვა ერთადერთი ნაღდი ლექსი, ორად-ორი სწორი სიტყვა! განა რამე მითქმა-მოთქმა, განა რამე მოთქმა-მითქმა! — თამადის და პოეტის და ვაჟკაცის და ბრძენის სიტყვა: გადიდებულ ჩვენს სურათებს სანამ მოარგებდნენ ჩარჩოს, ვნეროთ ლექსი, ვფლანგოთ სიტყვა, ნაღვინეზე ვხვრიბოთ ხარჩო! განა მარტო ფული ვხარჯოთ — გულიც ვხარჯოთ, ღვიძლიც ვხარჯოთ და ვინც კარცერს ჩვენსას ასწევს — მათ ავანსად გაუმარჯოს!..

1980

ემზარ კვიციანიშვილს რეზო ინანიშვილზე აქვს შესანიშნავი წერილი — „უსპეტაკესი სულის მწერალი“. ემზარს დავესხებები და ვიტყვი — ოთარი უსპეტაკესი სულის პოეტი გახლდათ, სიცივისაგან დამზრალი ნიბლიასა და ბელურას ბედი რომ ანაღვლებდა და „გიორისნამნამად“ მონათლულ ყაყაჩოს ღვიძლს შეჰხაროდა.

ასეთი სულის მატარებელი იყო ოთარ მამფორია, სიყვარულით „მამფი“ რომ შეარქვეს. ყველგან სასურველი — არ მინდა, სიტყვა „სტუმარი“ მოვიშველიო, რადგან ყველა შინაურად თვლიდა — მწერალთა კავშირში, გამომცემლობებსა თუ რედაქციებში; თეატრალუბის მეგობარაც ხომ იყო და იყო. არც ერთ სპექტაკლს არ დააკლდებოდა, სხვისი წარმატება საკუთარივით ახარებდა.


„მეტეხის ჩრდილში“ და „იეთიმ გურჯი“ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში ანშლაგით ტარდებოდა. მაყურებელი შთაბეჭდილებებით გულსაგვს სტოვებდა დარბაზს, სერგო ზაქარიაძესა და ირაკლი უჩანეიშვილს ოვაციებით აცხილებდა, სცენაზე დრამატურგის გამოჩენას ხომ ზეიმი იყო.

ოთარ მამფორიას ნახევარსაუკუნოვანი იუბილე პრესამ სიყვარულით აღნიშნა, სამოცი წლისთავისა კი — 1985 წელს გრანდიოზულად ჩატარდა რუსთაველის თეატრში. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მილოცვა, რეზო ჭიჭიშვილის მისალმება და მუხრან მაჭავარიანის „ხალასი პოეტი“, რომელსაც გულგრილად ვერ ნაიკითხავ: „ექიმი? ინჟინერი? — არც ერთი! თავისი ხასიათით, თავისი სულით ოთარ მამფორია პოეტი უნდა ყოფილიყო მხოლოდ...“

ოთარი არა მარტო იმიტომაც პოეტი, რომ ლექსებს წერს, არამედ უფრო იმიტომ, რომ საკუთარივით უყვარს სხვისი ლექსი, რაც მხოლოდ ხალასი პოეტის თვისებაა (ცალკე საუბრის თემას მისი უშრეტი იუმორი, რაც ასე მკაფიოდ გამოავლინა მან, როგორც დრამატურგმა და, რასაც ესოდენ უხვად აფრქვევს ყოველდღიურ ცხოვრებაში).

წლები მაკავშირებს მე მასთან — სიტყბუკის დაუფინყარი წლები... რამდენი ღამე გაგვიტენებია საქართველოს სიყვარულში... რამდენი ზიარი მეგობარი დავკარგეთ უდროოდ...

მართალია, იმდენჯერ არ გვიცინია, მამფორიას „მამფორიზმები“ — 1990 წელს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა ვაგონში გამოსცა. რატომაც ვარეკანზე მხოლოდ „მამფორიზმები“ გამოტანილი, მაგრამ მასში მოგონებებიც იბეჭდებოდა, ნოველებიც და კომედიაც. წიგნს, სამწუხაროა, გამომცემლობის რედაქტორის ხელი რომ აკლია, აკი არცაა ჰყავს. წიგნი ხომ გარეკანიდან იწყება და არა სარჩევიდან, არადა, რა სასიამოვნო საკითხავია მოგონებები გალაკტიონზე, გიორგი შავგულიძეზე, ნოდარ დუმბაძეზე; ოთარი ხომ სხვა ნიჭთან ერთად, კარგი მთხრობელიც იყო.



რამდენჯერაც გვიტორია, მაგრამ რაც იყო, კარგი იყო მაინც. ძმაო ოთარ!

ხანგრძლივი იყოს ჩვენი უდროოდ ნასული მეგობრების მოლოდინი შენდამი.

დიდხანს გეცოცხლოს! — კეთილი სიტყვით მათ მოსაგონრად და ურუხიანი ლექსით ქართველი კაცის გულგანასხარად.

ამ თარიღს ცხოვრებისადმი უკვე პესიმისტურად განწყობილი იუბილარი არც-თუ ხალისით შეხვდა:

გაზაფხულის მზის ცდუნებას სიყრმის ეშვი გაჰყავს. ხვალ სამოცი მისრულდება, ვხვდები პირქუშ ზამთარს. სიტყბუკის მთვარე არ ჩანს, შორს ღრუბელი ბინდავს. წლები გაქრა, ლექსი დამრჩა, ვგავარ ღარიბ მდიდარს...

ანკი არ ჰქონდა პესიმიზმის საფუძველი? რეზო ჭიჭიშვილი იგონებს:

„...ბოლო შეხვედრისას მითხრა: რაც სადღეგრძელოები მითქვამს, ყველა ტყუილი, წყალში გადაყრილი მგონიაო; რაც დავწერე, ის დამრჩა, უტარო, მჭრელი დანა ვიყავ, ვჭრიდი, ვთლიდი და უცხო სტუმრები რომ გამოჩნდებოდნენ, სამზარეულოში მმალავდნენ, სუფრაზე ბლაგვი, ბრჭყვილა დანები გაქონდათო. ბევრი სხარულში შეხვდა, დიდი მწუხარება არა, მაგრამ დიდი გულგრილობა კი ნახა და გამოცადა. დამადლებულ ლუკმას ულუკ-მაპურობა ჯობდა, იცოდა, თუმც უარესი წინ იყო: რას იფიქრებდა, თუ ცოცხალ ავადმყოფს, ჯანმრთელი მიცვალებული ურჩევნიათ ადამიანებს.“

ბედნიერება მქონდა, მეგობრობის გარდა, ოთარის „რჩეულის“ რედაქტორიც ვყოფილიყავი, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ გამოსცა.

წიგნს ეს წინათქმა წაუმიძღვარა: „პოეტის შემოქმედება რთველსა ჰგავს, რჩეული კი იმ სანახელს, რომელშიც საგულდაგულოდ დაკრეფილი ლექსის მტევნები ინუერება. თუ ჩემი „რჩეულიდან“ გადმოდინდება საზედაზე ღვინო და მკითხველი სიყვარულით შესვამს, თავს ბედნიერად ჩავთვლი.“

მკითხველმა სიყვარულით მიიღო „რჩეული“, რომელიც 30 000 ტირაჟით გამოვიდა და მალე ბიბლიოგრაფიულ იმეითობად იქცა. ცხადია, ავტოგრაფით მომიძღვნა: „ამ წიგნის ძიძას, ლელია ნანიტაშვილს, დიდი სიყვარულით და პატივისცემით, ოთარ მამფორია. 1983 წ. ოქტომბერი, თბილისი.“

„ფრანგებისგან“ განსხვავებით, მე „დოკუმენტალურად“ (მისი ლექსიკა), „გაუთხოვარი ანნა კარენინა“ შემარქვა. ოთარისათვის დამახასიათებელი იუ-


მორი — „მამფორიზმები“ — 1990 წელს საქართველოს თეატრის მოღვაწეთა ვაგონში გამოსცა. რატომაც ვარეკანზე მხოლოდ „მამფორიზმები“ გამოტანილი, მაგრამ მასში მოგონებებიც იბეჭდებოდა, ნოველებიც და კომედიაც. წიგნს, სამწუხაროა, გამომცემლობის რედაქტორის ხელი რომ აკლია, აკი არცაა ჰყავს. წიგნი ხომ გარეკანიდან იწყება და არა სარჩევიდან, არადა, რა სასიამოვნო საკითხავია მოგონებები გალაკტიონზე, გიორგი შავგულიძეზე, ნოდარ დუმბაძეზე; ოთარი ხომ სხვა ნიჭთან ერთად, კარგი მთხრობელიც იყო.

„მამფორიზმები“ რედაქტორი და წინათქმის ავტორია ნოდარ გიორგალაშვილი, ამ წინათქმაში ორი პოეტის აზრია მოხმობილი ოთარის უწყინარ იუმორზე:

ზაურ ბოლქვაძე: აქვს იუმორი ლალი და ბრძნული, „მამფორიზმები“ მოგხიბლავთ მისი, წერს კომედიებს, იფიქრებს ნურვინ, რომ დაისვენა „მეტეხის ჩრდილში“. მურმან ჯგუზურია:

„ოთარ მამფორიას რომ კაცი დაჰყვებოდს და მის გამონათქვამებს ინერდეს, რა კარგი საკითხავი წიგნი გამოვიდოდა, მაგრამ პოეტი მეფურად ფანტავს ანდაზა-ქარაგმებს, შეგონებებს, მხატვრულ სახეებს, ესკიზებს და ექსპრომტებად თქმულ ლექსებს.“

ოთარმა დაწერა „სალალობო ქართველ მწერლებს“, რომელიც 1982 წელს გამოვიდა, შარჟები თენგიზ გოგოლაძეს ეკუთვნის. დღეს, ალბათ, ბევრმა არც იცის ამ პანია წიგნის არსებობა.



ერთხელ რედაქციაში მურმან ლებანიძემ და „მამფი“ შემოიარეს. ცოტა გაციებული გახლდით. მურმანმა კონიაკის დალევა მირჩია, ოთარი ჩამეძია — რამ გაგაციავო. ღამლამობით საბანს ვიხდი და დამხურავი არა მყავს-მეთქი — ვაგვხუმრე. არ დააყოვნა და დამარიგა — დამხურავს რომ იპოვი, გადახდა მერე ნახე, გირჩევნია, შენ თვითონ ამოიგო. ამ დიალოგმა მისი ლექსის ადრესატად მაქცია და ამგვარად მოვხვდი „მამფორიზმების“ წიგნში:

ოი, რა ქალი იყო, ეშხით ათრობდა თბილისს, ვერ გაუბედრი სიტყვას, არც გაღირსებდა ღვიძლს. ახლა ქუჩაში შემხვდა, გაცრეცილი და მკრთალი, ღამით საბანს რომ ვიხდი, არ მყავსო დამხურავი.. დამხურავს რომ იპოვი, გადახდა მერე ნახე... ეუთხარ და წყენის ნაცვლად გადაებადრა სახე.


წიგნი ამ ავტოგრაფით მომიძღვნა: ჩემს მრისხანე რედაქტორს, გაუთხოვარ ანნა კარენინას, ძვირფას ლელია ნანიტაშვილს სიყვარულით და პატივისცემით, ოთარ მამფორია 1991 წ.



დასასრული მე-15 გვერდზე



დოდო ქუმბურიძე „რომელი ვიპოვ სიბრძნისა მამულისათვის“



მინდა იქიდან დავიწყო, რითაც მთავრდება როსტომ ჩხეიძის ფართოფორმატიანი ნიგნი — „მისიონერი“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და „ჩვენი მწერლობა“, 2016), ანუ იმ დიალოგიდან, რომელშიაც დაინტერესებული პირი (თამარ ყალიჩავა) მწერალს უსვამს კითხვებს, და სადაც ერთ კითხვას შეგნებულად არიდებს თავს რესპონდენტი: რატომაა, რომ ბიოგრაფიული რომანის ისეთმა სახელგანთქმულმა მსოფლიო ოსტატებმა, როგორებიცაა ანდრე მორუა და შტეფან ცვაიგი, ათამდე ასეთი ნიგნის დაწერა თუ შეძლეს, თქვენ კი უკვე ოცამდე მიხვედითო.

ბუნებრივად, ამის პასუხი ცოტა უხერხულად მოეჩვენებოდა ავტორს, მაგრამ იმაზე კი: „ნუთუ მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრი მხატვრულიაგან განსხვავებულ რაღაც გადაულახავ სირთულეებს ქმნისო?“ შეიძლება თამამად ეპასუხა, ვინაიდან ეს ზოგადი კითხვაა და მაინცდამაინც ერთ ვინმეს არ ეხება: მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრი უძნელესია, დიდ ცოდნას, ფაქტების ჩაღრმავებას, შედარებას, არაერთი და ორი, არამედ მთელი ეპოქის შესწავლას, მოვლენებისა და პიროვნებების გაცნობას, ფაქტების შეპირისპირებასა და ისეთ კონცეპტუალურ ნიაღვრებს ითხოვს, რომ ამას ვერავინ გააკეთებს ადვილად.

ამ დიალოგშიც გამოჩნდა ეს: მართალია, „მისიონერი“ 3-4 თვეში დაწერილა, მაგრამ ამისთვის მწერალი დიდი ხანი ემზადებოდა, სამოქმედო ველი მთლიანად ათვისებული ჰქონდა, მთავარი მოვლენები ხელისგულზე ედო, ეპოქის მთავარი მოქმედი პირები შესწავლილი და გამოცნობილი ჰყავდა, წერილმანებით შეკეთება და ერთ კაცზე ორიენტირება ჭირადებოდა და ამას დაოსტატებული მწერალი ადვილად გაართმევდა თავს. ზოგადად კი, ამ ჟანრში ამდენი სერიოზული, ამდენი მრავალტანიანი ნაშრომის შექმნა, ალბათ, არის რეკორდული და ამაში ვერავინ შეგვედევება.

უპირველესად, ნიგნი გამორჩეულ საქართველო ისტორიულ პროცესებში სოლომონ დოდაშვილის ღვაწლის განმსაზღვრელი ორი ზუსტი კონცეპტი: მისიონერი და ილიამდელი ილია.

მისიონერობა აქ ყოვლისმომცველი შინაარსითაა დატვირთული და სოლომონ დოდაშვილის იმ დიდი საგანმანათლებლო და კულტუროლოგიური მოღვაწეობის კონტექსტშია მოტანილი, რითაც ის ნამდვილად ენათესავება ილია ჭავჭავაძეს.

სოლომონ დოდაშვილი ისევე გამოჩნდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც ილია ჭავჭავაძე ამ საუკუნის მომდევნო ხანაში. ამიტომ იყო, რომ იმპერიულმა ხელისუფლებამ ისინი არ დაინდო: ილია მიგზავნილი მკვლელის ხელით, ხოლო დოდაშვილი იმპერიული, ვითომ მშვიდობიანი მეთოდით მოკლა. 1832 წლის ამბავში მისი ნაწილი არცერთ სხვა ბრალდებულს ისე მკაცრად არ მოქცევია იმპერატორი, როგორც მას.

რაც შეეხება ნაღვანს, ალბათ, რომ დასცლოდა დოდაშვილს და ასე ახალგაზრდა, 31 წლის ასაკში (უფრო სწორად: 28-ის, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზს ჩამოაშორეს) არ წასულიყო ამქვეყნიდან, იმდენად ფართო თვალსაზრისით ხედავდა ქვეყნის პრობლემებს, უთუოდ კიდევ ბევრ სასიკეთოს გააკეთებდა. ის კი, რაც ამ ახალგაზრდა კაცმა მოასწრო, ნამდვილად გასაოცარია და მის დიდ ნიჭსა და შესაძლებლობებზე მეტყველებს.

მაინც რას მოასწავებდა 1832? თუ გნებავთ მისი წინა ანტირუსული აჯანყებები? ეს იყო ქართველი კაცის პოლიტიკური რომანტიზმის, გულუბრყვილობის, არაპრაგმატულობისა თუ, პირიქით, მისი პატრიოტიზმის და სიმამაცის, სამშობლოსთვის თავგასწილად მუდამ მზადყოფნის გამოხატულება?

1801 წლიდან, ალექსანდრე I-ის მანიფესტიდან, ქართულ მოწინავე საზოგადოებას სულ ეგონა, რომ მართალი იყო რუსეთის წინაშე, რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობა, უსამართლოდ გააუქმა ბაგრატიონების მმართველობა, და თუ მოინდომებდა, რუსულ ჯარს გაყრიდა საქართველოდან და საკუთარ მეფეს დასვამდა ტახტზე, ამაში კი უთუოდ დაეხმარებოდნენ სხვა ქვეყნები და აღდგებოდა სამართლიანობაც.

1802 წელსვე დაიწყო საამისოდ დიდი წინააღმდეგობრივი მოძრაობა საქართველოში, რომელშიაც ჩაერთნენ ოსები და დაღესტნელები, სამხრეთ კავკასიის მუსულმანური მოსახლეობა, ანუ მოძრაობა საერთოკავკასიურ ანტირუსულ მოძრაობად იქცა.

ამ მოვლენასაც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, ისევე როგორც 32-ისას, დაარქვა შეთქმულების სახელი: ქელმენჩურის შეთქმულება. მანიფესტი, რომელიც წარედგინა რუს მოხელეებს და გადაეგზავნა იმპერატორს, რაღაც შეთქმულება იყო. თანაც ამგვარი საპროტესტო წერილი ერთი კი არა, რამდენიმე დაიწერა, ის ქართულმა თავადებმაც შეადგინეს. განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართული იყო იმერეთის სამეფოც სოლომონ მეფის მეთაურობით. წინააღმდეგობრივი მოძრაობის წევრები ტრაქტატზე უარს არ ამბობდნენ, მაგრამ ხალხს სურდა საკუთარი მეფე და სახელმწიფო, ამას წერილობით ითხოვდნენ და ასაბუთებდნენ.

გვგვდება არასწორი დეფინიციები, როდესაც რუსი სამხედრო ავტორებიც კი 1802 წლის მოვლენებს საყოველთაო აჯანყების სახელით ნათლავდნენ და დუბოვიჩისა და სოკოლოვის ნაწერებში იმდენი უბედურება ტრიალებს, ხალხის მდგომარეობას ნათლავ ხედავ. მაგალითად, ლეკები განუწყვეტლივ ესხმინან თავს კახეთს, ახალი, რუსული მთავრობა ვერაფერს აკეთებს და ყველაფერს აბრალბენ ისევ ქართველებს, იმერეთის მეფეს, ბატონიშვილებს, იმ გლეხებს, სახლ-კარი რომ დაუნდეს და ყველაფერი წაართვის; ეგენი ბაგრატიონების მომხრენი არიან, ლეკებთან შეკრულნი და ამაში თავად არიან გარეუღნი, რომ რუსეთის დისკრედიტაცია მოახდინონო, ანუ სახლებიც თავად დაიხვეს, ქურდებიც თავისივე დასტურით დაიხვეს თავზე.

ასეთი ბრალეულობა უკვე აუტანელს ხდიდა მდგომარეობას და თავადიც, გლეხიც, სასულიერო პირიც, დიდი ნაწილი ხალხისა ახალ რეჟიმთან საბრძოლველად განეწყო.

არადა მაშინ სულ ორი წელი იყო გასული, რაც გიორგი XII იქით ევედრებოდა რუსეთს, ითხოვდა დიდი ჯარის შემოყვანას და სულ უფრო და უფრო ავიწროებდა ქართული სამეფო კარის უფლებებს.

პლატონ იოსელიანიც კი, ისტორიკოსი, რომელიც თვითმხილველთა ცნობებს ეყრდნობოდა, თავგადადებული რუსეთშივე, ვერ მალავდა უკმაყოფილებას ამ გადაჭარბებული მისწრაფების გამო და წერდა: „მაშინ ჩერქეზელმან კაცმან, სიტყვა მარჯვემან და ახალციხის ფაშოს მახლობელმან, მოახსენა მეფესა: ბატონო მეფევ და კარისკაცნი დარბაისელნი! რომ ალებთ კავკასიის კარსა, შესძლებთა თვისთა დროსა დახმევას მისსა?“

მაშინ მეფემ ასე უპასუხა: „დახმვა კარისა ამისა, იქნება დახმვა ქრისტიანობისა კარისა. ამისთვის ჯვარი ქრისტესი, რომელსა ვესვალ, იქნებოდა თვით ცველად კარისა, რომელსაც თვით ჯვარცმული მასზედ დახმავს და განალებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ“.

ანუ, როცა საჭიროდ დაინახავს, ჩვენს დასაცავად კარს თავად იესო დახურავს, ან გააღებსო. რას წარმოიდგენდა უსაზღვროდ მორწმუნე, მაგრამ პოლიტიკურად საკმაოზე მეტად გულუბრყვილო მეფე მაშინ, რომ ეს კარი არათუ დაიხვეებოდა, ისე ფართოდ გაიღებოდა, რომ აქ, ქართულ მიწაზე, ახალი რუსული სახელმწიფოები შეიქმნებოდა და კარის დახმვის მოლოდინით ამაოდ იცხოვრებდნენ ქართველთა თაობები!..

ეს კარი ღია იყო 1832 წელს და ღია დღესაც.

1802-დან 1832-დე მრავალი სისხლისმღვრელი აჯანყება მოხდა, ბევრმა გულწრფელმა და გულანთებულმა მამულიშვილმა სიცოცხლეც გასწირა ქვეყნის ხსნი-სათვის, სამართლიანობის აღდგენისათვის. მაგრამ დიდი იყო მაინც კოლაპორაციონიზმის, ეროვნული ნიჰილიზმისა და ლალატის წილი.

და მაინც დაიწყო ახალი შეთქმულებრივი დიდი ქართული მოძრაობა მომავალი აჯანყებისა და ეგრეთ წოდებული „რუსების გაყრისათვის“. მოძრაობაში ჩაბმული ჭკვიანი ქართველები თითქოს მიზანმიმართულად იტყუებდნენ თავს: ევროპა დაგვეხმარება, ყველა ერთმანეთს დაუჭერთ მხარს და მთელი ქვეყანა ჩვენს მხარეზე იქნებაო, ზაქარია ჩოლოყაშვილმა ამბავი ჩამოიტანა, დეკაბრისტების თურმე რუსეთისგან პოლონეთისა და საქართველოს გამოყოფა სურთო, და სხვა. რუსეთის გულში მოტრიალედ ადამიანებმა ისიც კი ვერ გაიგეს, რა უნდოდათ დეკაბრისტებს, რა ენერა „რუსსკაია პრავდაში“ და რას ნიშნავდა მშფოთვარე კავკასიელების აყრისა და რუსეთის სიღრმეში გადასახლების იდეა, ქართველებზე მეტ მშფოთვარედ რომელი კავკასიელი ერი ჩაითვლებოდა მთიულეთის, კახეთის და იმერეთის სისხლისმღვრელი აჯანყებების შემდეგ, ჩრდილო კავკასიის ომი ხომ ჯერ არ ჩანდა.

არადა, ბატონიშვილების საქართველოსთან დაკავშირებულ მასალებს სულ ეძებდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის საცავებში და ეცნობოდნენ, ნუთუ მათ არ ეცოდინებოდათ ის სიგელები, რომელიც შემდეგ ალექსანდრე ცაგარელმა შეკრიბა და გამოსცა, სადაც ბევრი რუსული ვერაგობა ჩანდა ჩვენი ქვეყნის მიმართ, თუ გნებავთ ეკატერინა I-ის წერილი ვახტანგ VI-ისადმი, სადაც ამცირებს ქართლის მეფეს და ჰუსეინ-ყული ხანად მოიხსენიებს, 1726 წელს იმპერატორცა საყვედურობდა: რუსეთის მიმართ პრეტენზიები რატომ გავქეთ, როდესაც იმე უბრალო ბრძანებაც არ შეასრულეთ იმპერატორისა (ანუ პეტრესი), არ გადაასახლეთ თქვენი ქვეშევრდომი ქართველები და სომხები კასპისპირეთში და ტყუილ საბუთად მოიტანეთ ამ ხალხის უარი.

ისტორიული ანამნეზი თითქოს გამქრალია, საკვირველი 32-იანელთა მოქმედებებში კიდევ სხვადა: იქვე, ხელისუფლების მიერ შექმნილი საიდუმლო პოლიციის შესახებ რატომ არაფერი იციან ისეთმა მაღალჩინოსნებმაც კი, როგორებიც ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი თუ სხვები არიან.

საქმი ის არის, რომ 1831 წლის 23 მაისს გენერალმა ივანე პასკევიჩმა მიმართა გენერალ-ადიუტანტ ბენკენდორფს, კავკასიაში, მის ცენტრში — თბილისში, საიდუმლო პოლიციის შექმნის პროექტით, რომელიც იმპერატორმა მოინონა და დაამტკიცა ამავე წლის 7 ივლისს.

29 პარაგრაფისაგან შემდგარი დოკუმენტის პირველივე თავში ეწერა, რომ „საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნების მოსახლეობაში, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში რუსული იარაღის ძალით იქნენ დამორჩილებულნი, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არასთინო აზროვნების შედეგად, რუსებს ისე კი არ უყურებენ, როგორც მფარველებს, არამედ როგორც დამპყრობლებს, და ამიტომაც რუსული მთავრობის მიმართ არაკეთილგანწყობილი არიან.“

ასეთი ვითარების გამო პროექტის ავტორი იმპერატორს სთავაზობდა მრავალ

სადაზვერვო საიდუმლო ღონისძიებას, რომლებიც ხელისუფლებას თავიდან ააცილებდა შეთქმულებებს და შფოთს.

დოკუმენტის მე-8 პარაგრაფში ნათქვამია, რომ ყველგან, სადაც ხალხი იყრის თავს (ჩამოთვლილია ამგვარი ადგილები), საიდუმლო აგენტები უნდა დააყენონ. მომდევნო პარაგრაფებში წერია: ფოსტაში უნდა მომდებოდეს მიმონერა, საიდუმლო პოლიციამ უნდა უთვალთვალოს მათ, ვინც თავისუფალ აზრებს გამოთქვამს, რელიგიისა და მთავრობის წინააღმდეგ თავხედური მსჯელობა ახასიათებთ, ანუ ამ ორგანოს მიზანი პირდაპირ 1832 წლის მსგავსი ფაქტების პრევენცია იყო და, ალბათ, საიდუმლო აგენტებიც მიჩენილი ჰყავდათ მათ, ვინც ამ ისტორიულ მოვლენას ედგნენ სათავეში.

ამდენად, შეთქმულებაში რომ შეგზავნილი იყო ვიღაც და სოლომონ დოდაშვილზე, როგორც ამ დროის გამოჩენილ მოღვაწეზე, განსაკუთრებული თვალთვალი და ინსპირაციებიც იქნებოდა, ამას ეჭვი არ უნდა. ის კონსპირაცია კი, რაც „აქტი გონიურით“ იყო განსაზღვრული, ბევრს აღარაფერს მოიტანდა.

ასე ფალაგანდიშვილს, როგორც საიდუმლო აგენტს, „დღიურ ზაპისკებად“ ამიტომაც ჰქონდა ყველაფერი, და ვოლხოვსკის, რომელიც ამ საიდუმლო პოლიციის ზედამხედველი უნდა ყოფილიყო, თავად მართავა რუსულად თავისივე გადათარგმნილი. ვოლხოვსკიმ ცვადა მისი სახელი და მამულაც ალექსანდრე ორბელიანთან. ფალაგანდიშვილს მსუბუქი სასჯელიც ერგო, დოდაშვილს კი, რომელსაც მანამდე ღირსეული ბიოგრაფია ჰქონდა, რუსული ხელისუფლებისთვისაც კი მისაბაძი, ფაქტობრივად შეუბრალებლად მოექცნენ.

მაგრამ მას, როგორც როსტომ ჩხეიძე წერს შესავალშივე, იმთავითვე ერგო ქართული დროშა არა დავითიან-გორგასლიანი, არამედ „მისიონერულ-გოლგოთიანი“.

ზოგადად, ქართველი ხალხის ეროვნულ ნიშნად იქცა წინასწარ დამარცხებულ ბრძოლებში შესვლა. ასეთი იყო 1832 წლის მოვლენაც. მაგრამ ასეთ ომში ბრძოლა სულაც არ ნიშნავს დამარცხებას, თუ ფიზიკურად მარცხდებოდა, ერი სულიერად და მორალურად მაინც იმარჯვებდა, რადგან არ თმობდა ქვეყნის ინტერესებს, თავის მეობას, ათასწლოვან ისტორიასა და კულტურას.

ისტორია ყველაფერს კინძავს: რომ არ ყოფილიყო სოლომონ დოდაშვილი, არ იქნებოდა როგორც მისი თანამედროვე და მოწაფე — ნიკოლოზ ბარათაშვილი, ასევე, მომდევნო თაობები: ილია ჭავჭავაძე, ქაქულა ჩოლოყაშვილი, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა... რომ არ ყოფილიყვნენ უფრო წინანი, რომლებზედაც თავისი ხელით შედგენილ პროკლამაციაში საუბრობს სოლომონ დოდაშვილი, არც მისი ეგოდენი სულიისკვეთება და ეროვნული ინტერესები იქნებოდა.

სოლომონ დოდაშვილი, თავისი ტანჯული ცხოვრების მიუხედავად, მაინც ბედნიერი აღმოჩნდა, რომ ყველა მისმა მომდევნო მამულიშვილთა თაობებმა ის გამოარჩიეს იმ მრავალ თავდადებულთაგან, რომლებიც მისი თანამებრძოლი იყვნენ. ბედნიერი აღმოჩნდა იმითაც, რომ მასზე მხატვრულ-დოკუმენტური ქრონიკა „მისიონერი“ ისეთმა მწერალმა შექმნა, როგორც როსტომ ჩხეიძეა.

როსტომიც როგორ არ გამოარჩევდა, გამოურჩევია კიდევ და მასზე ჯერ კიდევ როდიდან ნდომებია ნიგნის დაწერა, მაგრამ ჯერ მის ირგვლივ და მის გვერდით მდგომნი შეისწავლა და დაწვრილებით დაუხატა მკითხველს მათი პორტრეტები, საკუთარი თვალსაზრისი შეიქმნა და ამისთვის ბრმად არც მეცნიერებს ენდო და არც თანამედროვეთა ნაამბობს. გიორგი გოზალიშვილი, რომელიც მეცნიერთაგან ყველაზე დიდი ღვაწლის გამღებია ამ ისტორიული მოვლენის შესწავლის საქმეში, ბევრჯერ დაუმონებია, მაგრამ ბრმად ვერ მინდობია. საკუთარი ცოდნითა და მწერლის წარმოსახვით უნდა იმით მას მეტის დანახვა შეუძლია, ვიდრე ფაქტია, ანუ არის რაღაც, ფაქტებს ამოფარებული ამბები, რომლის დანახვა და შეცნობა მთავარია, რათა სრულად და ნათლად დაიხატოს ეპოქის სურათი. მაგალითად, თუ საგუბერნიო არქივის მასალებში გოზალიშვილმა ვერ დაინახა ალექსანდრე ორბელიანის აზრის

შესაბამისი ფაქტები, რომ იასე ფალავანდიშვილი და მისმა ძმამ დაგვლუპაო, ეს როსტომმა კარგად დაინახა, კარგად მიაბარა რუსი ავტორის მარტინოვის თამაზ ჯოლოგუას მიერ გადმოქართულებული ტექსტის შინაარსს და იასე ფალავანდიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური ბიოგრაფიით ახალი მყარი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა. მცირე ექვცი ადარ დატოვა, რომ სწორედ ამ მოლაპატე ქართველმა გასცა შეთქმულება.

მართალია, ყველაფერი უკვე ხელისგულზე ედო, წერას რომ იწყებდა, მაგრამ მწერალი ბევრ რამეზე ფიქრობს, ამ მითოსური არქეტიპის დიდებულ პორტრეტის ხატვა საიდან უნდა დაეწყო, ბევრი უფიქრია ამაზეც და აურჩევია მისი ვიატკის ცხოვრებიდან ეპიზოდი: „ცოდა გერცენული, რისხვა სოლომონური“.

„მორალი, სათავისოდ მომართული“ ალექსანდრ ივანოვიჩ გერცენისა ვერ შეთანხმებოდა ქართველი სოლომონ დოდაშვილის ზოგადკაცურსა და ზოგადკაცობრიულ მორალს და ვერაფრით გაეგო რუს ინტელიგენტს ქართველისა, შენ რატომ არ უნდა მოგონდე, თუ შენ კი არა, სხვას დაუშვავ, სხვაგან მოვიქციე თუ გინდა ამორალური ადამიანი. თუ შენ მას ჩვეულებრივი მორალი ეგონა ის, რაც ჩაიღინა, და აქეთ დარჩა ნანყენი ქართველ „თავადზე“, როგორც თვითონ ეგონა დოდაშვილი. აბა, რუსი რას მიხვდებოდა, რომ დოდაშვილი არ იყო თავადი, ასე განათლებული და ამალღებული ადამიანი, ან როგორ გაიგებდა, რატომ უნდა დაემალა ცოლს შვილის სიკვდილი მომაკვდავი ქმრისთვის, იქნებ როგორმე რომ გახანგრძლივებულიყო მისი სიცოცხლე. სრულიად სხვადასხვა ზნე და ჩვევა, სხვადასხვა წესი და რიგი, რუსულ-ქართულ ბუნებაში რომ სხვადასხვაობდა.

აი, ეს არის მწერლის ოსტატობა, როდესაც მიაგნებ მთავარ ძარღვს, რითაც უნდა ახსნა მთავარი სათქმელი. რა უნდოდა სოლომონ დოდაშვილის ქვეყანას 1832—შიც, მანამდეც და შემდეგაც გერცენის რუსეთთან, რა ჰქონდა სადავო და საძიებელი. ამ თავის ნაკითხვის შემდეგ ყველა კონტექსტი ნანარმოებისა სრულიად ნათელი გახდება.

მართალია, ორი რუსეთი არ არსებობს, მაგრამ კეთილი ადამიანები კი არსებობენ იმ ერთ რუსეთში, იმპერიული სულისკვეთებით რომ ცხოვრობდა. ბიოგრაფიული რომანის ავტორს, მაგალითად, ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორი — კირილ ტიუფაიევი — მოაქვს. ასეთ მაგალითებს რა დაღვდა, მაგრამ სახელმწიფოს სულს მაინც ის იმპერატორი გამოხატავდა, ვინც უარი თქვა მომკვდავი დოდაშვილის სამხრეთის გუბერნიამ გადმოყვანაზე, იდეოლოგიასა და სულისკვეთებას კი გერცენის მსგავსი მორალის მქონე სწავლულებიც ქმნიდნენ. აკი ამას ასე კარგად ჩამხვდარა გარუსებული დოდაშვილის მემკვიდრე ანუ შილაკა დოდაევა-მაგარსკაია. შემდეგში „გვარსაც კი ვერ მოიგონებდა პარიზში გაფუფუნებული ალექსანდრ გერცენი ვიატკაში გადასახლებული ქართველი თავადისას, რომლის „ლოგიკაც“ სახელმძღვანელოდ ელიარებინათ რუსეთის იმპერიის უმაღლეს სასწავლებლებში — საუკეთესოდ და შეუცვლელად“.

გერცენთან დაკავშირებული კონტექსტებით ვხედავთ ასევე იმ სიყვარულსა და ოჯახურ წრესაც, რაც სოლომონს ჰქონდა, მისი მეუღლე, ნახევრად რუსულად გაზრდილი ელენე კობაშვილის სახეს, დეკაბრისტთა ცოლებზე მაღლა რომ დაეყენა შემდეგში მისმა ერთმა შთამომავალმა. არც არაფრით ყოფილა ნაკლები.

ნიგნში კარგადაა გადმოცემული დაკითხვების დროს დაბნეული ქართველების ალოგიკური პასუხები, ჩანს გაცრუებული იმედებით სასონარკვეთა და მოლაპატეობის აღზევება. ძნელია ფარული საზოგადოების ლაბირინთებში გზის გაკვლევა, მაგრამ ამის ცდას დიდ დროს ანდომებს ნიგნის ავტორი და კარგადაც გამოუდის, თუ ყველაფერი მარტივად არ იხსნება, ფსიქოლოგია მაინც ჩანს ქართველი კაცისა, რაც ასე კარგად იცის. ყოველმეტყველებაში, მაშინდელი გაორებული ამბავი, რომლის გამო სოლომონზე არჩილ ჯორჯაძეც წერდა: „1827 წელს იმპერატორს შესხმას უწერს, 1831 წელს კი შეთქმულების სამზადისშია და პროპაგანდის მიზნისათვის გაზეთსაც არასებს 1832 წელსო.“

ამას დავამატოთ: რუსულად წერს „ლოგიკას“, ადგენს ქართული ენის გრამატიკას და ქართულ-რუსულს „რაზღავორნი ლექსიკონს“. არის თიანეთის მაზრის უფროსის თანაშემწეც, პედაგოგიც, ჟურნალისტიც, ეგ კი არადა, დუქნების შექმნაც უნდა, ეგებ ფული იშოვოს საზოგადო საქმეებისათვის, არის გარუსებული პოლონელის ქმარი, რომელმაც ქართულიც ვერ ასწავლა შვილებს, ეფერება რუს მოხელეებსა და სწავლულებს, მაგრამ მაშინ რაღაა მისი ლექსი — „მისის თვესა იქმნეს ძახება, გამოხატული ქართველთა უფლება, აღვიპყრათ ხელთა სხელი, მივცეთა მტერთა შიში ძირიელი, შემოვიკრიბოთ გულით მხურველნი, ვეცეთ ვეძგერეთ გაგულვებულნი, განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი, ჩვენ მამულისა მაოხრებელნი...“

ერთად იყო ეს ყველაფერი, ქართველი კაცის მხიარულად და გულიანად შესვლა დასამარცხებლად განწირულ ომში.

და იგონებს მწერალი კიტა აბაშიძეს, მარტიროლოგიაც არის ჩვენი ისტორია და მოლაპატეობის დაუსრულებელი მატრიანეცო. განა არ არის? ჩახედეთ ჩვენს წარსულს, თუნდაც დღევანდელს, არც ისაა უკეთესი. კიტა აბაშიძე საამისოდ კრწანისს იხსენებდა, გასახსენებელი კიდევ რამდენია, ვინ იცის!..



ვეთანხმები, სოლომონ დოდაშვილის სახელი მარტიროლოგიას ემატება, მის თანამედროვეთაც ხომ უკვირდათ, — გლუხი იყო და განა მთავრობის ხელშეწყობით არ აღზევდა, იმას მაინც რა უნდოდაო, ისიც ბატონიშვილი ხომ არ იყოო, ტახტს ეძებდა თუ სკიპტრასო? ბევრი იფიქრებდა მაშინ და ცოტა გაიგებდა, რას ეძებდა და რისთვის გადასდო თავი სოლომონ დოდაშვილმა.

სოლომონ დოდაშვილის, როგორც სრულყოფილი ზნეობრივი პიროვნების, წარმოსაჩენად სხვა მომენტებთან ერთად მწერალმა კიდევ ერთი შტრიხი მოგვცა: მისი ურთიერთობა მოძღვართან. თითქოს ბიბლიური აზრი ხმაინებს: „იყავით თქუენ სრულქმნილ ვითარ არს მოძღვარი თქუენი“. სოლომონს თავის დამოკიდებულებაში იონა ხელაშვილი ლამის გაულმერთებია და არამინიერი მონინებით დაუხრია ქედი მის წინაშე, რაც უთუოდ კიდევ უფრო ამაღლებს მის პიროვნებას.

ავტორმა ისე გამოკვეთა მოძღვრისა და მონაფის ურთიერთობა, იონასი და სოლომონისი, რომ ეს ეპიზოდები გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების ურთიერთობას გაგვახსენებს. არა, მაინც მოძღვარზე დიდი, ვფიქრობ, მონაფეა, ღირსეული და დამფასებელი. მეოთხე თავი — „იონას გარემე არ იქნებოდა სოლომონი“ — ვახტანგ ორბელიანის სულიერი გენეალოგიის მოდელიდანა აქვს მწერალს ამოღებული და მეორესაც ამატებს: „თუ სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილიყო, მაშინ არც ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყო“.

სოლომონი თავის მოძღვრას მაშინ დაშორდა, როდესაც მის აზრსაც დაშორდა: საქართველო ურუსეთოდ რომ ვერ წარმოედგინა. დოდაშვილმა კი ამ მოვლენის წინააღმდეგ გაილაშქრა, რადგანაც ეს ნიშნავდა საშუალოდ შეგუებას სახელმწიფოებრიობის გაქრობასთან, სრულ გადაჯიშებასთანო, „და არ უნდა გამოსდევნებოდი

ილუზიებს თითქოს, იმპერიის პირობებშიც შევიწარუნებდით ჩვენს სახეს, ენასაც, ისტორიასაც, ადით-წესებსაცო“... — ამბობს რომანის ავტორი. და რაც ძალიან მომწონს ამ ნიგნში, ესაა: ყველაფერი, ყველა აზრი და განცდა სწორი კონტექსტითა და კონცეპტებით რომ არის დალაგებული, ზუსტი ემოციით გამოხატული, დღევანდელი სათვის არცთუ ურიგოდ გასაგონი.

ხელაშვილი და დოდაშვილი რუსეთის თემამ გაყარა და მათი სულიერი კავშირიც აქ განყდა, მაგრამ ბარათაშვილი კი სამუდამოდ დარჩა მოძღვრის იდეის ერთგული, მასთან სულიერად დაკავშირებული. ამაში კიდევ უფრო დარწმუნდებით ამ ნიგნის ჩაღრმავებით ნაკითხვის შემდეგ.

სოლომონ დოდაშვილს ევროპეიზაციის გზამკვლევი ეჭირა ხელში და პირველი ჰკვალავდა გზას ამ სიტყვებით: „არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვმუშაკობ, არამედ სიყვარულითა თვისისათვის, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა“.

მანამდე, სანამ ევროპა საქართველოს სცნობდა, საქართველოში უნდა ეცნოთ ევროპა. დოდაშვილის თვალსაზრისს შემდეგში იდეა უფრო განაწვავდნენ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, რომლებიც იდენ-

ოვსკის კაბინეტში შეწყვება და ადგილკატიბას გაუწევს. სოლომონი რომ წავალბოს და თავს იმართლებს, აქეთ ის ემონება, მაგრამ რას უშველი, იმდენი განწირული ადამიანი ეჭიდება ახლა ხავსს, რომ ერთმანეთს არავინ ინდობს, დოდაშვილსაც მათ შორის. არავინ იცის, რომ გადარჩენილიყო იმ ამბებს, უფრო მეტს მოუტანდა ქვეყანას თუ იმით მეტი გააკეთა, იმ ერთი ლექსით, პროკლამაციითა და თავის განწირვით, პირადი მაგალითი რომ დაუტოვა შთამომავლებს, ყველამ რომ ერთხმად აღიარა: სოლომონ დოდაშვილი რომ არ ყოფილიყო, ჩვენც არ ვიქნებოდით.

როსტომ ჩხეიძემ ღრმად ჩაგვახვდა ჩვენი ისტორიის ლაბირინთის ამ მონაკვეთში, XIX საუკუნის I მესამედში, და დაგვანახა თავისებურებანიც, რამაც განაპირობა დოდაშვილის წარმატება თუ წარუმატებლობა. სოციალური სტატუსი ვერ ამორებდა ერთმანეთთან გლესსა და თავადს, და ეს რომ ბუნებრივი განცდა არ ყოფილიყო ქართველთათვის, მაშინ ვერც ინტელექტი და ვერაფრით წარმატება ვერ უშველიდა გლეხური წარმოშობის სოლომონ დოდაშვილს, თავადიშვილთა შეთქმულების თავკაცი გამხდარიყო და მათაც თავის ტოლად და სწორად მიეღოთ. ისიც კი დაინახა, რომ არც ისე სასწაული ჩაუდენია მიხეილ ვორონცოვს, უბრალოდ, მისი ინტელექტუალური გაქანება არ ჰქონდა, თორემ პასკევიჩსაც სურდა და ცდილობდა დაევაგება-მოფერებოდა ქართველთა გულის მოგებას, ხელს უწყობდა განათლების კერების დაარსებას.

სოლომონ დოდაშვილი წინ აღუდგა „ცარიელობის“ პრობლემას, როგორც არამარტო ფილოსოფიურ კატეგორიას, არამედ მისი დროის ქართული ყოფის არსს. მან ლიტერატურული ჟურნალიც კი აქცია პოლიტიკურ იარაღად ხალხის გამოღვიძებისათვის. სურდა ძველი კულტურული კერები აღედგინა, ახალი შეექმნა, რადგან „სახელმწიფოს ამოგებისათვის“ ეს ყველაფერი აუცილებელი იყო. საჯარო ბიბლიოთეკისა და ლიტერატურული წრეების დაარსებაც უნდოდა, დრო არ ჰყოფნიდა. იმდენს აკეთებდა, რომ პეტერბურგელი და მოსკოველი ქართველები სახელმწიფო კაცს ეძახდნენ.

როსტომ ჩხეიძის ეს ბიოგრაფიული რომანი ავტორის დიდი ემოციური მუხტით არის გაჯერებული. არცერთი დეტალი არაა მშრალად აღწერილი, ყველგან ჩადებულია ავტორის განცდა, თვალსაზრისი, მოქმედება, სიტყვა-პასუხები, შეფასებანი. ოდესღაც სამშობლოში მეფესავით პატივით დაბრუნებულ გმირს, რომლის ბოლო სტატუსი „გადამწერი“ გახდა, ის მარტო დანაწიებული კი არა, მისი მტრების შეუფარავი რისხვითა და გმობით პასუხობს: „იმას, რასაც სოლომონის მიმართ ჩაიდენდა რუსეთის სახელმწიფო მმართველობა, პოლიტიკური მკვლელობა ჰქვია თავისი კლასიკური სახით“.

„თუკი ჰავა ამოხდის სულს, ამას რა სჯობს — გარეგნულ საბურველად გამოგადგება. თუმცე განა როდემდე?“ — კითხულობს მწერალი და იგონებს მსგავს მკვლელობებს — ლევან ბატონიშვილისას, ილია ჭავჭავაძისას, ვიატკას წინამურამდელ წინამურად სახელდება, და იმასაც არ მაღავს, პეტერბურგში რომ დიდება მოიპოვა, უკვე იქ და მაშინ იყო განწირული სოლომონ დოდაშვილი, რადგან იმპერიაში რჩეულობას არავინ აპატიებდა ქართველ კაცსო. კიდევ ერთხელ უბეჯითებს მკითხველს, რა დააკლდებოდა უმისოდ საქართველოს და რა მიემატა მისით.

და კიდევ ერთ სიმბოლურ პასაჟად ვიაზრებთ მწერლის მიერ მინიშნებულ დოდაშვილის ნეშტის დაბრუნებას სამშობლოში (1994 წელს მთაწმინდაზე დაკრძალეს). „წყალი, ერთი ყლუპი წყალი“ — სხვას აღარას ითხოვს გამშრალი ბავ და უჩვეულოდ აბორგენული სულიო. და უცილობლად აწოდებს წყალს, ანუ სიცოცხლეს ქართველი ხალხი იმ ადამიანს, ვისაც სიცოცხლე სწყუროდა და სამშობლოში სიკვდილის უფლებაც კი წარათევს, იმას, ვისაც ეს სიცოცხლე მისი ხალხისა და კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის სწავდა, ვისაც სწამდა, რომ ის იყო ადამიანი — „რომელი ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვის“.

ეს ნიგნიც, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „მისიონერი (სოლომონ დოდაშვილის ცხოვრების ქრონიკა)“, მისი მართლმადიდებლის სიცოცხლისთვის დადგმული ძეგლია.



პოეტი

ეკა კვიციანი

ეკა კვიციანი ლექსებს ბავშვობიდან წერს და ლიტერატურული პერიოდული გამოცემების ხშირი სტუმარია, წიგნი კი, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი გამოსცა — „სხვისი სახლი“.

— დასაწყისზე მომიყვით. როდის დაწერეთ, რატომ აირჩიეთ ლექსი და არა მოთხრობა? ვინ იყვნენ თქვენი პირველი მკითხველები?


— სვანეთში დავიბადე და მიმჩნია, რომ ეს არის ყველაზე დიდი მადლი, რაც შეიძლება ადამიანზე დაბადებისთანავე გადმოვიდეს. წარმოდგინეთ, გადაწყვიტე, რომ სიცოცხლე გეპოძოთ და გეპოძოთ სწორედ აქ, ზღაპრებისა და ლექსების მხარეში; თვალს ახელ და თავზე უშობა გადგას, იავნანად დლორას ხმა ჩაგესმის.

წერა როდის და როგორ დავიწყე, ამას ბევრი წელია, ვიხსენებ და ვერ გავიხსენებ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ფიქრი მიყვარს. რაც თავი მახსოვს, სულ ვფიქრობ და, როდის ან რატომ დავიწყე ფიქრების ნაწერებზე გადაქცევა, ამაზე ზუსტი პასუხი არ მაქვს. ნაწერებს რომ საგულდაგულოდ ვმალავდი, ეს კი კარგად დამამახსოვრდა. ახლა, როცა ბავშვობისდროინდელ ნაწერებს ვკითხულობ, ვხედავ, რომ დიდი და ტკივილიანი სიმარტოვის ამოთქმას ვლამობდი მაშინაც, თუმცა, პასუხი იმაზე, თუ საიდან მოვიდა სიმარტოვის განცდა პატარა გოგოში, რომელიც აბსოლუტურად ჯანსაღ და ბედნიერ გარემოში იზრდებოდა, არ მაქვს.

დღემდე ვინახავ წერილებს, რომლებსაც გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციიდან მიგზავნიდნენ და მთხოვდნენ, მეწერა ჩემი ასაკისთვის შესაფერისი და იმ დროისთვის აქტუალური თემებზე. მაშინ, დაახლოებით, 9-10 წლის ვიყავი და დარწმუნებული ვარ, რომ იმ დროს ვერც ვაცნობიერებდი, რის და რა ფორმით წერას ითხოვდნენ ჩემგან.

ფიქრების და ემოციების ლექსებად ქცევა, ალბათ, ჩემმა გენეტიკურმა მემკვიდრეებმა განაპირობა. მამა პოეტი მყავდა, ლიტერატორი იყო ჩემი პაპა, ერმენტო კვიციანიც, რომელმაც, გაურკვეველი მიზეზების გამო, საკუთარი ნაწერები გაანადგურა, მაგრამ მისი ნიჭიერების შესახებ სვანეთში დღესაც ლეგენდებს ყვებიან. ოჯახის არქივში ინახება წერილები, რომელთაც თბილისიდან სვანეთში დაბრუნებულ ერმენტოს უგზავნიდნენ მეგობარი პოეტები და სწერდნენ, რომ უხერხული იყო, მათი ლექსები წიგნებად დაებეჭდათ მაშინ, როცა ერმენტოს ლექსებს ჯერ კიდევ არ იცნობდა მკითხველი. ოდესმე, ალბათ, მივცემ თვეს უფლებას და გავასაჯაროებ ჩვენთვის ძვირფასი და ცნობილი პოეტების ამ წერილებს.

რაც შეეხება პირველ მკითხველს, ის არ ყოფილა მამა ან ოჯახის რომელიმე სხვა წევრი. ჩემი პირველი მკითხველი პოეტი სიმონ შამფრიანი გახლდათ, ჩვენთან ოჯახში სტუმრობისას მითხრა, ეჭვი მაქვს, ლექსებს წერ და უნდა ნამაკითხოო. წავაკითხე. ბატონმა სიმონმა წაიკითხა ჩემი ლექსებით საგვერველები და მათი დაბეჭდვა გაზეთ „ნორჩი ლენინელს“ და ჟურნალ „პიონერში“ დაიწყო.



— მას შემდეგ აღარ გაჩერებულხართ? თუ იყო პერიოდი, როცა სხვა ინტერესმა და საქმემ დაგაშორათ პოეზიას?

— პოეზიას არასდროს დავმორებივარ. ეს ალბათ შეუძლებელია. თუმცა, იყო ჩემს ცხოვრებაში პერიოდი, როცა წერა შევწყვიტე და ბევრი წლის განმავლობაში არაფერი დამინერია.

— პროზაში არასდროს გიცდიათ ბედი?

— პროზაში მუშაობის სურვილი ადრე არ გამჩენია. თუ რამე სათქმელის დატევას ვერ ვახერხებდი საკუთარი დუმილის სიღრმეში, ის აუცილებლად სტრიქონებად იწყებდა წვეთას და ლექსებად გროვდებოდა ფურცლებზე. თუმცა, დღეს ასე აღარ არის, მიუხედავად იმისა, რომ პოეზიის საღიწივით ბევრი რამ გადმოვიღე გარეთ,



არანაკლები რჩება შიგნითაც, უკვე დანმენდილ-დასუფთავებული, ემოციებისგან მაქსიმალურად გაუწმენდელი ამგებები.

დაახლოებით ერთი წლის წინ მივხვდი, რომ დიდი რაოდენობით დაგროვდა და მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელი ემოციის ადგილს ცხოვრება იკავებს თავისი მშრალი ამბებით. ამ ამბების გარეთ გამოტანის დრო დადგა და მეც გამომაქვს ნელ-ნელა. ვწერ პროზას, ვაღიწივ არ ვიცი, საბოლოოდ, მოთხრობები დაერქმევა ამ ნაწერებს თუ რომანი.

— რაკი, თქვენი ბავშვობა და თქვენი ცხოვრება სვანეთთან არის დაკავშირებული, ბავშვობის სვანეთი გაიხსენათ, თქვენი პირველი კავშირი სამყაროსთან, რომელმაც, ალბათ, ბევრი რამ მოგცათ.

— ჩემი ბავშვობის სვანეთზე და სვანეთთან ჩემს კავშირზე დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო. სკოლა სვანეთში დავამთავრე. შემდეგ კი ძალიან იშვიათად ვახერხებდი ასვლას, თუმცა ჩემს ქვეყნობიერს კავშირი არასდროს გაუნწყვტია. ჩემი სვანეთი მტკიცე, უღალატო, საიმედო ადამიანების სახეები იყო, რომლებიც ადრეული ბავშვობიდანვე ჩამებეჭდნენ მეხსიერებაში. გარესამყაროსთან პირველი კავშირებიც აქაურობას უკავშირდება. გაზაფხულდებოდა თუ არა, ტყეში მივყავდი მამას; დღემდე მახსოვს იმ ტყის სურნელი, ჩიტების ხმები. მაშინ ვისწავლე, რომ ყვავილები კი არ უნდა დამეკრიფა, უნდა ჩამემუხლა მათთან და ისე მივფერებოდი. იმ შორეული ბავშვობიდან დღესაც მასწავლის მამაჩემის ხმა, რომ ყველა მითი და ყველა ზღაპარი სინამდვილეა და ყველა ხეს თავისი სული აქვს...


სამყაროში ადამიანის მნიშვნელობის შესახებაც იმ წლებმა, იმ გარემომ მასწავლა. იქ ყველაფერი ნამდვილი იყო. სიცოცხლის ფასი და ამ სიცოცხლეში საკუთარი ვალდებულებების გაცნობიერებაც სწორედ იმ სინამდვილიდან ვისწავლე.

— რამდენად განსაზღვრავს გარემო, ტრადიცია, საცხოვრისი, ოჯახი ადამიანის აღქმას, აზროვნების წესს, შემოქმედებითობას, მომავალ საქმიანობას და ცხოვრებას თქვენი გამოცდილებით?

— რაც ჩამოთვალეთ, არის საძირკველი, რომელზეც ამოვშენდი, როგორც ადამიანი. ეს არის ფესვი, რომელსაც არასდროს ვწყდები და რომელიც მთელ ჩემს ცხოვრებას ასაზრდოებს. რა თქმა უნდა, სხვა ოჯახში, სხვა გარემოში, სხვა ფესვებზე გაზრდილი ეკა კვიციანი სხვა ადამიანი იქნებოდა და არა ის, ვინც დღეს გესაუბრებათ.

— რა ინტენსივობით მუშაობთ, როგორ წერთ ლექსებს?

— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით თხუთმეტი წლის განმავლობაში, არაფერი დამინერია. ამ გადასახედიდან მიმჩნია, რომ ეს იყო ემოციისა და სათქმელის საკუთარ თავში მოგროვების პერიოდი. არ მახსოვს, როგორ ვგრძნობდი თავს „შეგროვების“ პროცესში, კარგად თუ ცუდად, მაგრამ რაც იმ დროის განმავლობაში დაგროვდა, აუცილებლად უნდა ეპოვა საღიწივარი და იპოვა კიდევ ლექსში. ოთხი წლის განმავლობაში ვწერდი გაუჩერებლად, ვწერდი ყოველდღე და ყოველ ღამე, ჩავდიოდი საკუთარ ფსკერში და იქიდან ლექსები ამოქონდა. მადლობა იმ ადამიანს, რომელიც ვერც იფიქრებდა, როცა ერთ აუწერელ



ტკივილს მაყენებდა, რომ იმ პერიოდში დაწერილი ლექსების თანავგოროდ იქცა. თუმცა, ამა „მუშაობას“ ვერ დავარქმევ, ეს იყო სტიქიური, ემოციური „მოვარდნა“ ლექსებისა. მუშაობა სხვა რამეა და ახლა სწორედ ამ „სამუშაოსთვის“ მზადყოფნას ვგრძნობ საკუთარ თავში.

— თქვენს ფიზიკურად სხივად აქვეყნებთ სხვა პოეტების ლექსებს. არაერთი საყვარელი ავტორი გყავთ, ვიცი. მათ შორის, დავით წერეთლიანი. იქნებ, სხვებზეც გვითხროთ ორიოდ სიტყვა.

— დავით წერეთლიანი ერთ-ერთია მათ შორის, ვის პოეზიასთანაც ხშირად მივდივარ. ის ლექსები, რაც მიყვარს და განსაკუთრებულია ჩემთვის, მინდა, მკითხველსაც გავუზიარო. ბევრი ავტორის შემოქმედებასთან ვგრძობ სიახლოვეს, ბევრის ლექსი მოქმედებს ჩემზე, მათ შორის, ჩემი მეგობარი თანამედროვე პოეტების ლექსებიც. ხშირად უთქვამთ ჩემთვის კოლეგა მეგობრებს, რომ გვიკვირს, ჩვენი თანამედროვე ავტორების ლექსებს შენს ფიზიკურად რამე ვხედავთ, ამით სხვის უპირატესობას მიანიშნებ და იქნებ, ეს შენთვის, როგორც ავტორისთვის, წამგებიანიც აღმოჩნდესო. სრულიად გაუგებარია ასეთი დამოკიდებულება, როცა საქმე ლექსს ეხება. კარგი ლექსი ზემოა. და ორმაგი ზემოა, როცა მას მეგობარი ან რომელიმე თანამედროვე პოეტი ქმნის. ამ სიხარულის მკითხველამდე მიტანის შესაძლებლობაც ხომ თავისთავად, დიდი სიხარულია.

— რა პრინციპით შეარჩიეთ ლექსები წიგნისთვის „სხვისი სახლი“?

— ბოლო ოთხი წელი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო — საკუთარი თავის შეცნობის დრო, ემოციითა და ლექსებით სავსე. ლამის მთელი ცხოვრება ჩაეტია ამ ოთხ წელიწადში. დაბადებაც, სიცოცხლეც, იმედგაცრუებაც, სიხარულიც, ტკივილიც, სიყვარულიც, სიკვდილიც და ალდგომაც. ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს სამყაროში და ამ ლექსების წიგნად შეკვრის დროც სწორედ ამ ოთხწლიანი პერიოდის დასასრულს მოჰყვა. ამას დაემატა მეგობრების თხოვნა — ისინი წიგნის დაბეჭდვის აუცილებლობას ხშირად შემახსენებდნენ ხოლმე. მეც გადავწყვიტე, რომ ის ლექსები ან წიგნში უნდა

დამებიანავებინა ან სამუდამოდ უნდა დაკარგულიყვნენ, რადგან უკვე გაუცხოვდნენ ჩემთვის.

წიგნში შესატანი ლექსების შერჩევა წინა სადღობელაშვილსა და სოსო მუშველიანს მივანდე და ამის შემდეგ დაუკავშირდით გამომცემლობა „ინტელექტის“ მთავარ რედაქტორს, ზვიად კვარაცხელიას, რომელიც ჩვენს წინადადებას მამინვე დათანხმდა და მალევე ლექსები წიგნში დაბინავდა. წიგნს „სხვისი სახლი“ დაერქვა, რადგან ის მართლა იქცა სხვის სახლად — ჩემთვის გაუცხოებული ლექსების თავშესაფრად. ყდის დიზაინი ეკუთვნის უნიჭიერეს თეონა ქანიშვილს და მინდა, მას კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა იმისთვის, რომ ზუსტად დაინახა და გადმოსცა ჩემი სათქმელი.

— ხშირად აქვეყნებთ ლექსებს პერიოდულ გამოცემებში, ახალი კრებულის გამოცემაზე არ გიფიქრიათ?

— დიას, აი, რომ გადავხედე უკვე დაბეჭდილ წიგნს, მივხვდი, ბევრი ისეთი ლექსი დარჩენილა გამოცემის მიღმა, რომელიც, მიმჩნია, რომ იმსახურებდა წიგნში მოხვედრას. ამიტომ, ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ვიზრუნებ ახალი წიგნის გამოცემაზე.

— ასე მთავრდება თქვენი ერთი ლექსი, ახლახან რომ გამოაქვეყნეთ ფეისბუქვერდზე: „და დაჩინებულს, ვიდრე მზერას მაყოლებს ღმერთი, როგორმე უნდა ავიკრძალო წერაც და ფიქრიც“ — რატომ ასე კატეგორიულად? როგორ ფიქრობთ, ასეთ გუნებაზე ხშირად არის ხოლმე, ზოგადად, პოეტი?

— ცხოვრება ხომ ეტაპებად იყოფა, რაღაცის დასასრული რაღაცის დასაწყისს ნიშნავს და პირიქით... ხანდახან ის, რაც აუცილებლად უნდა დასრულდეს, ისე ძლიერად ფესვგადგმული აღმოჩნდება სისხლშიც, გულშიც და მეხსიერებაშიც, რომ უჭირს წასვლა. არადა, უნდა წავიდეს, რომ გადარჩე და ახალ საფეხურზე გადასვლა შეძლო. პოეტი და ნებისმიერი ადამიანიც, სწორედ ფიქრით და წერით აფერხებს ამ „წასვლას“. ეს ლექსი ძალიან დაღლილი ადამიანის კატეგორიული ამოძახილია, რომელსაც უნდა, გათავისუფლდეს იმისგან, რაც მისი აღარ არის, რაც უნდა, რომ გაუშვას, ფიქრი და სიტყვა (ლექსი ამ შემთხვევაში) კი ამაში ხელს უშლის...

ხშირად არის თუ არა პოეტი ამ გუნებაზე? ჩემი გამოცდილებით, პოეტი მუდამ საკუთარ თავში, საკუთარ აზრებთან, შეგრძნებებთან ჭიდილის პროცესშია და ამ ბრძოლებს ხშირად მსგავს კატეგორიულობამდე მივყავართ.

— რა გეგმები გაქვთ 2019-ში?

— 2019 წელი აუცილებლად იქნება ახალი სიცოცხლის დასაწყისი, ეს გადამწყვეტილია. ვგეგმავ, წლის ბოლომდე გამოვიცე ლექსების ახალი კრებული, დავასრულო პროზაული ტექსტი, რომელზე მუშაობაც 2018-ში დავიწყე. მინდა, რომ ის დრო, რომლის გატარებაც სხვა, არამწერლური კუთხით მომიწევს სვანეთში, ტექსტების შექმნისთვისაც გამოვიყენო და აქტიურად ვიმუშაო სვანურ ვარიაციებზე. მაქვს ბევრი სხვა, მნიშვნელოვანი და ნაკლებდამნიშვნელოვანი გეგმა, რომლის დასრულებას აუცილებლად შევცდები წლის ბოლომდე. ეს არ იქნება მარტივი საქმე და, ალბათ, ჩემგან ბევრ შრომასა და ენერჯიას მოითხოვს, მაგრამ მზად ვარ შრომისთვის და გამძლეობისთვისაც.

ესაუბრა თამარ ჟურნალი



